



ქუთაისური მოჭიქული კერამიკის
ორნამენტული მოტივები

ORNAMENTAL MOTIFS OF KUTAISI
GLAZED CERAMICS



შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

*Shota Rustaveli National Science
Foundation of Georgia*



ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული
მუზეუმი

Kutaisi State Historical Museum

**ქუთაისური მოჭიმული კერამიკის
ორნამენტული მოტივები**

***ORNAMENTAL MOTIFS OF GLAZED
CERAMICS FROM KUTAISI***

ქუთაისი *Kutaisi*

2024

ნაშრომის პუბლიკაცია ხორციელდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი ფუნდამენტური კვლევებისათვის, ხელშეკრულება № FR-21-8738) .

პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ასოც. პროფესორი **ნონა ქარციძე**

ავტორ-შემდგენლები:
ნონა ქარციძე
ირინა უგრეხელიძე
ნინო სარავა
დავით სულაბერიძე

სამეცნიერო რედაქტორი: პროფესორი **ომარ ლანჩავა**

დიზაინი და ტექნიკური უზრუნველყოფა:
ირინა უგრეხელიძე

ინგლისური ტექსტის თარგმანი:
ნინო სარავა

წიგნში ჩართული სსიპ ნ. ბერძენიშვილის ქუთაისის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული მოჭიქული კერამიკის ფოტოები აღებულია მუზეუმის ფონდებიდან.

სსიპ ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი
ISBN 978-9941-8-7298-3
© ი.მ. „მარიამ იოზაძე“

The publication of the work is carried out with the financial support of the Shota Rustaveli National Science Foundation (state scientific grants competition for fundamental research, contract No. FR-21-8738).

Scientific head of the project:
Assoc. Professor **Nona Kartsidze**

Authors-compilers:
Nona Kartsidze
Irina Ugrekhelidze
Nino Sarava
Davit Sulaberidze


Scientific editor: Professor **Omar Lanchava**

Design and technical support:
Irina Ugrekhelidze

Translation of the English text:
Nino Sarava

The photographs of the glazed ceramics preserved in the LEPL N. Berdzenishvili Kutaisi State Historical Museum included in the book, are taken from the museum's collections database.

LEPL Niko Berdzenishvili Kutaisi State Historical Museum
ISBN 978-9941-8-7298-3
© i. e. "Mariam Iobadze"



რედაქტორისაგან

FROM THE EDITOR

შუა საუკუნეების ქართული მოჭიქული კერამიკის მიმართ მეცნიერული ინტერესი მე-20 საუკუნის შუა ხანებში წარმოიშვა. თუმცა, 2010-იან წლებამდე ქუთაისისა და მისი მიდამოების ხანგრძლივი არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად აღმოჩენილი კერამიკის არტეფაქტები ჯერ კიდევ უცნობი იყო სამეცნიერო წრეებისათვის; ამ უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნებულ კვლევებში, მათ შორის, სპეციალურად მოჭიქული კერამიკისადმი მიძღვნილ ნაშრომებში, ქუთაისური კერამიკა არ იხსენიებოდა, რაც გარკვეულწილად კერამიკული წარმოების განვითარების ცალმხრივ სურათს იძლეოდა.

ნაშრომი „ქუთაისური მოჭიმული კერამიკის ორნამენტული მოტივები“ ავტორთა ჯგუფის ერთობლივი სამეცნიერო მონოგრაფიაა, რომელიც დამუშავებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგების მიხედვით. ეძღვნება შუა საუკუნეების „ქუთათისის ქვეყნის“ ტერიტორიაზე, კერძოდ ნაქალაქარის ციტადელზე

Scientific interest in medieval Georgian glazed ceramics arose in the mid-20th century. However, until the 2010s, ceramic artifacts discovered as a result of long-term archaeological research and exploration of Kutaisi and its surroundings were still unknown to scientific circles; in the studies published in the latter period, including those specifically dedicated to glazed ceramics, Kutaisi ceramics were not mentioned, which gave a somewhat one-sided picture of the development of ceramic production.

The work “Ornamental Motifs of Kutaisi Glazed Ceramics” is a joint scientific monograph of a group of authors, which was developed according to the results of research carried out within the framework of a grant project funded by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia. It is dedicated to the issues of decoration of glazed ceramics discovered in the territory of the medieval “Kutaisi

აღმოჩენილი მოჭიქული კერამიკის დეკორირების საკითხებს. ნაშრომში გაერთიანებულია ისტორიული, კულტურული და ესთეტიკური მიდგომები, რაც მას აქცევს არა მხოლოდ სამეცნიერო კვლევად, არამედ საინტერესო გზამკვლევად კერამიკული ხელოვნების სამყაროში.

საზოგადოდ, შუა საუკუნეების ქართული კერამიკის ორნამენტაცია ძალზე საინტერესო თემაა, არტეფაქტის მოხატულობა უპირველესად გვემლეხა თვალწინ, მაგრამ მრავალი წლის განმავლობაში, ქართულ რეალობაში არ გამოჩენილა მკვლევარი, რომელიც უშუალოდ მოჭიქული კერამიკის ორნამენტის შესწავლას ანალიზს მოკიდებდა ხელს და ეს გასაგებიცაა: ასეთი თემა მოითხოვს დიდ შრომას, რთულ სამუშაოს ორნამენტის მრავალი ელემენტის სისტემატიზაციისთვის. სწორედ ასეთი კვლევითი სამუშაოს შესრულება არის ნაშრომის მთავარი ღირებულება.

ნაშრომში დეტალურადაა გაანალიზებული ორნამენტის დამახასიათებელი ელემენტები, მისი სახეები და მოტივები, სტილისტური და კომპოზიციური თავისებურებები, ორნამენტისა და ჭურჭლის ფორმის შესაბამისობა.

ნაშრომის ღირსება მის სტრუქტურასა და მასალის ლოგიკურ კონსტრუქციაშია. ორნამენტული მოტივის ანალიზი იწყება უძველესი ნიმუშებით, როდესაც ის ასრულებდა არა მხოლოდ დეკორატიულ, არამედ მაგიურ ფუნქციასაც. შედარების მიზნით მოკვლეულია ამა თუ იმ ორნამენტის ანალოგები, როგორც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან, ისე ახლო-მეზობელი თუ შორეული ქვეყნებიდან. უცხოური პარალელური მასალის ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილია ისლამური

County”, in particular, at the Fortress of Bagrati. The work combines historical, cultural and aesthetic approaches, which makes it not only a scientific study, but also an interesting guide to the world of ceramic art.

In general, the ornamentation of medieval Georgian ceramics is a very interesting topic, the painting of the artifact is first of all striking us, but for many years, no researcher has appeared in Georgian reality who would directly study and analyze the ornaments of glazed ceramics, and this is understandable: such a topic requires a lot of work, complex work to systematize the many elements of the ornament. It is precisely the performance of such research work that is the main value of the work.

The work analyzes in detail the characteristic elements of the ornament, its types and motifs, stylistic and compositional features, and the correspondence of the ornament and the shape of the vessel.

The merit of the work lies in its structure and logical construction of the material. The analysis of the ornamental motif begins with ancient samples, when it performed not only a decorative, but also a magical function. For the purpose of comparison, analogues of this or that ornament are found, both from different regions of our country, and from near-neighboring and

აღმოსავლეთისა და ბიზანტიის ზეგავლენები. ასეთი შედარება საშუალებას გვაძლევს წარმოდგენა ვიქონიოთ იმდროინდელი საზოგადოების შიგა და გარე კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური კონტაქტების შესახებ. ნაშრომში წარმოდგენილია ძალზე საინტერესო და საჭირო შედარებები კერამიკის ორნამენტებისა სხვა ძეგლებზე (მონუმენტური და მინიატურული მხატვრობა, ქვის რელიეფები, ქედური ხატები, დეკორატიული მინანქარი, ქსოვილები) ასახულ ორნამენტებთან.

ასევე აღნიშვნის ღირსია წყაროები, რითაც ისარგებლეს ავტორებმა – საქართველოს და უცხოეთის არქეოლოგიური და სამუზეუმო მასალები, იშვიათი პუბლიკაციები და სხვ., რაც მოწმობს მკვლევართა სიღრმისეულ და საფუძვლიან მიდგომას თემისადმი. ცალკე უნდა გამოიყოს უხვი საილუსტრაციო მასალა, რომლებიც აღწერილი ობიექტებისა და მოტივების თვალსაჩინოდ წარმოდგენის საშუალებას იძლევა.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ წიგნში უფრო მეტად ისტორიულ ორნამენტულ მოტივებზეა ყურადღება გამახვილებული და პარალელი არ არის გავლებული ახალ, თანამედროვე მხატვრულ ტენდენციებთან კერამიკის ხელოვნებაში – არ არის განალიზებული, რამდენად ხდება ტრადიციული ისტორიული მოტივების ინტერპრეტაცია დღევანდელი დროში.

მონოგრაფიის სახით წარმოდგენილი ქუთაისური მოჭიქული კერამიკის ორნამენტების კვლევა, რასაკვირველია, არ შეიძლება იყოს ხარვეზების გარეშე. ზოგიერთი დასკვნა (მაგალითისათვის ეპიგრაფიკული მოტივების შესახებ) შესაძლოა საკამათოა. მაგრამ უდავო ჭეშმარიტებები

distant countries. Based on the analysis of foreign parallel material, the influences of the Islamic East and Byzantium are highlighted. Such a comparison allows us to have an idea of the internal and external cultural and socio-economic contacts of the society of that time. The work presents very interesting and necessary comparisons of ceramic ornaments with ornaments depicted on other monuments (monumental and miniature painting, stone reliefs, repousse icons, decorative enamel, textiles).

Also worth noting are the sources used by the authors – Georgian and foreign archaeological and museum materials, rare publications, etc., which testify to the researchers' in-depth and thorough approach to the topic. Separately, it should be noted the abundant illustrative material, which allows for a clear presentation of the described objects and motifs.

However, it is worth noting that the book focuses more on historical ornamental motifs and does not draw a parallel with new, modern artistic trends in ceramic art – it does not analyze the extent to which traditional historical motifs are interpreted today.

The study of Kutaisi glazed ceramic ornaments, presented in the form of a monograph, of course, cannot be without flaws. Some conclusions (for example, about epigraphic motifs) may be

ხომ მეცნიერებაში საერთოდ არც არსებობს. ეს საკამათო საკითხები, რა თქმა უნდა, გამოიწვევს სხვა მკვლევარების ცოცხალ რეაქციას და ჭეშმარიტების დადგენის საშუალებას მოგვცემს.

ნაშრომი დაწერილია პოპულარულ ენაზე, რაც მას გასაგებს ხდის ფართო აუდიტორიისთვის. მთლიანობაში, ის ორნამენტული მოტივების სიღრმისეული კვლევაა, რომელიც, ღირებული წვლილი იქნება ქართული მოჭიქული კერამიკის დეკორირების ხელოვნების შესწავლისათვის. წიგნი საინტერესო და სასარგებლო იქნება როგორც ხელოვნების ისტორიის, არქეოლოგიის, მუზეუმის და კერამიკის სფეროს სპეციალისტებისათვის, ასევე კულტურული მემკვიდრეობითა და დეკორატიული ტრადიციებით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

controversial. But there are no indisputable truths in science at all. These controversial issues will certainly provoke a lively reaction from other researchers and allow us to establish the truth.

The work is written in a popular language, which makes it understandable to a wide audience. Overall, it is an in-depth study of ornamental motifs, which will be a valuable contribution to the study of the art of decorating Georgian glazed ceramics. The book will be interesting and useful both for specialists in the fields of art history, archeology, museums and ceramics, as well as for readers interested in cultural heritage and decorative traditions.

ომარ ლანჩავა

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული
მუზეუმის დირექტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნი-
ვერსიტეტის პროფესორი.

Omar Lanchava

Director of the Kutaisi State
Historical Museum,
Professor of Akaki Tsereteli
State University.



ავტორებისაგან FROM THE AUTHORS

წინამდებარე ნაშრომი წარმოდგენს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით განხორციელებული საგრანტო პროექტის – „მოჭიქული კერამიკის ორნამენტის განვითარების ეტაპები და მისი სამეცნიერო კატალოგიზაცია“ (გრანტი № FR-21-8738) ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგების ამსახველი პუბლიკაციების მიხედვით დამუშავებულ მონოგრაფიას. კვლევა განხორციელდა სსიპ ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში.

კერამიკული ჭურჭლის დამზადება და მისი მარტივი ორნამენტებით მოხატვა ადამიანმა ჯერ კიდევ პრეისტორიული პერიოდიდან დაიწყო და მას შემდეგ ეს საქმიანობა მისი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. უძველესი დროიდანვე ჩაეყარა საფუძველი კერამიკული ჭურჭლის ჭიქურით დაფარვას. მისი ისტორია ათასწლეულებს მოიცავს. საქართველოში ამ

A monograph prepared based on the results of the research carried out within the framework of the project “Stages of development of glazed ceramic ornament and its scientific cataloging (Grant No. FR-21-8738)”. The research was carried out at the LEPL N. Berdzenishvili Kutaisi State Historical Museum.

Man began making ceramic vessels and painting them with intricate ornaments in prehistoric times, and since then this activity has become an integral part of his life. The foundation for covering ceramic vessels with glaze has been laid since time immemorial. Its history spans millennia. The development of this field in Georgia is mainly associated with the Middle Ages (VIII-XVIII centuries). In this regard, the territory of the

დარგის განვითარება ძირითადად საშუალო საუკუნეების ეპოქას (VIII-XVIII სს.) უკავშირდება. ამ მხრივ გამონაკლისს არც ქუთაისის ნაქალაქარის ტერიტორია წარმოადგენს, რასაც 1984-2010 წლებში, პროფესორ ომარ ლანჩავას ხელმძღვანელობით ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციების დროს აღმოჩენილი მოჭიქული კერამიკის ძალზე საინტერესო ფრაგმენტები და არტეფაქტები ადასტურებს. ეს მასალები საყურადღებოა იმით, რომ შეუძლია სრულად უპასუხოს მრავალ კითხვას, რომლებიც დაკავშირებულია მოჭიქული კერამიკის ანალოგიების და დამახასიათებელი ნიშნების იდენტიფიცირების პრობლემასთან, საზღვარგარეთის ახლო და შორეულ ქვეყნებთან ისტორიული, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების შესწავლასთან და სხვ. კოლექციის შემადგენლობაში შეინიშნება, როგორც ადგილობრივი ხელოსნების მიერ დამზადებული, ასევე სხვა რეგიონებიდან შემოტანილი მასალები; ამასთანავე, შეინიშნება უცხო ტრადიციების საფუძველზე შემუშავებული ნიმუშები. მიუხედავად აღნიშნული კოლექციის მრავალფეროვნებისა, სამეცნიერო მიმოქცევაში ჯერჯერობით არასაკმარისადაა წარმოდგენილი ქუთაისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე მოჭიქული კერამიკის დამზადების ტრადიციები და მისი განვითარების ისტორია; ასევე, ნაკლებად შესწავლილია კერამიკის ორნამენტული დეკორი ისტორიულ-სახელოვნებათმცოდნეო მიმართულებით, მისი მხატვრულ-სტილისტური განვითარების ასპექტები, უცხოური ზეგავლენების კვალი და სხვ. ამ მიმართებით ქუთაისური კოლექცია სწორედ, რომ მდიდარი წყაროა. აქ თავმოყრილია მოჭიქული ჭურჭლის

city of Kutaisi is no exception, as evidenced by the very interesting fragments and artifacts of glazed ceramics discovered during archaeological expeditions led by Professor Omar Lanchava in 1984-2010 years. These materials are valuable in that they can provide a clear answer to many questions related to the problem of identifying analogies and characteristic features of glazed ceramics, the study of historical, cultural, and socio-economic relations with near and far abroad, etc. The collection includes materials made by local craftsmen as well as materials brought from other regions; in addition, there are samples molded on the basis of foreign traditions. Despite the diversity of the collection, the traditions of glazed ceramics production in the territory of the city of Kutaisi and the history of its development have not yet been sufficiently represented in scientific literature; the ornamental decor of ceramics with historical and ethnographic references, aspects of its artistic and stylistic development, traces of foreign influences, etc. have also been poorly studied. In this regard, the Kutaisi collection is considered a rich source. Here are fragments of pottery, which were decorated with various ornamental motifs – geometric (lobes, rings, concentric circles, ovals), floral (stylized leaves, flowers, branches, curls);

ფრაგმენტები, რომლებიც დეკორირებულია მრავალფეროვანი ორნამენტული სახეებით – გეომეტრიული (ზოლები, რგოლები, კონცენტრული წრეები, ოვალები), მცენარეული (სტილიზებული ფოთლები, ყვავილები, რტოები, ნაყოფები); მცენარეულ-გეომეტრიული; ზოომორფული (სხვადასხვა ფრინველები, თევზები, მტაცებელი ცხოველი), აბსტრაქტული კომპოზიციებითა და სხვადასხვა სიმბოლოებით (რელიგიური, მზის – დისკო და ბორჯღალი). აღნიშნულ ორნამენტებს გააჩნია მნიშვნელოვანი მხატვრული და სამეცნიერო ღირებულება. აქედან გამომდინარე, მათი განვითარების ეტაპების შესწავლა-ანალიზი და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა საშურს საქმედ მიგვაჩნია.

ზემოდასახელებული პროექტის ფარგლებში განხორციელდა ქუთაისის მხარეში, კერძოდ, ქუთაისის ციხისა და ნაქალაქარის ტერიტორიაზე არქეოლოგიური კვლევის შედეგად მოპოვებული კერამიკული სახელოსნოების ნაშთების და ჭიქური არტეფაქტების ანალიზის გზით, მოჭიქული კერამიკის წარმოების ისტორიის გააზრება; ორნამენტული დეკორის სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ანალიზი და დაჯგუფება; ადრეულ ეპოქიდან მისი ისტორიული და მხატვრული ტრანსფორმაციის ანალიზი – მეზობელი რეგიონების კერამიკის ორნამენტიკასთან შედარების და სხვა ძეგლებზე (მონუმენტური და მინიატურული მხატვრობა, ქვის რელიეფები, ჭედური ხატები, დეკორატიული მინანქარი, ქსოვილები) პარალელების ძიების გზით. პროექტანტების ავტორობით მომზადებულ და გამოცემულ იქნა არაერთ-

floral-geometric; Zoological (various birds, fishes, wild animals), abstract compositions and various symbols (religious, solar disk and dragon). The mentioned ornaments have significant artistic and scientific value. From here, we consider it a worthwhile task to study and analyze the stages of early development and introduce them into scientific discourse.

Within the scope of the above-mentioned project, the history of glazed ceramics production was elucidated through the analysis of the remains of ceramic workshops and glazed artifacts found as a result of archaeological research in the Kutaisi region, in particular, in the territory of the Kutaisi Fortress and the city; structural-typological analysis and grouping of ornamental decor; Analysis of its historical and artistic transformation from the earliest epoch – through comparison with the ornamentation of ceramics of neighboring regions and the search for parallels on other monuments (monumental and miniature painting, stone reliefs, embossed icons, decorative enamel, textiles). An unofficial article and report for symposia – both in Georgia and abroad – were prepared and published by the project authors: Kartsidze N., Lanchava O., Ugrekhelidze I., Sulaberidze D., Sarava N. (2023). Artifacts Reflecting the Traditions of

თი სტატია და მოხსენება სიმპოზიუმები-სათვის – როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში:

Kartsidze N. G., Ugrekhelidze I. I., Sarava N. D., Sulaberidze D. N. (2024). Glazed ceramic vessel with the image of a bird from the Kutaisi Historical Museum. *Global science: prospects and innovations. Proceedings of the 7th International scientific and practical conference*. Liverpool, United Kingdom.: Cognum Publishing House, pp. 414-420.

Kartsidze, N., Lanchava, O., Ugrekhelidze, I., Sulaberidze, D., Sarava, N. (2023). Artifacts Reflecting the Traditions of Producing Glazed Ceramics from the Kutaisi Historical Museum. *Proceedings of Georgian National Academy of Sciences, series of History, Archaeology, Ethnology and Art History*, no. 2, pp. 128-138.

Kartsidze, N., Ugrekhelidze, I., Sarava, N., & Sulaberidze, D. (2024). For the Decoration of Kutaisi Glazed Ceramics. „*Modern Research in Science and Education*‘ *Proceedings of VII International Scientific and Practical Conference*. Chicago, 342-349.

სარავა, ნ., ქარციძე, ნ., უგრეხელიძე, ი. (2024). ქუთაისური მოჭიქული კერამიკული ჯამის ორნამენტის შესწავლისათვის. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია [ბეჭდვაში].

Ugrekhelidze, I., Kartsidze, N., Sarava, N., & Sulaberidze, D. (2024). Glazed Ceramics with Epigraphical Ornament from Kutaisi Historical Museum. *Золотоордынское обозрение* [in print].

Producing Glazed Ceramics from the Kutaisi Historical Museum. *Proceedings of Georgian National Academy of Sciences, series of History, Archaeology, Ethnology and Art History*, no. 2, pp. 128-138.

Kartsidze N. G., Ugrekhelidze I. I., Sarava N. D., Sulaberidze D. N. (2024). Glazed ceramic vessel with the image of a bird from the Kutaisi Historical Museum. *Global science: prospects and innovations. Proceedings of the 7th International scientific and practical conference*. Liverpool, United Kingdom.: Cognum Publishing House, pp. 414-420.

Kartsidze N., Ugrekhelidze I., Sarava N., & Sulaberidze D. (2024). For the Decoration of Kutaisi Glazed Ceramics. "Modern Research in Science and Education" *Proceedings of VII International Scientific and Practical Conference*. Chicago, 342-349.

Sarava N., Kartsidze N., Ugrekhelidze I. (2024). Kutaisi Glazed Ceramics with Epigraphical Ornament. *International Scientific Conference* [in print].

Ugrekhelidze I., Kartsidze N., Sarava N., & Sulaberidze D. (2024). Glazed Ceramics with Epigraphical Ornament from Kutaisi Historical Museum. *Золотоордынское обозрение* [in print].

It is these publications that formed the basis of this work. We

სწორედ აღნიშნული პუბლიკაციები დაედო საფუძვლად წინამდებარე ნაშრომს. იმედს გამოვთქვამთ, რომ ის საინტერესო იქნება სპეციალისტებისა და კულტურული მემკვიდრეობით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.

დასასრულ, მადლიერებას გამოვხატავთ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისადმი – პროექტის მხარდაჭერისათვის, ასევე მასპინძელი ორგანიზაციისა და იმ კოლეგებისადმი, რომელთა დახმარების გარეშე რთული იქნებოდა კვლევის წარმატებით განხორციელება.

hope that it will be of interest to specialists and the general public interested in cultural heritage. Finally, we would like to express our gratitude to the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia for supporting the project, as well as to the host organization and colleagues, without whose help it would have been difficult to successfully carry out the research.



შინაარსი

CONTENTS

რედაქტორისაგან	5
FROM THE EDITOR	5
ავტორებისაგან	9
FROM THE AUTHORS	9
ქუთაისური მოჭიმული კერამიკის ორნამენტული მოტივები	15
ORNAMENTAL MOTIFS OF GLAZED CERAMICS FROM KUTAISI	15
შესავალი	15
INTRODUCTION	15
მოჭიმული კერამიკის წარმოების დამაღასტურებელი არტეფაქტები ქუთაისის ნაქალაქარიდან	20
ARTIFACTS REFLECTING THE TRADITIONS OF PRODUCING GLAZED CERAMICS FROM THE KUTAISI OLD SETTLEMENT	20
ქუთაისური მოჭიმული კერამიკული ნაკეთობების ორნამენტის სახეები და სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ანალიზი	35
TYPES OF ORNAMENT AND STRUCTURAL-TYOLOGICAL ANALYSIS OF KUTAISI GLAZED CERAMICS	35
გეომეტრიული ორნამენტი ქუთაისურ მოჭიმულ კერამიკაზე.....	37
GEOMETRIC ORNAMENTS ON KUTAISI GLAZED CERAMICS	37
მცენარეული ორნამენტი ქუთაისურ მოჭიმულ კერამიკაზე.....	58
FLORAL ORNAMENT ON KUTAISI GLAZED CERAMICS	58
მოჭიმული კერამიკის ფრაგმენტები ზომორფული ორნამენტებით	73
FRAGMENTS OF GLAZED CERAMICS WITH ZOOMORPHIC ORNAMENTS.....	74
ეპიგრაფიკული ორნამენტით დეკორირებული მოჭიმული კერამიკა	97
GLAZED CERAMICS WITH EPIGRAPHICAL ORNAMENT.....	97
ბოლოთქმა	118
AFTERWORD	118
ლიტერატურა	121
REFERENCES	120

ქუთაისური მოჭიქული კერამიკის ორნამენტული მოტივები

ORNAMENTAL MOTIFS OF GLAZED CERAMICS FROM KUTAISI

შესავალი

INTRODUCTION

მოჭიქული კერამიკა ქართული გამოყენებითი ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა. შუა საუკუნეების საქართველოს ნამოსახლარების არქეოლოგიურმა კვლევებმა გამოავლინა მოჭიქული კერამიკის მნიშვნელოვანი კოლექციები, რომლებიც მდიდარი წყაროა, როგორც თავად კერამიკული ხელოსნობის სპეციფიკური მახასიათებლების, ასევე მხატვრული დიზაინისა და ორნამენტის განვითარების პრინციპების შესასწავლად.

Glazed ceramics is one of the important areas of Georgian applied art. Archaeological research of medieval Georgian settlements revealed important collections of glazed ceramics, which are a rich source for studying the features of the ceramic craft itself, as well as the principles of development of artistic design and ornamentation. One such interesting collection of glazed ceramics is kept in the

მოჭიქული კერამიკის ერთ-ერთი ასეთი საინტერესო კოლექცია დაცულია ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში. ეს მასალები, ძირითადად, ბოლო სამი-ოთხი ათწლეულის განმავლობაში, ქუთაისის ნაქალაქარის ტერიტორიის არქეოლოგიური გათხრების შედეგად იქნა გამოვლენილი. კვლევა-ძიება წლების განმავლობაში ხორციელდებოდა პროფესორ ომარ ლანჩავას თაოსნობითა და უშუალო ხელმძღვანელობით.

არქეოლოგიური ექსპედიციების დროს მოპოვებული მასალები, კერძოდ კერამიკული სახელოსნოს ნაშთი, კერამიკის გამოსაწვავი ქურები, ქვის სამეთუნეო ჩარხი, კერამიკის წარმოების ამსახველი სხვადასხვა ნივთები, ჭიქურიანი კერამიკის ფრაგმენტები და სხვ., სტრატოგრაფიული მონაცემების მიხედვით VIII-XI საუკუნეებს განეკუთვნებოდა. მათი ანალიზი შესაძლებლობას იძლევა დავასკვნათ, რომ ქუთაისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე ამ პერიოდში (VIII-XI სს.) ფუნქციონირებდა კერამიკული სახელოსნო და მზადდებოდა, როგორც სამშენებლო კერამიკა, ისე მოჭიქული კერამიკის ჭურჭელი. არქეოლოგიური ექსპედიციების ეს უმნიშვნელოვანესი მონაპოვრები, ამჟამად, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის არქეოლოგიური ფონდის კერამიკის მდიდარ კოლექციას წარმოადგენს, რომელშიც არტეფაქტების რაოდენობა 1000 ერთეულს აღწევს. აღნიშნულ მასალაში მრავლადაა დეკორირებული არტეფაქტები – მრავალფეროვანი ორნამენტით

Kutaisi State Historical Museum. These materials were discovered mainly in the last three to four decades as a result of archaeological excavations on the territory of the Kutaisi settlement. Research was carried out over many years on the initiative and under the direct supervision of Professor Omar Lanchava. The materials found during archaeological expeditions, namely the remains of a ceramic workshop, a kiln for firing ceramics, a pottery machine, various items confirming the production of ceramics, fragments of glazed ceramics, etc., according to stratigraphic data, date back to the 8th-11th centuries. Their analysis allows us to conclude that during this period (VIII-XI centuries) a ceramic workshop operated on the territory of the Kutaisi ancient settlement, producing both building ceramics and glazed ceramic vessels. These most important finds of archaeological expeditions currently represent a rich collection of ceramics of the archaeological fund of the Kutaisi State Historical Museum, in which the number of artifacts reaches 1000 units. The material contains many decorated items - fragments of glazed ceramic vessels painted with a variety of ornaments. Here we find

მოხატული მოჭიქული კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები. აქ ვხვდებით მოხატულობის სხვადასხვა სახეებსა და მოტივებს: გეომეტრიული ორნამენტებს – ზოლების, რგოლების, კონცენტრული წრეების, ოვალების, სპირალების სახით; მცენარეულ ორნამენტებს – სტილიზებული ფოთლები, ყვავილების, რტოების, ნაყოფების სახით; მცენარეულ-გეომეტრიულ ორნამენტებს; ზოომორფულ ორნამენტებს – სხვადასხვა ფრინველების, თევზების, მტაცებელი ცხოველის გამოსახულებით; აბსტრაქტული ორნამენტებსა და სხვადასხვა სიმბოლოებს, როგორცაა მზის დისკო და ბორჯღალი. აღნიშნულ ორნამენტებს გააჩნია მნიშვნელოვანი მხატვრული და სამეცნიერო ღირებულება, რომელთა სემანტიკური გააზრება და სიმბოლურ სტილისტური ახსნა საგანგებო კვლევის საგანს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ფრაგმენტებზე ზოგჯერ შეუძლებელია სიუჟეტისა და მოტივის სრულად წარმოდგენა, ერთი რამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას – დეკორირებისას ოსტატები იყენებდნენ ორნამენტული მოტივების ტრადიციულ კომპლექტს და მთელ კომპოზიციას უთანხმებდნენ ჭურჭლის სახეობასა და ფორმას.

თანამედროვე ეტაპზე, ქუთაისური მოჭიქული კერამიკის ორნამენტული დეკორი სპეციალისტების მიერ ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი – ფაქტიურად არ ჩატარებულა ორნამენტის ისტორიულ-სახელოვნებათმცოდნეო კვლევა, მისი სტილისტური განვითარების დეტალური ანალიზი.

different types and motifs of painting: geometric ornaments - in the form of stripes, rings, concentric circles, ovals, spirals; Plant ornaments – stylized leaves, in the form of flowers, branches, fruits; plant-geometric ornaments; zoomorphic ornaments – with images of various birds, fish, predatory animals; Abstract ornaments and various symbols, such as the solar disk and bordzhgali (a type of swastika). These ornaments have significant artistic and scientific value, the semantic understanding and symbolic-stylistic explanation of which are the subject of special research. Although it is sometimes impossible to fully represent the plot and motif on the fragments, one thing can be said with certainty - the masters used a traditional set of ornamental motifs in the decor, and the entire composition was consistent with the type and shape of the vessel. At the present stage, the ornamental decor of Kutaisi glazed ceramics has not yet been properly studied by specialists – in fact, a historical and artistic study of the ornament, a detailed analysis of its stylistic development has not been carried out. Publications on ceramic materials include mainly studies from a historical point of view, as

პუბლიკაციები კერამიკული მასალე-ბის შესახებ ძირითადად მოიცავს მათ კვლევას ისტორიული თვალსაზრისით, როგორც არქეოლოგიური ელემენტის დახასიათება-აღწერას და მხოლოდ ნაწილობრივ ეხება მის მხატვრულ დიზაინს, ფორმებისა და ორნამენტაციის ევოლუციის ასპექტში. რეალურად, კი მრავალწახნაგოვან გამოყენებით ხელოვნებაში კერამიკული ნაკეთობანი უდავოდ იმსახურებს სხვა სახის ნაკეთობებზე არანაკლებ ყურადღებას და მისი ორნამენტული ხელოვნების ადგილის სწორი გაგება და ახსნა ბევრ კითხვაზე გასცემს პასუხს.

აღნიშნული უკმარობის სრულად შევსების მიზნით, ქუთაისის ისტორიული მუზეუმის მკვლევართა ჯგუფის მიერ, საგრანტო პროექტის – „მოჭიქული კერამიკის ორნამენტის განვითარების ეტაპები და მისი სამეცნიერო კატალოგიზაცია“, ფარგლებში განხორციელდა: ქუთაისური კერამიკული ნაკეთობების ორნამენტული დეკორის სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ანალიზი; ორნამენტების თავისებურებათა განხილვა სტილისტურ-კომპოზიციური და ისტორიული თვალსაზრისით; ადრეულ ეპოქებში მისი გამოვლინების მოკვლევა; მათი უცხოური პარალელების მოძიება; კერამიკასა და სხვა არტეფაქტებზე (მონუმენტური და მინიატურული მხატვრობა, ქვის რელიეფები, ჭედური ხატები, დეკორატიული მინანქარი, ქსოვილები) არსებული ორნამენტების ურთიერთშედარებითი ანალიზი. განხორციელდა აგრ

a characteristic-description of an archaeological element, and only partially concern its artistic design, from the point of view of the evolution of forms and ornamentation. But in reality, in the multifaceted applied art, ceramic dishes undoubtedly deserve no less attention than other products, and a correct understanding and explanation of its place in decorative art will provide answers to many questions. In order to compensate for this deficiency, within the framework of the grant project – „Stages of development of glazed ceramic ornament and its scientific cataloging“ a group of researchers from the Kutaisi Historical Museum conducted: Structural and typological analysis of the ornamental decor of Kutaisi ceramics; discussion of the features of ornaments from a stylistic-compositional and historical point of view; tracing its manifestation in the early period; identified their foreign parallels; Comparative analysis of ornaments on ceramics and other monuments (monumental and miniature painting, stone reliefs, engraved icons, decorative enamels, textiles). Influences of Western and Eastern art were also revealed.

რეთვე, დასავლური თუ აღმოსავლური ხელოვნების ზეგავლენების კვალის დადგენა.

მოჭიქული კერამიკის ორნამენტის, როგორც სტილისტური, ისე კულტურულ და სოციალურ კონტექსტების განალიზებისთვის გამოყენებულ იქნა ინტერდისციპლინარული მიდგომები.

კვლევის ძირითად კრიტერიუმად შერჩეულ იქნა შემდეგი თანამედროვე მეთოდები: ვიზუალური ანალიზის მეთოდი – მხატვრული სტილის, ფერთა პალიტრის, კომპოზიციის შესწავლისათვის, ასევე ორნამენტის კულტურული, ისტორიული და მხატვრული თავისებურებების განსაზღვრისათვის; ისტორიული და კულტურული კვლევის მეთოდები – ორნამენტის შედარებისათვის ადგილობრივი სხვადასხვა რეგიონის და უცხოეთის არქეოლოგიურ აღმოჩენებთან, კულტურული და ისტორიული კავშირების დასადგენის მიზნით; შედარებითი ანალიზის და ანალოგიების მეთოდი – შესწავლილი ორნამენტის შედარება სხვადასხვა მუზეუმებისა და კერძო კოლექციების ნიმუშებთან მსგავსებისა და განსხვავებების გამოსავლენად, ასევე სხვადასხვა ძეგლებზე გამოსახული ორნამენტებთან შედარებისათვის.

Interdisciplinary approaches were used to analyze both the stylistic and cultural-social context of the glazed ceramic ornament.

The following modern methods were chosen as the main criteria for the study: the visual analysis method - to study the artistic style, color palette, composition, as well as to determine the cultural, historical and artistic features of the ornament; Methods of historical and cultural research - to compare the ornament with archaeological finds from different regions of the country and abroad, in order to establish cultural and historical connections; The method of comparative analysis and analogies - comparing the studied ornament with samples from different museums and private collections to identify similarities and differences, as well as for comparison with ornaments depicted on different monuments.



მოჭიქული კერამიკის წარმოების დამადასტურებელი არტეფაქტები ქუთაისის ნაქალაქარიდან¹

ARTIFACTS REFLECTING THE TRADITIONS OF PRODUCING GLAZED CERAMICS FROM THE KUTAISI OLD SETTLEMENT²

საქართველოში გავრცელებული ჭურჭლის მოჭიქვის ხალხური ტრადიციები არა ერთმა მეცნიერმა გამოიკვლია. გასული საუკუნის კვლევებიდან საინტერესოა ლ. ბოჭორიშვილის (ბოჭორიშვილი, 1949), ს. ბედუკაძის (ბედუკაძე, 1957: 285-302), ც. კაკაბაძის (კაკაბაძე, 1970: 107-109), ზ. მაისურაძის (მაისურაძე, 1953), მ. მიწიშვილის (მიწიშვილი, 1975: 152-158) (მიწიშვილი, 1976) და სხვ. პუბლიკაციები. ნაშრომებში არქეოლოგიური გათხრებითა თუ შემთხვევით მოპოვებული არ-

A number of scientists have researched the folk traditions of pottery glazing in Georgia. Among the studies of the last century interesting are the publications of L. Bochorishvili (Bochorishvili, 1949), S. Bedukadze (Bedukadze, 1957: 285-302), Ts. Kakabadze (Kakadadze, 1970: 107-109), Z. Maisuradze (Maisuradze, 1953), M. Mitsishvili (Mitsishvili, 1975: 152-158) (Mitsishvili, 1976) and others. Along with the discussion and analysis of artifacts found by archaeological excavations or by

¹ გამოყენებულია პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებული სტატია: „მოჭიქული კერამიკის წარმოების ისტორიისათვის ქუთაისის ნაქალაქარიდან“.

² The article published within the framework of the project was used: „Artifacts Reflecting the Traditions of Producing Glazed Ceramics from the Kutaisi Historical Museum“.

ტეფაქტების – კერამიკისა და მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტების, განხილვასა და ანალიზთან ერთად ამა თუ იმ კუთხისათვის დამახასიათებელი ჭიქურის შეკაზმვის – საჭიქურე „წამლის“ დამზადებისა და დამუშავების წესების აღწერილობაც არის წარმოდგენილი. ბოლოდროინდელი პუბლიკაციებიდან საყურადღებოა ზ. თვალჭრელიძის ნაშრომი (**თვალჭრელიძე, 2003-2004: 110-126**), რომელშიც წარმოდგენილია გარეჯის დოდოს რქის მოჭიქული ჯამების კვლევა. მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ნ. ქარციძის მონოგრაფია (ან სადისერტაციო ნაშრომი) (**ქარციძე, 2010**), რომელშიც წარმოდგენილია მოჭიქული კერამიკის ქუთაისური კოლექციის სიღრმისეული ანალიზი. საინტერესოა მკვლევარ კ. ქამადაძის ნაშრომი (**ქამადაძე 2014**) – სხვადასხვა წლებში გონიოს ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი, ერთფრად მოჭიქული ნაწარმის აღწერით და მისივე პუბლიკაცია (**ქამადაძე 2016**), რომელშიც განხილულია გონიოსა და ბათუმის ციხეებზე აღმოჩენილი „მარმარილოსებრი“ დეკორით შემკული მოჭიქული ჯამები.

ქუთაისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე მოჭიქული კერამიკის დამზადების ტრადიციის კვლევისათვის ძირითად კრიტერიუმად შეირჩა შემდეგი თანამედროვე მეთოდები: ისტორიული მასალების ანალიზის პრინციპი; ვიზუალურ-აღწერითი, სტატისტიკური, ტიპოლოგიური, ფორმალური

chance - fragments of ceramics and glazed vessels, the description of the rules for the manufacture and processing of glaze "powder" characteristic of this or that area is also presented. Among the recent publications, the work of Z. Tvalchrelidze (**Tvalchrelidze, 2003-2004: 110-126**), which presents a study of the glass bowls from Gareji "Dodos Rqa" (horn) site. Important and noteworthy is N. Kartsidze's monography (**Kartsidze, 2010**), which presents an in-depth analysis of the Kutaisi collection of glazed ceramics.

Interestingly, researcher K. Kamadadze's work (**Kamadadze, 2014: 325-328**) – with a description of single-colored glazed products found in the territory of Gonio Castle in different years, and his own publication (**Kamadadze, 2016: 246-250**), in which glazed vases decorated with "marble-like" decor found at Gonio and Batumi castles are discussed.

The following modern methods were selected as the main criteria for studying the issue: the principle of historical materials analysis; Visual-descriptive, statistical, typological, formal classification, technological,

კლასიფიკაცია, ტექნოლოგიური, შედარებითი ანალიზი და ანალოგიები.

ქუთაისის ნაქალაქარისა და მისი შემოგარენის არქეოლოგიური აღმოჩენები ცხადყოფს, რომ მეთუნეობა – გამომწვარი თიხისგან საგნების დამზადების კულტურა, რეგიონში ნეოლითის ეპოქიდან იწყება. ჩვენამდე მოღწეულია სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული ფრაგმენტები და არტეფაქტები, ესენია: ხელით ნაძერწი სქელკედლიანი უხეში, ტლანქი ორნამენტით დეკორირებული ჭურჭლების ფრაგმენტები (ნებიერიძე, 1972); ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის სამეთუნეო ნაწარმი – დიდი ზომის ჩალისფერკეციანი ზედაპირგაპრიალებული დერგები, აგრეთვე უხეშკეციანი, შავად გამომწვარი კერამიკა თეთრამიწას გორადან და ბაგრატის ტაძრის ექსტერიერიდან (ლანჩავა და სხვ., 2010: 68); მოწამეთის შუა ბრინჯაოს ხანის შავად გამომწვარი ჭურჭლები (ჯაფარიძე 1998: 38-58). ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრიდან კერამიკული წარმოება, ფართო მასშტაბებითა და მრავალფეროვნებით, გველინება უკვე, როგორც ძველი კოლხური კულტურის ერთ-ერთი მთავარი და წამყვანი კომპონენტი (ლორთქიფანიძე, 2002: 42). ადრესაშუალო საუკუნეებიდან კი კოლხური კერამიკის წარმატებული განვითარება აშკარაა ქუთაისის მხარეში (ლანჩავა, 2007). ამ პერიოდიდან

comparative analysis and analogies.

The archaeological findings of old city of Kutaisi and its surroundings reveal that pottery - the culture of making objects from fired clay - has begun in the region since the Neolithic era. Fragments and artefacts obtained as a result of archeological research of different periods have reached us, namely: fragments of hand-carved thick-walled vessels decorated with rude ornaments (Nebieridze, 1972); Pottery products of the Eneolithic-Early Bronze Age - large-sized straw-colored surface-polished amphorae (with wide mouth and flat bottom) as well as rough, black-fired ceramics from the Tetramitsa hill and the exterior of the Bagrat temple (Lanchava and others, 2010: 67-73); Black-fired vessels of the Middle Bronze Age from Motsameta (Japaridze, 1998: 38-58). From the 1st half of the 1st millennium B.C., ceramic production, on a wide scale and variety, has already emerged as one of the main and leading components of the ancient Colchian culture (Lortkipanidze, 2002: 338). From the early Middle Ages, the successful development of Colchian ceramics is evident in the Kutaisi region (Lanchava,

ვითარდება და ინერგება ახალი ტექნოლოგიები. ქუთაისელი მეთუნეები ადრევე დაეუფლნენ იმ სიახლეებს, რომელიც თითქმის საყოველთაო მოვლენად იქცა VIII საუკუნის ბოლოდან, როდესაც უკვე შემოდის სამეთუნეო ნაწარმის ახალი სახეობა მოჭიქული ჭურჭლისა და სამშენებლო კერამიკის სახით. სწორედ აქედან იწყება ქუთაისური მოჭიქული კერამიკის დამკვიდრება, რასაც ხანგრძლივი არქეოლოგიური კვლევის შედეგად მოპოვებული მხატვრული სამეთუნეო წარმოების ამსახველი არტეფაქტები გვიდასტურებს.

ქუთაისური მოჭიქული კერამიკის წარმოების ისტორიის დადგენისათვის მნიშვნელოვანია ქუთაისის ნაქალაქარის არქეოლოგიური კვლევების დროს, სხვადასხვა უბანზე აღმოჩენილი სხვადასხვა ეპოქის კერამიკული სახელოსნოების ნაშთები. დაზიანების გამო მათი სრულყოფილად დახასიათება შეუძლებელია. ზოგიერთი მათგანი ფართომასშტაბიანი საქალაქო სახელოსნო იყო, ზოგიც კიდევ მცირე ფორმის ინდივიდუალურ საწარმოს წარმოადგენდა.

ფართო მოხმარების საქალაქო საწარმოს შთაბეჭდილებას ტოვებს ადრექრისტიანული ხანის კერამიკული სახელოსნოს ნაშთი ნაქალაქარის ციტადელის სამხრეთ ფერდობზე. აქ აღმოჩენილი იქნა აგურით მოკირწყლული იატაკი (აგურფენილი) ქვის სამეთუნეო ჩარხი, კერამიკის წიდეები და

2007). From this period, new technologies are developed and introduced. The Kutaisi potters early mastered the innovations that became almost universal from the end of the 8th century, when a new type of pottery products was introduced in the form of glazed vessels and building ceramics. It is from here that Kutaisi glazed ceramics began to be established, which is confirmed by the artefacts showing artistic pottery production obtained as a result of long archaeological research.

The remains of ceramic workshops of different eras found in different areas during the archaeological researches in old city of Kutaisi are important for determining the history of the production of Kutaisi glazed ceramics. Due to damage, it is impossible to characterize them in full. Some of them were large-scale urban workshops, while others were small-scale individual enterprises.





The remains of the pre-Christian ceramic workshop on the southern slope of the old city citadel leave the impression of a city manufacture of wide use. A brick-paved floor (agurpenili), a stone pottery processing tool, ceramic slags and broken

წუნდებული ფრაგმენტები (ვსარ-გებლობით ექსპედიციის ხელმძღვანელის პროფ. ო. ლანჩავას დღიურებით). სტრატოგრაფიული მონაცემების მიხედვით (ცხრ. 1) ეს საწარმო IV-V საუკუნეებით განისაზღვრა. შემორჩენილი მასალით ერთი მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება შეიძლება: წარმოებაში გამოყენებული იყო ქვის სწრაფმბრუნავი კერამიკული ჩარხი (ლანჩავა 1996: 118).

fragments were found here (we are supported by the diaries of the expedition leader O. Lanchava). According to the stratigraphic data (Table 1) this enterprise was determined by IV-V centuries. One important conclusion can be made from the remaining material: a stone ceramic tool with fast rotation was used in the production (Lanchava, 1996: 118).

ცხრილი 1.

შიდა ქალაქის სტრატოგრაფია

I		ჰუმუსური ფენა	ეს ფენა გვიანდელია XVIII-XIX სს. შექმნილი. გაბრიელის სასახლის თანადროული და უფრო ადრინდელიც, ალიზიანი ნაგებობის თანადროული
II		ნახშირ-ნაცროვანი ფენა	მძლავრია (0,5 მ.); ზედა ჰორიზონტზე შეინიშნება ქურების ნაშთები. ამავე ჰორიზონტზე წნეხვით ნაპრიალები წითლადმოხატული კერამიკა, (II-ეტაპი სახელოსნო ცხოვრებისა).
III		დამწვარი თიხნარი	ამ დროს ჩანს სასულიერო სასწავლებლის რეკონსტრუქცია განხორციელებული. მასზე მიშენებულია სათავსები აღმოსავლეთის მხრიდან. სავარაუდოდ, ეს სახელოსნოც X-XII სს. მოქმედებდა.
IV		ნახშირ-ნაცროვანი ფენა და დამწვარი თიხნარი	კერამიკული სახელოსნოს არსებობის I ეტაპი VIII-IX სს. მაგ. I და II გოდლედს შორის მოზრდილი ქურა აღმოჩნდა. მასში იყო ორი დოქი და ერთი დაბალკალთიანი, ფართოპირიანი ჯამი.











V		რუხი კორდოვანი ფენა	1 მ-მდე სიმძლავრის, კირქვის და ბათქაშის მინარევებით სავარუდოდ VI-VIII სს.
VI		ბათქაშოვანი ფენა	IV-VII საუკუნეების ტანდალარული ამფორის ნაშთებით.
VII		ღორღიანი ფენა	ცოკოლის დონეზე ზოგადად გვიანანტიკური ხანის ფენა

Table 1.

Stratigraphy of Inner City

I		humus layer	This layer is late, created in XVIII-XIX centuries. Contemporaneous with Gabriel's palace and even earlier, contemporaneous with the unfired clay (Alizi) building.
II		Coal-gray layer	It is powerful (0.5 m.); On the upper horizon, the remains of Kilns can be seen. On the same horizon, pressure- polished red-painted ceramics (II- stage of workshop life).
III		Burnt clay	At this time, the reconstruction of the theological school can be seen. Stores with a workshop have been built on it from the east side. Probably, this workshop also dates back to the 10th- 12th centuries. acted.
IV		Coal-gray layer and burnt clay	The first stage of the existence of the ceramic workshop in the VIII-IX centuries. e.g. Between I and II towers, a big kiln was found. It contained two jugs and one low- skirted, wide-mouthed jam.
V		Gray corduroy layer	Up to 1 m. thick, with limestone and plaster mixtures, probably VI-VIII centuries.

VI		Plaster layer	With the remains of the grooved-bodied amphora of IV-VII centuries.
VII		Gravel layer	At the level of the plinth there is generally a layer of Late Antiquity

მომდევნო ეპოქის VIII-IX საუკუნეების ფართომასშტაბიანი საქალაქო საწარმოს ნაშთი აღმოჩნდა შიდაქალაქის დასავლეთ ნაწილში კონტრფორსებიან კედელთან დედაბურჯსა და დიდ დარბაზს შორის. აქ გოდლედებს ანუ კონტრფორსებს შორის წყვილ-წყვილად განლაგებული ყოფილა კერამიკის გამოსაწვავი 6 ქურა. საკუთრივ სახელოსნოს კედლები ხის ფარდულის სახით უნდა ყოფილიყო მიდგმული გალავნის გოდლედებიან კედელზე. ქურები კი, რომელთა ნაშთებმა ჩვენამდე მოაღწია წრიული, ვერტიკალური ფორმის იყო და წყვილ-წყვილად იყო ამოყვანილი ცეცხლგამძლე თიხისაგან გოდლედებს შორის (სულ სამი წყვილი).

იქვე დედაბურჯთან კუთხეში აღმოჩნდა კარგად განლექილი, ნედლი თიხის შტაპელი მზა ნედლეული ჭურჭლის გამოსაყვან-გამოსაძერწად. წარმოების ხანგრძლივ ფუნქციონირებაზე მეტყველებს მძლავრი ნახანძრალი, ნახშირ-ნაცროვანი ფენა, რომელიც დიდი რაოდენობით დაფიქსირდა ამ ტერიტორიაზე.

The remnants of a large-scale city enterprise of the next era, VIII-IX centuries, were found in the western part of inner city near the buttressed wall between main pillar and the Hall. Here, 6 kilns for firing ceramics were arranged in pairs between the small bastions. The walls of the actual workshop should have been in the form of a wooden shed attached to the bastioned wall. And the kilns, the remains of which have reached us, were circular, vertical in shape, and were made of refractory clay in pairs (three pairs in total).

There, in a corner near the main pier, a well-settled, raw clay staple was found for the extraction and excavation of ready-made raw pottery. A powerful fire, coal-ash layer, which was observed in large quantities in this area, testifies to the long-term operation of the production.

The data shows that this part of inner city was a workshop district in the 8th-9th centuries. At the

მონაცემებით ჩანს, რომ შიდაქალაქის ეს ნაწილი VIII-IX საუკუნეებში სახელოსნო უბანს წარმოადგენდა. მის თანადროულად იქვე ფუნქციონირებდა კირის გამოსაწვავი ქურაც, რომლის პროდუქცია, როგორც ჩანს გამოიყენებოდა არჩილ-ლეონის დროს (VIII ს. შუა ხანებიდან) ქუთათისის საყდრის მშენებლობისათვის. შთამბეჭდავია ისიც, რომ სახელოსნო და საერთოდ ეს უბანი წყლით მარაგდებოდა თეთრამიწას წყაროებიდან მომდინარე საგანგებოდ გამოყვანილი თიხის მაგისტრალით (VIII ს.). იგი გამოივლიდა შიდა ქალაქის ტერიტორიას, შემდეგ ადრინდელი აბანოს კომპლექსს, განიტოტებოდა „ქუთათისის საყდრის“ ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, ერთი ტოტი მიემართებოდა აღმოსავლეთით, ციტადელისაკენ (სამეფო კომპლექსი, აგურის სასახლე, აბანო და სხვ.); მეორე კი ეშვებოდა დედაბურჯისაკენ და ფაქტობრივად წყლით უზრუნველყოფდა სახელოსნო უბანს და დიდ დარბაზს.

მკვლევართა ვარაუდით, სახელოსნოს ფუნქციონირება უნდა დაწყებულიყო არაბთა შემოსევების შემდეგ (VIII საუკუნის შუახანებში). ვინაიდან შიდა ქალაქის დიდი გალავნის დასავლეთი ზღუდე ამ დროს ჩანს დანგრეული, მისი ნანგრევები დღემდე შემორჩენილი შიდა მხრიდან დასავლეთი კედლის გაყოლებით მთელს პერიმეტრზე.

same time, there was also a lime-burning kiln, the products of which were apparently used for the construction of Kutatishi church in the time of kings Archil-Leon (from the middle of the 8th century). It is also impressive that the workshop and this area in general were supplied with water by a specially constructed clay main (8th century) coming from the sources of the Terramitsa. It went through the territory of the inner city, then the former bath complex, branched off in the northeastern corner of the "Kutatishi church", one branch went east, towards the citadel (royal complex, brick palace, bath, etc.); The other one went down to main pillar and actually provided water to the workshop area and the big hall.

According to the researchers, the functioning of the workshop should have started after the Arab invasion (in the middle of the 8th century). Since the western border of the great wall of the inner city seems to have been destroyed at this time, its ruins are still preserved from the inner side along the western wall along the entire perimeter.

The liquidation of the results of the fierce invasions of Murvan "Kru" (the deaf) took place at a fast pace. The rulers of the

მურვან ყრუს მრისხანე შემოსევის შედეგების ლიკვიდაცია სწრაფი ტემპით მომხდარა. ქვეყნის მესვეურები ახალი ენთუზიაზმით შესდგომიან ქალაქის აღმშენებლობის საქმეს. ძველი ბაზილიკების ადგილზე აშენებენ ახალ ტაძარს („ქუთათისის საყდარს“); ციტადელში კი აგურის სამეფო სასახლეს, აბანოს, წყალგაყვანილობის ახალ მაგისტრალს. რეკონსტრუქცია-- განახლება ჩატარეს საფორტიფიკაციო სისტემას და ა. შ.

მაგრამ საკითხავია, მზადდებოდა თუ არა აქ, უშუალოდ ამ სახელოსნოში მოჭიქული კერამიკა? იმ მონაცემების მიხედვით, რომელიც დარბაზის წინა ფართობზე და ერთ-ერთ ჭაში აღმოჩნდა, ასეთი ფრთხილი ვარაუდის გამოთქმა შეიძლება. თუმცა, ექსპედიციის ხელმძღვანელის დღიურებიდან ჩანს, რომ ტაძრის წინ, სამხრეთ ფერდობზე, გაბრიელის ეზოს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ 1984 წლიდან ჩნდებოდა (უკვე 50 მ. სიღრმეზე) შავი ნახანძრალი ფენები კირქვის მინარევებით. ამავე ფენაში მრავლად იყო ჭიქურიანი კერამიკის ფრაგმენტები და ნალვენთები: ცისფერჭიქურიანი ჯამები, გამოყვანილი ქუსლით, ნაკაწრით შესრულებული ორნამენტური ზედაპირით; სხვადასხვა ფერის ჭიქურით (მწვანე, თეთრი, ყვითელი და შავი კოპლები) დაფარული ფრაგმენტები; ქვის როდინის ნატეხი, სავარაუდოდ, ჭიქურის დასაფქველი მოწყობილობის ნაწილი. იმავე შურფში უფრო

country will start the work of rebuilding the city with new enthusiasm. A new temple is being built on the site of the old basilicas (“Kutatishi Sakdari”); In the citadel, there is a royal brick palace, a bathhouse, a new water main. The fortification system was reconstructed and renovated, etc.

But the question is, were glazed ceramics made here, directly in this workshop? According to the data found in the area in front of the hall and in one of the wells, such a cautious assumption can be made. However, it can be seen from the diaries of the head of the expedition that in front of the temple, on the southern slope, in the area of Gabriel's courtyard, since 1984, black igneous layers with limestone admixtures appeared (already at a depth of 50 m). In the same layer there were a lot of glazed ceramic fragments and sherds: blue-glazed jars with a raised heel, scratched ornamented surface; Fragments covered with different colors of glaze (green, white, yellow and black dots); A stone grinder fragment, probably part of a glaze-grinding device. Deeper in the same pit (approx. 1.5 m. depth) a fragment of a light brown-glazed, full-sized jar

ღრმად (დაახლ. 1,5 მ. სიღრმეზე) ღია ყავისფერჭიქურაიანი, მოზრდილი ზომის ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი აღმოჩნდა ყვითელ-მწვანე ორნამენტებით, სავარუდოდ, XI-XII საუკუნეებისა. მეზობლად №3 თხრილში 1,80 მ. სიღრმეზე, ასევე, გამომწვარი ყვითელი თიხნარის ქვეშ ჭიქურში ამოვლებული ქვის ნატეხი აღმოჩნდა. ისიც ნახანძრალ ფენაშია, რომელშიაც ჩამქრალი კირის ნაშთია. სავარაუდოდ, აქაც შესაძლოა თიხის (ჭიქურიანი) გამოსაწვავი ინდივიდუალურ სახელოსნოს არსებობასთან გვეკონდეს საქმე.

გარდა ამისა, ქუთაისის ისტორიული მუზეუმის არქეოლოგიის ფონდში დაცულია ქუთაისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს აღმოჩენილი წარმოების ამსახველი ნივთები, კერძოდ:

თიხის სამფეხა ზედადგარი – შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. სავ. №7206.88, მოწითალოკეციანი. ფეხის ნაწილზე შეიმჩნევა ჭიქურის კვალი. ზომები: სიმაღლე – 2,5 სმ; საყრდენებს შორის დაცილება საშუალოდ 6 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, i24 ნაკვეთი, 9,10 კვადრანტი. (სურ. 1, 1);

სოლის ფრაგმენტი – ქ.ც. №739, წითელკეციანი. მრგვალ-განიკვეთიანი. ფრაგმენტზე არის ჭიქურის ნალვენთები. ზომები: დმ – 4,5 სმ; ექსპედიციის დღიურების მიხედვით რამოდენიმე ერთეული იყო აღმოჩენილი. ამჟამად მხოლოდ ერთი ცალია დაცული,

with yellow-green ornaments, probably from the 11th-12th centuries, was found. 1.80 m in trench No. 3 in the neighborhood. At depth, under the burnt yellow clay, a fragment of stone was found in the glaze. It is also in the burnt layer, in which there are remains of slaked lime. Probably, here too we may be dealing with the existence of an individual clay (glass) firing workshop.

In addition, in the archeology fund of the Kutaisi Historical Museum, there are preserved items representing ceramic production in the territory of Kutaisi old city at different times, namely:

Three-legged clay top stand – inv. 10130 A-842. K. castle field dairy No. 7206.88, Red-crested. There is a trace of glaze on the leg. Dimensions: height - 2.5 cm; The distance between the supports is 6 cm on average; Found: Kutaisi old city, i24 plot, 9, 10 square. (Fig. 1, 1);

Wedge fragment – K. castle field dairy No. 739, red-faced. Round-horizontal sectioned. There are glaze spots on the fragment. Dimensions: dm - 4.5 cm; According to the diaries of the expedition, several units were discovered. Currently, only one piece is preserved, as well as the

ისევე როგორც ზემოთ განხილული ზედადგარი. (სურ 1, 2); ჭიქურში ამოვლებული ქვის ფრაგმენტები (5 ერთეული) – ქ.გ. №203.08, ოთხი აღმოჩენილია ქუთაისის ნაქალაქარზე, ერთი გელათში (სურ. 1, 3);

top stand discussed above. (Fig. 1, 2);

Glazed stone fragments (5 units) – K.G. No. 203.08, four were found in old city of Kutaisi, one in Gelati (Fig. 1, 3);



1



2



3



4

სურ. 1. ჭიქურიანი კერამიკის ფრაგმენტები ქუთაისის ნაქალაქარიდან

Fig. 1. Glazed pottery fragments from Kutaisi old city

მოჭიქული რიყის ქვის დიდი ზომის ფრაგმენტი – შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. სავ. №5780.87, მომწვანო-მოცისფრო. ზედაპირზე აქვს დულაბის ნარჩენები, კედლის მშენებლობაში მეორადი გამოყენებით. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, i2 ნაკვეთის მე-8, მე-12 კვადრატებში. (სურ. 1, 4).

მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს ჭიქურის ფხვნილის მოსამზადებელი ხელსაფქვავის სანაყები:

ჭიქურის ხელსაფქვავის სანაყი – შ. წ. 6362 BB-896, სატარე ნაწილში შემორჩენილი მწვანე ჭიქურის კვალით. ზომები: სიმაღლე – 23 სმ; ქვედა ნაწილის დმ – 11 სმ. (სურ. 2, 1);

ჭიქურის ხელსაფქვავის სანაყის ფრაგმენტი – შ. წ. 6362 BB-896, შემორჩენილი აქვს მწვანე ფერის ჭიქურის კვალი. ზომები: შემორჩენილი სიმაღლე – 12 სმ; ქვედა ნაწილის დმ – 12 სმ. (სურ. 2, 2);

ჯამის ძირის ფრაგმენტი – შ. წ. 10130 AA-842. ქ.ც. სავ. №5443.86, წითელკეციანი, სქელკედლიანი, თხელძირიანი. შიდა მხარეს ძირში აქვს მწვანე ჭიქურის ნალვენთი, რაც მიუთითებს ჭიქურის წარმოებაზე. კერძოდ, საწარმოო უნდა ყოფილიყო არა მარტო განვითარებულ შუასაუკუნეებში, არამედ გვიან შუასაუკუნეებშიც. რაზეც მიუთითებს სქელ-

A large-sized fragment of glazed cobblestone – inv. 10130 A-842. K. castle field dairy No. 5780.87, green-blue. The surface has residues of fermentation, secondary use in wall construction. It was found: in the 8th and 12th squares of plot i2, old city, Kutaisi. (Fig. 1, 4).

An important material is the grinding wheel for the preparation of glaze powder:

Glazed hand grinder's hand-held stone supply – inv. 6362 BB-896, with traces of green glaze remaining on the handle. Dimensions: height – 23 cm; The diameter of the lower part is 11 cm. (Fig. 2, 1);

A fragment of the glazed hand grinder's hand-held stone – inv. 6362 BB-896, traces of green glaze remain. Dimensions: remaining height – 12 cm; The diameter of the lower part is 12 cm. (Fig. 2, 2);

The fragment of the base of the bowl – inv. 10130 AA-842. K. castle field dairy No. 5443.86, red-faced, thick-walled, thin-bottomed. The inner side has a spot of green glaze at the base, indicating the manufacture of the glaze. In particular, production should have been developed not only in the middle ages, but also in the late middle ages. What is indicated by the thick-walled

კედლიანი ჯამის ძირის მოყვანილობა. ჯამის ძირის დმ – 10 სმ; კეცის სისქე – 1,2 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, M4 ნაკვეთის მე-2, მე-3 კვადრატებში (სურ. 2, 3).

bottom lining. Dm of the base of the bowl – 10 cm; thickness of the fold – 1.2 cm; Found: Kutaisi old city, in the 2nd and 3rd squares of the M4 plot (Fig. 2, 3).



1



2



3

სურ. 2. ჭიქურის ხელსაფეკვავის საწყის ფრაგმენტები ქუთაისის ნაქალაქარიდან

Fig. 2. Fragments of the glazed hand grinder from Kutaisi old city

ზემოთ აღნიშნულ ვარაუდს ამყარებს ის ფაქტი, რომ სასულიერო სასწავლებლის საძირკვილიდან მრავლად ამოვიდა ღარიანი კრამიტი – კალიპტერი. ზოგი მათგანი მუქი ღვიძლისფერი (ყავისფერი), ზოგიც მუქი მწვანე ფერის ჭიქურით. მასთან ერთად აღმოჩნდა ჭიქურიანი ანტიფიქსიც ქართული ასომთავრული წარწერით: „ქრისტე ადიდე“. ექსპედიციის ხელმძღვანელის დღიურების მიხედვით ე.წ. სასულიერო სასწავლებლის სათავსოებიდან ერთ-ერთში (აღმ. მხარეს) კერამიკის გამოსაწვავი ქურა აღმოჩნდა. სტრატეგრაფიული თვალსაზრისით ეს სახელოსნო მესამე სამშენებლო ფენას ეკუთვნოდა (ცხრ. 1).

ზემოგანხილული, არქეოლოგიური კვლევის შედეგად აღმოჩენილი მასალები – კერამიკული სახელოსნოს ნაშთები, ქვის სამეთუნეო ჩარხი, კერამიკის გამოსაწვავი ქურები, წარმოების ამსახველი ნივთები კერამიკის წიდეები, და სხვადასხვა ჭიქურიანი ფრაგმენტები მნიშვნელოვანი მასალებია ქუთაისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე მოჭიქული კერამიკის წარმოების ისტორიის დადგენისათვის. მათი შესწავლა და სტრატეგრაფიული მონაცემების მიხედვით ანალიზი იძლევა საშუალებას – დავასკვნათ რომ სახელოსნო ფუნქციონირებდა საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ძირითადად არსებობის ორი პერიოდი შეიძლება გამოიყოს: VIII-IX საუ-

The above-mentioned assumption is supported by the fact that a large number of grooved tiles – calypter came out of the foundation of the theological school. Some of them are dark liver colored (brown), some with dark green glaze. Along with it, a glazed antefix was found with a Georgian inscription: "Kriste Adide"(Christ glory). According to the diaries of the head of the expedition, a pottery kiln was found in one of the storerooms of the theological institute (on the upper side). From the stratigraphic point of view (Table 1), this workshop belonged to the third construction layer.

The above-mentioned materials found as a result of archaeological research - the remains of a ceramic workshop, a stone kiln, kilns for firing ceramics, production items, ceramic slag, and various glazed fragments are important materials for determining the history of glazed ceramics production in the territory of Kutaisi old city. Their study and analysis according to stratigraphic data allows us to assume that the workshop functioned for a long time. Basically, two periods of existence can be distinguished: VIII-IX centuries and X-XI centuries. It

კუნეები და X-XI საუკუნეები. იგი განადგურებული ჩანს „დიდი თურქობის“ დროს, XI საუკუნის 80-იან წლებში. ანალოგიური სახელოსნო-საწარმო ივარაუდება გელათის სამონასტრო კომპლექსთანაც.

სამწუხაროა, რომ უფრო კონკრეტული მასალა ჭიქურიანი ჭურჭლის წარმოებისა ნაქალაქარზე მიკვლეული არაა. განხილული კოლექცია მხოლოდ ზოგად წარმოდგენას იძლევა ქუთაისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე მოჭიქული კერამიკის ისტორიის გარკვევისათვის. ამ ადგილზე ხანგრძლივმა ინტენსიურმა ცხოვრებამ და განახლება-ახალშენებლობებმა ძველი ფენები ფაქტობრივად შეიწირა, რის გამოც მრავალი, ჯერჯერობით პასუხგაუცემელი კითხვა არსებობს. წარმოების პროცესის აღდგენა, სრულყოფილი სურათის წარმოდგენა და ქრონოლოგიური ჩარჩოების დადგენა შემდგომ კვლევებსა და პარალელური მასალების გამოყენებით დაზუსტებას საჭიროებს.

seems to have been destroyed during the "Great Turkism"(invasions of Ottomans) in the 80s of the 11th century. A similar workshop-enterprise is assumed at the Gelati monastery complex.

It is a pity that a more specific material has not been traced to the production site of glazed vessels. The considered collection only gives a general idea for clarifying the history of glazed ceramics in the old city area of Kutaisi. The long-term intensive life and renovations in this place have actually destroyed the old layers, which is why there are many, still unanswered questions. Restoring the production process, presenting a complete picture and establishing a chronological framework require further research and clarification using parallel materials.



ქუთაისური მოჭიქული კერამიკული ნაკეთობების ორნამენტის სახეები და სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ანალიზი

TYPES OF ORNAMENT AND STRUCTURAL-TYPOLOGICAL ANALYSIS OF KUTAISI GLAZED CERAMICS

მოჭიქულ კერამიკას განსაკუთრებით ფასეულს ხდის ორნამენტული მოტივებით მოხატვა. ორნამენტს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებაში. ის, როგორც ნაკეთობის მხატვრული დიზაინის ელემენტი, აერთიანებს ესთეტიკურ და პრაქტიკულ პრინციპებს და ერთდროულად ასრულებს დეკორატიულ და უტილიტარულ ფუნქციებს. ესთეტიკური თვალსაზრისით კერამიკული ნაკეთობის ორნამენტით გაფორმება აძლევს მას ექსპრესიულობას, ხაზს უსვამს მის ფორმას და ქმნის უნიკალურ მხატვრულ გამოსახულებას. ის ხასიათდება ცვლილებით გარკვეული ისტორიული პერიოდის შესაბამისი


Glazed ceramics are especially valuable when painted with ornamental motifs. Ornament plays an important role in decorative and applied art. As an element of the artistic design of a product, it combines aesthetic and practical principles and simultaneously performs decorative and utilitarian functions. From an aesthetic point of view, decorating a ceramic product with an ornament gives it expressiveness, emphasizes its form and creates a unique artistic image. It is characterized by changes in style

სტილის მიხედვით. გარდა ამისა ისტორიულად ორნამენტი ასახავდა საზოგადოების მსოფლმხედველობას, მის იდენტობას, რელიგიურ და ფილოსოფიურ იდეებს, ტრადიციებს, და ესთეტიკურ იდეალებს. ამავდროულად ხშირად წარმოადგენდა სიმბოლური ინფორმაციის გადაცემის საშუალებას. ის თანამედროვე მკვლევარებს საშუალებას აძლევს უკეთ გაიგონ, რა იდეები და სიმბოლოები იყო მნიშვნელოვანი მისი შემქმნელი საზოგადოებისთვის.

ორნამენტის შესწავლა წარმოადგენს წარსულის სულიერი ცხოვრებისა და კულტურული იდენტობის გაგების გასაღებს, რაც მას როგორც ისტორიული, ისე მხატვრული ანალიზის ღირებულ ობიექტად აქცევს.

corresponding to a certain historical period. In addition, historically, the ornament reflected the worldview of society, its identity, religious and philosophical ideas, traditions, and aesthetic ideals. At the same time, it often served as a means of transmitting symbolic information. It allows modern researchers to better understand what ideas and symbols were important to the society that created it.

The study of ornament represents a key to understanding the spiritual life and cultural identity of the past, making it a valuable object of both historical and artistic analysis.



**გეომეტრიული ორნამენტი
ქუთაისურ მოჭიქულ კერამიკაზე.
სპირალური მოტივები³**

**GEOMETRIC ORNAMENTS ON
KUTAISI GLAZED CERAMICS.
SPIRAL MOTIFS⁴**

მოჭიქული კერამიკის ქუთაისურ კოლექციაში გეომეტრიული ორნამენტებით დეკორირებულ ნიმუშებს შორის გვხვდება მრუდხაზოვანი ხვეული კომპოზიციებით შემკული ჭურჭლის ფრაგმენტები. ეს კომპოზიციები წარმოადგენს სოლარულ სიმბოლოებს, საკუთარი ცენტრის გარშემო მბრუნავ მოზრდილ სპირალებსა და მცირე ზომის მრუდხაზოვან ხვიებს.

In the Kutaisi collection of glazed ceramics, among the samples decorated with geometric ornaments, there are fragments of vessels decorated with curvilinear spiral compositions. These compositions represent solar symbols, large spirals rotating around their center and small curvilinear curves.

³ გამოყენებულია პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებული სტატია: „ქუთაისურ მოჭიქულ კერამიკაზე გამოსახული სპირალური მოტივების ანალიზისათვის“

⁴ The article published within the framework of the project was used: „For the Analysis of Spiral Motifs Depicted on Kutaisi Glazed Ceramics“

ასეთი სახის სპირალები და ხვები უძველეს სიმბოლო-ნიშნებს განეკუთვნება, რომელთა უადრესმა გამოსახულებებმა, ქვის ხანის ადამიანის მიერ გამოქვაბულში ამოკაწრული პეტროგლიფების სახით, შორეული წარსულიდან ჩვენამდე მოაღწია. სპირალი აქტიურად გამოყენებული ნიშანია ძველი სამყაროს ყველა კულტურაში და თავისი ფორმით სამყაროს დაუსაზამობის, მარად ბრუნების, დროის უსასრულობის, უწყვეტი წრიული მოძრაობის და ზოგადად, სიცოცხლის განვითარების მაგიურ სქემატურ გამოსახულებას წარმოადგენს. ამასთან, ის ასოცირდება ცენტრის – საწყისთა საწყისის სიმბოლიკასთან, სადაც კონცენტრირებულია ძალა და ენერგია, რაც უზრუნველყოფს მოძრაობას. ის ერთდროულად არის მზისა და მთვარის სიმბოლო და ჰაერისა და წყლის გამოხატულებაც. გარდა ამისა, ის არის სულიერი ზრდის, განვითარებისა და გაუმჯობესებისაკენ მიმავალი გზის სიმბოლო; ყოველი მისი შემობრუნება რაღაც ახალს აღნიშნავს; მისი რიტმული მოძრაობა და თანდათანობითი გაფართოება აკავშირებს უძრობას მოძრაობასთან, დროებითს – მარადიულთან, ციკლურობას – ევოლუციასთან.

სპირალი, როგორც ჩანს, ქართველთა შორეული წინაპრების რწმენა-წარმოდგენაშიც საკრალური ნიშან-სიმბოლოს წარმოადგენდა და ასტრა-

Spirals and curves of this kind belong to ancient symbols-signs, the earliest images of which, in the form of petroglyphs scratched in caves by people of the Stone Age, have reached us from the distant past. The spiral is an actively used sign in all cultures of the ancient world, and in its form represents a magical schematic representation of the inconsistency of the world, the eternal rotation, the infinity of time, the continuous circular movement and the development of life in general. In addition, it is associated with the symbolism of the center - the beginning of beginnings, where power and energy are concentrated, which ensures movement. It is simultaneously a symbol of the sun and the moon and an expression of air and water. In addition, it is a symbol of the path to spiritual growth, development and improvement; Every turn of it marks something new; Its rhythmic movement and gradual expansion connect stillness with movement, temporality with eternity, cyclicity with evolution.

It seems that the spiral was also a sacred sign and symbol in the beliefs of the distant ancestors of Georgians and had

ლურ-კოსმოგონიურ ხასიათს ატარებდა. ალბათ ამიტომაც გამოსახავდნენ ამ სიმბოლურ-ქვეტექსტოვან ფიგურას საკუთარი ხელით შექმნილ უპირველეს ნივთებზე – თიხის ჭურჭელზე, ხოლო მოგვიანებით ბრინჯაოსა თუ ოქროს ნაკეთობებზე. მათგან საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ყველაზე ადრეული ნიმუში „სათვალისებური“ სპირალის გამოსახულებით, რომელიც კიკეთის მიდამოების სამარხის არქეოლოგიური გათხრების დროს იქნა აღმოჩენილი (კლდიაშვილი, იზორია, 2001: 293), ჯერ კიდევ პრეისტორიულ – ენეოლით-ბრინჯაოს ხანას განეკუთვნება (სურ. 1, 1). ეს ფაქტი შესაძლებელს ხდის ვივარაუდოთ, რომ გამოქვაბულის კედლიდან უწყვეტი წრიული მოძრაობის ამ სიმბოლომ პირდაპირ თიხის ნაკეთობებზე გადაინაცვლა.

ამ პერიოდიდან მოყოლებული, შეიძლება ითქვას, რომ თითქმის უწყვეტად ხდებოდა სპირალური ორნამენტით სუფრის, სამზარეულო, სამეურნეო და საკულტო დანიშნულების კერამიკული ნაკეთობებისა და თიხის ჭურჭლის მორთვა. განსაკუთრებით ფართო გავრცელება ჰპოვა მან ბრინჯაოს ხანაში (სურ. 1, 2-5). აკად. ო. ჯაფარიძე სამართლიანად მიიჩნევს, რომ, მტკვარ-არაქსის კულტურის აყვავების ხანაში სპირალს წამყვანი ადგილი უკავია და იგი გასაოცარ მრავალგვარობას იჩენს გეომეტრიულ მოტივთა შორის.

an astral-cosmogonic character. Perhaps that is why they depicted this symbolic-subtextual figure on the first things they created with their own hands - on clay vessels, and later on bronze or gold products. Among them, the earliest sample with the image of a "glass-shaped" spiral found in the territory of Georgia, which was discovered during the archaeological excavations of the tomb in the Kiketi area (Kldiashvili, Izoria, 2001: 293), still belongs to the prehistoric - Eneolithic-Bronze Age (Fig. 1, 1). This fact makes it possible to assume that this symbol of continuous circular movement from the cave wall was transferred directly to the pottery.

From this period onwards, it can be said that spiral ornaments were used almost continuously to decorate tableware, kitchen, household and cult ceramics and earthenware. It was especially widespread in the Bronze Age (Fig. 1, 2-5). Acad. O. Japaridze rightly believes that in the heyday of the Mtkvar-Araksi culture, the spiral occupies a leading place and it shows an amazing diversity among geometric motifs.



სურ. 1. სპირალური მოტივები უძველეს კერამიკაზე; 1 — ჭურჭლის ფრაგმენტი, კიკეთი. (ენეოლითური ხანა); 2 — სასმისი, ციხიაგორა. ძვ.წ. IV-III ათასწ. ადრე ბრინჯაოს ხანა; 3 — დერგი, სამცხე-ჯავახეთი, ჭობარეთის ნამოსახლარი. ძვ. წ. III ათასწ. ბრინჯაოს ხანა („ღვინის ისტორიის ფონდი - საქართველო ღვინის სამშობლო, 2020); 4 — დერგი, ნამგალამიწა. ძვ.წ. II ათასწ. გვიანი ბრინჯაოს ხანა (კახიანი, 2020); 5 — ჭურჭელი, თრიალეთის გორასამარხი. ძვ.წ. II ათასწ. გვიანი ბრინჯაოს ხანა (ნარიმანიშვილი, 2020:181)

Fig. 1. Spiral motifs on ancient ceramics; 1 – fragment of a vessel, kiketi. (Eneolithic Age); 2 – cup, Tsikhiagora. BC IV-III millennium Early Bronze Age; 3 – Dergi (stamnos), Samtskhe-Javakheti, Chobareti settlement. BC year III millennium Bronze Age ("Wine History Foundation - Georgia, Homeland of Wine, 2020); 4 – dergi, scythe. BC II millennium Late Bronze Age (Kakhiani, 2020); 5 – Pottery, Trialeti Hill Cemetery. BC II millennium Late Bronze Age (Narimanishvili, 2020: 181)

ამ ორნამენტს არსად ისეთი ფართო გავრცელება არ მიუღია, როგორც

This ornament did not spread as widely as in Mtkvar-Araksi culture [Japaridze, 1976: 91-92].

მტკვარ-არაქსის კულტურაში (ჯაფარიძე, 1976: 91-92). ცხადია, ეს ტრადიცია გაგრძელდა ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში.

Obviously, this tradition continued in Antiquity and the Middle Ages.



სურ. 2. სპირალური ორნამენტები ხელოვნების ნიმუშებზე: 1 – ოქროს ყელსაბამი თრიალთის ყორღანული კულტურიდან; 2, 3 – ოქროს სამკაულები ვანის საგანძურიდან; 4 – ბრინჯაოს სარტყელი; 5 – აბზინდა; 6 – ბალთა

Fig. 2. Spiral ornaments on works of art: 1 – gold necklace from the Korghan culture of Trialeti; 2, 3 – gold jewelry from Vani treasure; 4 – bronze belt; 5 – bronze buckle; 6 – bronze buckle

ამ ფაქტს არქეოლოგიური კვლევის შედეგად მოპოვებული მრავალი უძველესი არტეფაქტი ადასტურებს. ამასთან, სპირალური ორნამენტი

This fact is confirmed by many ancient artifacts found as a result of archaeological research. In addition, the spiral

მხოლოდ თიხისა და კერამიკული ნაკეთობებისათვის დამახასიათებელი მოტივი როდია – მისი გამოყენება ძველთაგანვე ფართოდ დაინერგა სხვადასხვა დანიშნულების საგნებზე. ის გვხვდება ადრეყორღანული მტკვარ-არაქსის კულტურის ოქროს სამკაულებზე (სურ. 2, 1) (თრიალეთის კულტურა, 2019), ბრინჯაოს ქინძისთავებზე, ბედენური კულტურის საკინძებზე, კოლხური კულტურის ოქროს სამკაულებზე (სურ. 2, 2-3) (კოლხები, 2021), ბრინჯაოს ცულებზე, სარტყლებზე (სურ. 2, 4), აბზინდებზე (სურ. 2, 5) (კაუჭიანი აბზინდა, 2020), ფიბულებსა და ბალთებზე (სურ. 2, 6) (ანტიკური ხანის ნაკეთობები, 2014). ასევე მრავლად გვხვდება სპირალური მოტივის გამოყენების მაგალითები ვერძის სტილიზებული ფორმით გამოსახვისას.

ქუთაისურ ჯამებზე, დამოუკიდებელი სახით არსებული სოლარული სიმბოლოს გარდა, გვხვდება კომპოზიციები, სადაც სპირალური მრუდები წარმოდგენილია ისეთ ორნამენტებთან კომბინაციაში, როგორებიცაა – კალიგრაფიული წარწერები, გეომეტრიული ფიგურები, წრეხაზები, წნულები და სხვ. მოტივი ზოგჯერ ჯამის ძირზეა გამოსახული, ზოგჯერ მთლიანად ავსებს ჭურჭლის ზედაპირს, ან მხოლოდ ბორდიურებთან შემოუყვება მას. აქვე უნდა აღინიშნოს იმ ზომიერების შესახებ, რასაც ყო-

ornament is not only a characteristic motif for clay and ceramic products – its use has been widely introduced on objects of various purposes since ancient times.

It can be found on the gold jewelry of the Mtkvar-Araksi culture of the early Korghan (Fig. 2, 1) (Trialeti culture, 2019), on bronze pins, on the clasps of the Beden culture, on the gold jewelry of the Colchis culture (Fig. 2, 2-3) (Colchis, 2021), on bronze axes, belts (Figs. 2, 4), buckles (Figs. 2, 5) (hooked buckles, 2020), fibulae and buckles (Figs. 2, 6) (Antique Artifacts, 2014). There are also many examples of the use of the spiral motif in depicting the ram in a stylized form.

On Kutaisi bowls, in addition to the independent solar symbol, there are compositions where spiral curves are represented in combination with such ornaments as calligraphic inscriptions, geometric figures, circles, braids, etc. The motif is sometimes depicted on the bottom of the jar, sometimes it completely fills the surface of the vessel, or it is only bordered by the rims. It should be noted here about the moderation that Georgian artisans have always followed when selecting the color

ველთვის იცავდნენ ქართველი ხელოსნები ფერადოვანი გამის გემოვნებით შერჩევის დროს. ისინი თავს არიდებდნენ მკვეთრ, ჭყეტელა და მყვირალა ფერებს და ახერხებდნენ ჰარმონიული შეხამების მიღებას.

ქუთაისური კოლექციიდან ერთ-ერთი ჯამის (შ. წ. №9539 AA-764 ქ.ც. საგ. №4302.85) ფრაგმენტზე ამოკაწვრით შესრულებული მოზრდილი სპირალური მრუდი, რადიალური სხივებით, უდავოდ სოლარულ სიმბოლოს წარმოადგენს. ჯამი წითელკეციანია, თეთრად ანგობირებული. სპირალი და სხივები ერთობლივად ქმნის მზის ნიშან-სიმბოლოს. მართალია, ნიმუში ფრაგმენტულია, მაგრამ იკითხება, რომ კომპოზიციურად სოლარული სიმბოლო ჯამის ცენტრალურ არეშია გამოსახული. ფერთა გამა მონათესავე ფერებითაა გადაწყვეტილი: ნაკაწრი ხაზები ამოვსებულია მუქი ყავისფერი საღებავით, რაც კარგად ეხამება მომწვანო ოქრას. ჯამზე გადავლებულია უფერული კრიალა ჭიქური (სურ. 3, 1).

წყლის მორევის შთაბეჭდილებას ქმნის კალიგრაფიულ ორნამენტთან კომბინირებული სპირალური მოტივი ერთ-ერთი ჯამის (შ. წ. 9539 AAAA-764. ქ.ც. №4073; 4011.85) ფრაგმენტზე. აქ სპირალის ირგვლივ გამოსახული კონცენტრული წრეები და ტალღებით აზვირთებული კუფური ასონიშნებისაგან შედგენილი ეპიგრაფიკული თუ ფსევდოეპიგრაფიკული

palette according to their taste. They avoided sharp, loud and screaming colors and managed to get a harmonious combination.

A raised spiral curve with radial rays made by scratching on a fragment of one of the coins from the Kutaisi museum collection (№9539 AA-764; №4302.85) is undoubtedly a solar symbol. The coat is red-faced, with white angobe. The spiral and the rays together form the symbol of the sun. It is true that the pattern is fragmentary, but it is readable that the compositionally solar symbol is depicted in the central area of the bowl. The color scheme is decided by related colors: scratched lines are filled with dark brown paint, which goes well with greenish gold. Colorless crystal glass is applied to the bowl (Fig. 3, 1).

A spiral motif combined with a calligraphic ornament creates the impression of a water vortex on a fragment of one of the bowls (№9539A-764; №4073; №4011.85). Here, the concentric circles around the spiral and the epigraphic or pseudo-epigraphic ornament made up of Kufic letters and signs raised like waves really give rise to the association of the water surface.

ორნამენტი მართლაც წყლის ზედაპირის ასოციაციას წარმოშობს. სპირალური მრუდი ქურჭლის ცენტრშია გამოსახული (სურ. 3, 2). ფიგურები სგრაფიტოს ტექნიკითაა შესრულებული. ნაკაწრი ხაზები ყავისფერი საღებავითაა ამოვსებული და ჰარმონიულად ერწყმის ჩალისფერ არეს. ჯამი დაფარულია უფერული ჭიქურით. გარეპირი კალთამდე ანგობირებულია და მასზეც გადავლებულია უფერული კრიალა ჭიქური.

A spiral curve is depicted in the center of the vessel (Fig. 3, 2).

Figures are made with sgraffito technique. The scratched lines are filled with brown paint and blend harmoniously with the straw-colored area. The sum is covered with colorless glaze. The exterior is angobed up to the skirt and a colorless crystal glass is applied to it.



სურ. 3. სპირალური ორნამენტები: 1 — მზის სიმბოლოს სახით; 2 — კალიგრაფიულ ორნამენტთან კომბინაციაში; 3 — გეომეტრიულ ფიგურებში ჩასმული ხვების სახით; 4 — წნულში ჩართული პატარა ხვების სახით

Fig. 3. Spiral ornaments: 1 – in the form of a sun symbol; 2 – in combination with a calligraphic ornament; 3 – in the form of curves inserted into geometric figures; 4 – in the form of small curls included in the braid

კიდევ ერთი ჯამის შემორჩენილ ფრაგმენტზე (შ. წ. №5674 AA-259/2) გამოსახულია გეომეტრიულ ფიგურებში ჩაწერილი ორბრუნიანი სპირალური მრუდები, პატარა ხვების სახით (სურ. 3, 3). ამ შემთხვევაში, სავა-

On another surviving fragment of a bowl (N^o5674 AA-259/2) two-turn spiral curves written in geometric figures are depicted in the form of small curls (Fig. 3, 3). In this case, the entire surface of the vessel is

რაუდოდ, ჭურჭლის მთელი ზედაპირია დეკორირებული. ჯამი ყავისფერკეციანი და სქელკედლიანია; შიდაპირი თეთრად ანგობირებული; ამოკაწვრით შესრულებულია ჰორიზონტალური და დიაგონალურად დახრილი ურთიერთმკვეთი ხაზები. ხაზების კვეთით მიღებულ ექვსკუთხედებში ჩასმულია სპირალური მრუდები. ნაკაწრი ხაზები ამოვსებულია ყავისფერი საღებავით. სპირალების ირგვლივ ორნამენტი მონაცვლეობით გახალისებულია მწვანე და მოყვითალო-ყავისფერი საღებავით, რომელიც ფუნჯის საშუალებითაა დატანილი. გადავლებულია უფერო კრიალა ჭიქური. ჯამს აქვს სქელი, დაბალი, გამოყვანილი, ღრუ ქუსლი. ქუსლის ღრუში არის დამღის ანაბეჭდი.

საინტერესოა დეკორირებული ერთ-ერთი წითლად გამომწვარი, თხელკეციანი ჯამის (შ. წ. 10130 AA-842. ქ.გ. საგ. №6358.87) შემორჩენილი ფრაგმენტი, რომლის ორივე, შიგა და გარე ზედაპირი შემკულია ორნამენტებით. შიდაპირზე პატარა სპირალური მრუდები გამოსახულია წნულ თუ გრეხილურ ორნამენტთან კომბინაციაში, კერძოდ ისინი ჩართულია ლენტების გადახლართვის ადგილებში. პირ-ბაკოს ირგვლივ შემოუყვება ორი წრეხაზი-სარტყელი. ნაკეთობის ფრაგმენტულობის გამო (შემორჩენილია მხოლოდ პირ-ბაკოსა და გვერ-

probably decorated. The bowl is brown-walled and thick-walled; inner mouth with white angobed; Horizontal and diagonally inclined intersecting lines are made by scratching. Spiral curves are inserted into the hexagons obtained by the intersection of the lines. Scratched lines are filled with brown paint. The ornamentation around the spirals is alternately brightened with green and yellowish-brown paint applied with a brush. Colorless crystal glass has been applied. Bowl has a thick, low, raised, hollow heel. There is an imprint in the heel cavity.

An interestingly preserved fragment of one of the decorated red-burnt, thin-walled jars (Sh. 10130 AA-842. Kutaisi field dairy No. 6358.87), both the inner and outer surfaces of which are decorated with ornaments. On the inner edge, small spiral curves are depicted in combination with a braided or twisted ornament, in particular, they are included in the places where the ribbons are intertwined. There are two circles around the face. Due to the fragmentary nature of the product (only a fragment of the face and side remains), it is

დის ფრაგმენტი) შეუძლებელია განისაზღვროს მოტივის კომპოზიციური განაწილება, ანუ მხოლოდ ნაპირს შემოსდევს გრებილი ორნამენტი, სარტყელისებურად თუ ზედაპირი მთლად დაფარულია წნული მოტივით. გარეპირზე ვარდულაა გამოსახული, რომლის ფურცლებისაგან თაღედია წარმოქმნილი; თაღებთან, ფურცლებსშორისი მცირე არე, შევსებულია პატარა, სპირალურად ჩახვეული ორნამენტებით. ჯამის ორივე ზედაპირი ანგობირებულია, ორივეზე გამოსახულება შესრულებულია სგრაფიტოს ტექნიკით. ნაკაწრი ხაზები შევსებულია ყავისფერი საღებავით. ჯამის შიგა ზედაპირი გახალისებულია მწვანე, მდოგვისფერი და ყვითელი ფერებით. გარეპირზე ფურცლები მონაცვლეობით შეფერილია მწვანე და მდოგვისფერი საღებავებით. ჯამი დაფარულია უფერული კრიალა ჭიქურით. პირ-ბაკო შესქელებული, არათანაბრად დაშვებული კალთები. (სურ. 3, 4).

ზემოაღწერილ ქუთაისურ მოჭიქულ ჯამებზე გამოსახული სპირალური მოტივების პარალელები დასტურდება საქართველოსა და უცხოეთში მოპოვებულ მასალებში. რადიალურ სხივებთან კომბინაციაში გამოსახულ სოლარულ სიმბოლოსთან (სურ. 3, 1) ყველაზე ახლო პარალელს წარმოადგენს დასავლეთ ანატოლიაში, ნაქალაქარ აფროდისიასის (თურ-

impossible to determine the compositional distribution of the motif, i.e. only the edge is surrounded by a twisted ornament, like a belt, or the surface is completely covered with a braided motif. On the outside, a rose is depicted, the petals of which form an arch; Near the arches, the small area between the leaves is filled with small, spirally wrapped ornaments. Both surfaces of the glass are painted, the image on both is made with sgraffito technique. Scratched lines are filled with brown paint. The inner surface of the jar is brightened with green, mustard and yellow colors. On the outside, the sheets are alternately colored with green and mustard colors. The glass is covered with colorless crystal glaze. Mouth thickened, unevenly lowered skirts. (Fig. 3, 4).

The parallels of the spiral motifs depicted on the above-described Kutaisi glazes are confirmed in the materials found in Georgia and abroad. The closest parallel to the solar symbol depicted in combination with radial rays (Fig. 3, 1) is the ornament depicted on a Byzantine glazed ceramic jar (Fig. 4, 1) discovered as a result

ქეთი) გათხრების შედეგად აღმოჩენილ, XI-XII საუკუნეებით დათარიღებულ, ბიზანტიურ მოჭიქულ კერამიკულ ჯამზე გამოსახული ორნამენტი (სურ. 4, 1) (Öztaşkın, 2017: 176). ასევე მსგავსებას ავლენს ქ. სიმფეროპოლის თავრიდის ცენტრალურ მუზეუმში (ყირიმი) დაცული მოჭიქული ჯამის ფრაგმენტი, რომელიც ოქროს ურდოს პერიოდითაა დათარიღებული (სურ. 4, 2) (Сейдалиев, 2021: 298).


სპირალური მრუდით შემკული კერამიკული ჭურჭელი საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია ძველი თბილისის ქარვასლის ტერიტორიისა (სურ. 4, 3) (მინდორაშვილი, 2009: ტაბ. XXVI, 171) და მეტეხის ხიდთან – ორმოცი სებასტიანელი მოწამის სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის (დანელია, 2011) არქეოლოგიური კვლევის დროს (სურ. 4, 4). ეს ორი უკანასკნელი ხვიის ფორმით მსგავსებას ავლენს ქუთაისურ მოჭიქულ ჯამთან, გეომეტრიულ ფიგურებში ჩასმული სპირალური მრუდების კომპოზიციით (სურ. 3, 3). ამ ორნამენტის ანალოგები უცხოურ მასალებში კიდევ უფრო მრავლად გვხვდება, მათგან გამოვყოფთ: ქ. სალონიკის ბიზანტიური კულტურის მუზეუმში დაცული ჯამის დეკორი (სურ. 4, 5); ჯამის მოტივები სალონიკის წმ. დემეტრეს საძვალედან (სურ. 4, 6) (Византийская керамика из Салоник, 2019); აღმოსავლეთ ყირიმის

of the excavations of old Settlement Aphrodisias (Turkey) in Western Anatolia, dated to the 11th-12th centuries [Öztaşkın, 2017: 176]. It is also similar to St. A fragment of a glazed jar preserved in the Central Museum of Tavrid in Simferopol (Crimea), dated to the period of the Golden Horde (Fig. 4, 2) [Seydaliev. 2021: 298].

A ceramic vessel decorated with a spiral curve was discovered in the territory of Georgia in the area of the Old Tbilisi Karvasla (Fig. 4, 3) [Mindorashvili. 2009: Tab. XXVI, 171] and Metekhi Bridge - during the archaeological survey of the area surrounding the Church of the Forty Sebastian Martyrs (Danelia, 2011) (Fig. 4, 4). These last two are similar in shape to the Kutaisi glazed bowl, with the composition of spiral curves inserted into geometric figures (Fig. 3, 3). Analogues of this ornament can be found even more in foreign materials, we will single out: the decor of the jar preserved in the Museum of Byzantine Culture in Thessaloniki (Fig. 4, 5); The motifs of Thessalonica from the crypt of Demetrius (Fig. 4, 6) (Византийская керамика из Салоник, 2019); The decoration of the glazed imported vessels of

მოჭიქული იმპორტული ჭურჭლის დეკორი ოქროს ურდოსდროინდელ ქალაქებში აზაკსა (სურ. 4, 7) (Масловский, 2017: 483) და ალუმტაში (სურ. 4, 8-10), (Тесленко. 2021: 221);

the Eastern Crimea in the Golden Horde cities of Azak (Fig. 4, 7) (Масловский. 2017: 483) and Alushta (Fig. 4, 8-10), (Тесленко. 2021: 221);



სურ. 4. სპირალური მოტივების უცხოურ და ადგილობრივ მასალებში:
 1 — აფროდისიასის ნაქალაქარიდან; 2 — სიმფეროპოლის მუზეუმიდან; 3, 4 — ძველი თბილისიდან; 5 - 6 სალონიკიდან; 7 -10 — ყირიმიდან; 11 — აფროდისიასიდან; 12 — ბურსადან

Fig. 4. Spiral motifs in foreign and local materials: 1 – from the village of Aphrodisias; 2 – from the Simferopol Museum; 3, 4 – from old Tbilisi; 5 - 6 from Thessaloniki; 7-10 – from Crimea; 11 – from Aphrodisias; 12 – from Bursa

მრავალხაზოვან ექვსკუთხედშია ჩასმული სპირალური მრუდი ნაქალაქარ აფროდიასის ჯამის ფრაგმენტსა (სურ. 4, 11) (Öztaşkın. 2017: 182) და ბურსის ტერიტორიაზე მოპოვებულ მოჭიქულ ფრაგმენტზე (სურ. 4, 12) (Şahin, 2017: 99). წნული ორნამენტისა და სპირალური ხვიების კომბინაციით დეკორირებული ქუთაისური მოჭიქული ჯამის (სურ. 3, 4) საინტერესო პარალელს წარმოადგენს ძველ თბილისში აღმოჩენილი XI-XII საუკუნეებით დათარიღებული ჯამი, რომელზეც გამოსახული მოტივი წარმოადგენს გრეხილ ორნამენტში ჩართულ სპირალურ მრუდებს (სურ. 5, 1) (მიწიშვილი, 1979: 54). მსგავსი ორნამენტით შემკული ჯამი ასევე აღმოჩენილია ბათუმის ციხეზე (მიწიშვილი, 1976: 23).

მსგავსი მოტივები – წნულში ჩართული სპირალური ხვიების სახით, მრავლად გვხვდება უცხოურ მასალებშიც, მათგან აღსანიშნავია: უკრაინის სოფ. ტორგოვიცის არქეოლოგიური კვლევისას აღმოჩენილი მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტი (სურ. 5, 2), რომლის შესახებ ავტორი აღნიშნავს, რომ კერამიკული ნაწარმი შემოტანილი იყო ოქროს ურდოს უფრო აღმოსავლეთ რეგიონებიდან (Козырь, 2017: 344); სამხრეთ-აღმოსავლეთ ყირიმის კერამიკული ჯამი აზოვიდან (სურ. 5, 3) (Масловский, 2017: 482);

A spiral curve is inserted into a multi-line hexagon on the fragment of former city of Aphrodisias bowl (Fig. 4, 11) (Öztaşkın. 2017: 182) and on the glazed fragment found in the Bursa area (Fig. 4, 12) (Şahin, 2017: 99). An interesting parallel to the Kutaisi glazed jar (Fig. 3, 4) decorated with a combination of braided ornament and spiral curls is the jar dated XI-XII centuries found in old Tbilisi, on which the motif is the spiral curves included in the twisted ornament (Fig. 5, 1) [Mitishvili, 1979 : 54]. A jar decorated with a similar ornament was also found at Batumi Castle [Mitishvili, 1976: 23].

Similar motifs - in the form of spiral twists included in the braid, can be found in many foreign materials, among them it is worth noting: village of Ukraine. A fragment of a glazed vessel found during the archaeological survey of Torgovits (Fig. 5, 2), about which the author notes that ceramics were imported from the more eastern regions of the Golden Horde (Козырь. 2017: 344); Southeast Crimean ceramic aggregate from Azov (Fig. 5, 3) (Масловский. 2017: 482); A bowl discovered during

შუა საუკუნეების ოქროს ურდოს პერიოდის დასახლების ალუშტის (ყირიმში) ერთ-ერთი მამულის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი ჯამი (სურ. 5, 4) (Тесленко, 2017: 401).

მოჭიქული კერამიკის უცხოურ მასალებში ანალოგების არსებობა, ცალკეული ორნამენტების და მოტივების სახით, რა თქმა უნდა, იმაზე მეტყველებს, რომ ქართული კერამიკოსები იზოლირებულად, მეზობელი ქვეყნებისგან მოწყვეტილად არ საქმიანობდნენ და კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდათ ახლო და შორეულ მეზობელ ხალხებთან.

the archaeological excavation of one of the estates of Alushti (Crimea) settlement of the medieval Golden Horde period (Fig. 5, 4) (Тесленко. 2017: 401).

The presence of analogues of glazed ceramics in foreign materials, in the form of separate ornaments and motifs, certainly indicates that Georgian ceramists did not work in isolation, separated from neighboring countries, and had cultural and economic relations with near and far neighboring peoples.



სურ. 5. მოჭიქული ჭურჭელი წნულში ჩართული პატარა სპირალით: 1 — ჯამი ძველი თბილისიდან; 2 — ფრაგმენტი ტორგოვიციდან (უკრაინა); 3 — ჯამი აზაკიდან (სამხრეთ-აღმოსავლეთ ყირიმის სახანო); 4 — ჯამი ალუშტიდან (ყირიმში)

Fig. 5. Glazed vessels with a small spiral included in the braid: 1 — a collection from Old Tbilisi; 2 — a fragment from Torgovitsa (Ukraine); 3 — Bowl from Azak (Khanno of South-Eastern Crimea); 4 — Total from Alushti (Crimea)

შუა საუკუნეებიდან, საქართველოში, მსგავსმა სპირალურმა მოტივებმა ფართო ასხავა ჰპოვა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სხვა-

Since the Middle Ages, in Georgia, similar spiral motifs have been widely reflected on various monuments of fine and applied art. Masters intensively

დასხვა ძეგლებზე. ოსტატები ინტენსიურად ქმნიდნენ სხვადასხვა ვარიაციებს ხვიების, ვოლუტების, მეანდრების, სტილიზებული ვაზის პწკალებისა და ყვავილწუნულების სახით. ამ ორნამენტებით შემკულია მინიატურული და მონუმენტური ფერწერის ნიმუშები, ხუროთმოძღვრული ძეგლების ქვის რელიეფები, ჭედური ხატები, დეკორატიული მინანქარი და ქსოვილები (სურ. 6).

მაგალითისათვის დავასახელებთ რამდენიმეს:

მონუმენტური ფერწერიდან (სურ. 6, 1-2) – დეკორატიული შემკულობა XI ს-ის სვანეთის იფრარის კანკელზე (David, Tamar and the Bagratids, 2024: 373); XIII ს-ის ყინწვისის ფრესკაზე (ფირალიშვილი, 1979: ტაბ. 39);

ხუროთმოძღვრული ძეგლების ქვის რელიეფებიდან – მწვანე მონასტერი, იგივე ჩითახევის წმინდა გიორგის IX ს-ის მონასტერი (სურ. 6, 3), X ს-ის ზემო სკრის (სურ. 6, 4) (ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი, 1954: 37), XI ს-ის ზემო კრიხის მთავარანგელოზთა ეკლესია (სურ. 6, 5) (ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი, 1954: 39), XVI ს-ის სამწევრისი (სურ. 6, 6) (ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი, 1954:86); აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემო კრიხის კარიბჭის ტიმპანი (სურ. 6, 7)⁵ და X ს-ის პარხლის ეკლესიის კარის

created various variations in the form of curves, volutes, meanders, stylized vines and flower braids. Samples of miniature and monumental paintings, stone reliefs of architectural monuments, embossed icons, decorative enamels and textiles are decorated with these ornaments (Fig. 6).

For example, we will name a few:

From the monumental painting (Fig. 6, 1-2) – decorative ornament on the chancel of Ifrari, Svaneti, 11th century (David, Tamar and the Bagratids, 2024: 373); on the 13th century Kintsvisi fresco (Firalishvili, 1979: tab. 39);

From the stone reliefs of architectural monuments - Green Monastery, the same as Chitakhevi St. George's 9th century monastery (Fig. 6, 3), Zemo Skra of the 10th century (Fig. 6, 4) (Georgian Architectural Ornament, 1954: 37), XI Church of the Archangels of Zemo Krikhi (Fig. 6, 5) (Georgian Architectural Ornament, 1954: 39), Samtsevrissi (Fig. 6, 6) of the 16th century (Georgian Architectural Ornament, 1954:86); It should be noted here that the remaining

⁵ ფოტოები ნინო სარავასი.

სათაურის შემკულობაში წნული ორნამენტის ხლართებს შორის დარჩენილი არეები შევსებულია წრეებით ან სპირალური მრუდებით (სურ. 6, 8)³, მსგავსად ქუთაისური ჯამისა.

ჭედური და ოქრომჭედური ნიმუშებიდან – ჩუკულის კარედი ხატის (X ს.) მოჩარჩოება და მოციქულთა საფენები შემკულია სპირალური მეანდრებით (სურ. 6, 9); ონის მთავარანგელოზთა ხატი (XIII ს. ქუთაისის ისტორიულ მუზეუმი), რომელზეც მთავარანგელოზთა შარავანდედი და ერთ-ერთის სამოსის საოლველი წარმოადგენს უწყვეტი სპირალური ორნამენტის არშიას (სურ. 6, 10) (ლანჩავა, ო., ჩუბინიძე, ე. და სხვ., 2017: 116); ხახულის ხატის (XI-XII სს.) ჭედურობის რელიეფური დეკორატიული ხვეულები (სურ. 11) (ხუსკივაძე, 1984: 143).

დეკორატიული ტიხრული მინანქრის ნიმუშებიდან – X-XII სს-ის შარავანდედის ფრაგმენტები ხვეული ორნამენტებით, შიგ ჩასმული შროშანით (ხუსკივაძე, 1984: 129) (სურ. 6, 12);

მოხატული ხელნაწერებიდან – „ანჩის სახარებაში“ (XII-XIII სს.), მარკოზისა და მათეს სახარებების დასაწყისი თავსამკაულები სპირალური მოტივებითაა გაფორმებული, რომლებიც ურთიერთმებრუნებული S-ური

areas between the tympanum of the gate of Zemo Krikhi (Fig. 6, 7) and the decoration of the door of the Parkhali church of the 10th century are filled with circles or spiral curves (Fig. 6, 8), similar to the Kutaisi bowl.

From repoussé samples – the framing of the Chukuli triptych (X century) and the diapers of the apostles are decorated with spiral meanders (Fig. 6, 9); Icon of the Archangels of Oni (13th century, Kutaisi Historical Museum), on which the archangels' nimbus and the hem of one of the archangels' clothes represent the rim of a continuous spiral ornament (Fig. 6, 10) (Lanchava, O., Chubinidze E., 2017: 116); Relief decorative scrolls of Khakhuli icon (XI-XII centuries) embossing (Fig. 11) (Khuskivadze, 1984: 143).

From the samples of decorative cloisonné enamel - 10th-12th century nimbus fragments with spiral ornaments, a lily inserted inside (Khuskivadze, 1984: 129) (Fig. 6, 12);

From the painted manuscripts - in the "Gospel of Anchi" (XII-XIII centuries), the beginning of the Gospels of Mark and Matthew, the headpieces are decorated with spiral motifs, which are presented in the form of a continuous ribbon

³ ფოტო დიმიტრი ერმაკოვისა. ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ მარცხენა კარი.

და ზენური ხვიების უწყვეტი ლენტის სახითაა წარმოდგენილი (ქართული მოხატული ხელნაწერები, 2016: 168-169) ქართული; სპირალური მეანდრებითაა შემკული თავსამკაული XVII ს-ის დოკუმენტისა „როსტომ მეფის სასისხლო სიგელი გუგუნბერიძეებისადმი“ (ქართული მოხატული ხელნაწერები, 2016: 66) (სურ. 6, 13);

დეკორატიულ ქსოვილებიდან – ზემო სვანეთის ეკლესიებში შემორჩენილი VIII-XIII საუკუნეების ქსოვილები, რომელთა კომპოზიციებში სპირალური მოტივები სტილიზებულ ყლორტებსა და ყვავილებთანაა შერწყმული (კეცხოველი, 1988: 122) (სურ. 6, 14) (კალანდია, 2017: 37) და გასაოცარ მსგავსებას ავლენს ტიხრული მინანქრის შარავანდედის ფრაგმენტებთან (სურ. 6, 12); ასევე დეკორატიული ხალხური ფარდაგები, რომლებშიც უხვადაა ჩართული სტილიზებული სპირალური მოტივები (კოშორიძე, 2022). აქვე უნდა აღინიშნოს ქტიტორთა სამოსზე გამოსახული ხვეულები ფრესკული მხატვრობიდან და ჭედური ხატებიდან, რომლებიც წარმოადგენს ქსოვილის დაჩითვის სახეს, ან გასაფორმებელ ნაქარგობას; მათგან გამოვყოფთ: დედოფალ ნათელის სამოსი XIII ს-ის ხობის ტაძრის მოხატულობიდან (სურ. 6, 15) (კალანდია, 2017: 65); ქტიტორის სამოსი XVI ს-ის სორის

of mutually inverted S-shaped and Zenic curves (Illuminated Georgian Manuscripts, 2016: 168-169); The headdress of the document "Rostom King's blood seal to the Gugunberidzes" (XVII century) is decorated with spiral meanders (Illuminated Georgian Manuscripts, 2016: 66); (Fig. 6, 13);

From the decorative fabrics - fabrics of the 8th - 13th centuries preserved in the churches of Zemo Svaneti, in the compositions of which spiral motifs are combined with stylized twigs and flowers (Ketskhoveli, 1988: 122) (Fig. 6, 14) (Kalandia, 2017: 37) and show a striking similarity to the cloisonné enamel with the fragments of Nimbus (Fig. 6, 12); Also decorative folk rugs, in which stylized spiral motifs are abundantly included (Koshoridze, 2022). It should be noted here the scrolls from the fresco painting and the repoussé icons on the clothes of the tailors, which represent the look of the fabric being stitched, or the embroidery to be decorated; Among them we highlight: the clothes of Queen Nateli from the painting of the Khobi temple of the 13th century (Fig. 6, 15) (Kalandia, 2017: 65); Ktitor's clothes from the 16th century Sori

ეკლესიის ფრესკიდან (სურ. 6, 16) (კალანდია, 2017: 92); დედოფლის სამოსი გელათის ტაძრის XVI ს-ის მოხატულობიდან (სურ. 6, 17) (კალანდია, 2017: 38); სავარძლის მუთაქა ღვთისმშობლის X ს-ის ჩუკულის ჭედურ კარედზე და სხვ.

როგორც ვხედავთ, მუდმივი მოძრაობის სიმბოლოს გამოსახვის ტრადიცია უძველესი პერიოდიდან მოყოლებული, უწყვეტად არსებობდა და სხვადასხვა ფორმით სახეცვლილი, ერთმანეთისგან სრულიად გან-

church fresco (Fig. 6, 16) (Kalandia, 2017: 92); The queen's clothes from the 16th century painting of the Gelati temple (Fig. 6, 17) (Kalandia, 2017: 38); Chair cushion on the 10th century chukuli carved carret of the Mother of God and others.

As we can see, the tradition of depicting the symbol of perpetual motion has existed continuously since ancient times and, transformed in various




1



2



3



4



5



6



7




8




9



10



11



12



13



14

15

16

17

სურ. 6. სპირალური ორნამენტები შუა საუკუნეების ხელოვნების ნიმუშებზე: 1, 2 — მონუმენტური ფერწერა; 3-8 — ქვის რელიეფები; 9-10 — ჭედური ნიმუშები; 11 — ოქრომჭედლური ნიმუშები; 12 — ტიხრული მინანქარი; 13 — მოხატული ხელნაწერები; 14-17 — დეკორატიული ქსოვილები

Fig. 6. Spiral ornaments on medieval works of art: 1, 2 — monumental painting; 3-8 — stone reliefs; 9-10 — embossed patterns; 11 — gilded patterns; 12 — enamel; 13 — painted manuscripts; 14-17 — decorative textiles

სხვავებულ მასალებში ჰპოვებდა გამოხატულებას.

კერამიკული მასალის ანალიზი შესაძლებლობას იძლევა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს კერამიკული ხელოსნობა იზოლირებულად არ ვითარდებოდა და არ ამჟღავნებდა კარჩაკეტილობის ტენდენციებს, პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ იგრძნობოდა აღმოსავლეთის, დასავლეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნების კერამიკის საწარმოო ცენტრებთან კავშირიც, სავაჭრო გზებისა და კონტაქტების არსებობაც და საზოგადოდ, კულტურათაშორისი ზეგავლენები, რის შედეგადაც სხვადასხვა კულტურული ნიშნები და ადგილობრივი ტრადიციები

forms, found expression in completely different materials.

Analysis of ceramic materials allows us to assume that Georgian ceramic craftsmanship did not develop in isolation and did not show tendencies of isolationism; on the contrary, it can be said that there were connections with the ceramic production centers of the East, West and North, the existence of trade routes and contacts, and in general, intercultural influences, as a result of which various cultural signs and local traditions merged. Such an

ერთმანეთს შერწყა. ასეთი ვარაუდის გამოთქმის საშუალებას, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ერთმანეთისაგან დაშორებულ რეგიონებში იდენტური ორნამენტული გამოსახულებების, მსგავსი მოტივების და ფორმების არსებობა იძლევა.

assumption, in this particular case, is made possible by the existence of identical ornamental images, similar motifs and forms in regions distant from each other.



**მცენარეული ორნამენტი ქუთაისურ
მოჭიქულ კერამიკაზე.
სტილიზებული სუროს ფოთლოვანი**
**FLORAL ORNAMENT ON KUTAISI GLAZED
CERAMICS.
STYLIZED IVY LEAF⁸**

მცენარეული მოტივით შემკული მოჭიქული კერამიკის ქუთაისური კოლექციიდან საინტერესო ნიმუშია ჯამის ფრაგმენტი სუროს ფოთლის სტილიზებული ორნამენტით. ჯამი (შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. სავ. №4340.85 – პოლიქრომული, რესტავრირებული (სურ. 1, 1), აქვს ფართოდ გადაშლილი, დაქანებული კალთა, მრგვალი ძირიდან ოდნავ გამოყოფილი წრიული ქუსლი, წითელკეციანი. ორმხრივ თეთრად ანგობირებული. შიდა ზედაპირი დაფარულია ყავისფერი ჭიქურით, რაც საერთო ფონს

An interesting sample of glazed fragmented bowls from Kutaisi collection, decorated with plant motifs, is a fragment of a vase with a stylized ornament in the form of ivy leaves. Bowl (museum inventory book №9539 A-764; Field register book of Kutaisi fortress №4340.85) polychrome, restored (Fig. 1, 1), has a widely spread, sloping wall, a circular heel slightly separated from the round base, reddish-colored clay. Bilaterally covered with a white engobe. The inner surface is covered with brown glaze, which

⁷ გამოყენებულია პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებული სტატია: „ქუთაისური მოჭიქული კერამიკული ჯამის ორნამენტის შესწავლისათვის“.

⁸ The article published within the framework of the project was used: „For the Study of Kutaisi Glazed Ceramic Bowl Ornament“ [in print].

ქმნის და მასზე მწვანე და მოყვითალო ჭიქუროვანი საღებავით მოხატულია 27 გულისმაგვარი ფოთლები. კალთა ორრიგად გაფორმებულია ყვითლად და მწვანედ გულებით. ჯამის ძირში არის ოთხი ერთი წერტილიდან სხვადასხვა მიმართულებით გამომავალი ყვითელი და მწვანედ შემკული გულები. საერთოდ, მთლიანად გულების ორნამენტი სამ რიგად არის განთავსებული და ერთი წერტილიდან ფართოდ გაშლილი. ჯამის გარე ზედაპირი კი შემკულია თეთრი ანგობით და ბლაგვი რელიეფური ღარებით. თიხა, როგორც წესი, კარგადაა განლექილი.

forms a common background, and 27 heart-like shapes are painted on it with green and yellow glaze colors. The inner side is decorated in two rows with yellow and green hearts. At the bottom of the bowl there are four yellow and green decorated hearts radiating from a single point in different directions. Generally, the whole ornament of hearts is placed in three rows and spread wide from one point. The outer surface of the bowl is decorated with white trim and blunt relief grooves. Clay is well settled.



სურ. 1. მოჭიქული კერამიკული ჯამები საქართველოდან გულის ფორმის ორნამენტებით:

1 — ქუთაისის სახ. ისტორიული მუზეუმი, IX-X სს.; 2 — ბებრისციხე, IX-XIII სს.;

3 — თბილისი, X ს.

Fig. 1. Glazed ceramic bowls from Georgia with heart-shaped ornaments:
1 — Kutaisi state Historical Museum, 9th-10th centuries; 2 — Bebristsikhe, 9th-13 th centuries; 3 — Tbilisi, 10th century

ჯამის ყავისფერ ფონზე გამოსახულია ყვითელი გულის ფორმის სტილიზებული ფოთლები, ზემოდან მწვანე ლაქებით. მსგავსი ფორმის ორნამენტი გვხვდება შუასაუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებზე, ჭედურ ხატებსა და ქსოვილებზე. გულის ფორმის ორნამენტი წარმოდგენილია სხვადასხვა სტილიზებული ფოთლების ფორმით, მაგ. მგელ-ციხის თავსართზე ურთიერთსაპირისპიროდ შეტრიალებული ცალკეული თავგახსნილი და ბოლოებდახვეული ფორმებითაა წარმოდგენილი (შმერლინგი, 2010: 45) (სურ. 2, 1), კუმურდოს ტაძრის რელიეფურ შემკულობაში - ურთიერთგადაბმული ფოთლების სახით (სურ. 2, 2), ვალეში - ცენტრში ჩაღრმავებული, ერთმანეთის მიჯრით სიმეტრიულად განლაგებული ფორმების სახით (თევზაია, 2009: 62) (სურ. 2, 3), ხოლო მცხეთის ჯვრის კანკელის ფილაზე წვეროებით ცენტრისაკენ მიმართული გულის ფორმების სახით (სურ. 2,4). მსგავსი ორნამენტული მოტივი ქართულ ოქრომჭედლობაშიც გამოიყენებოდა ტოლმკლავა ჯვრის მკლავთა შორისი არეების შესავსებად, შესამკობად და ამავდროულად ე.წ. „განედლებული ჯვრის“ მოტივის გადმოსაცემად, რაც სამოთხის, მარადიული სიცოცხლის ხატად აღიქმებოდა, მაგ. ასეთი გამშვენებული ჯვრები გან-

Yellow heart-shaped stylized leaves with green spots on top are depicted on the brown background of the bowl. Ornaments of a similar shape can be found on monuments of medieval Georgian architecture and are presented in the form of various stylized leaves, e.g. On the headboard of Mgel-Tsikhe church (Schmerling, 2010: 45) (Fig. 2, 1), it is represented by separate open-ended and end-curved forms, and in the relief decoration of the Kumurdo church - in the form of interlocking leaves (Fig. 2, 2), in Vale - in the form of forms indented in the center, arranged symmetrically with each other (Tevzaia, 2009: 62) (Fig. 2, 3). And on the 6th century marble chancel slab of Mtskheta Cross church, there are heart shapes with their vertices pointing toward the center (Fig. 2, 4). A similar ornamental motif was also used in Georgian goldsmith art to fill and thus decorate the areas between the arms of the isosceles cross, at the same time it was the motif of the "flourished cross", which was perceived as a symbol of heaven, eternal life, e.g. such decorated crosses are imaged on the Breti 11th century repousse icon of St. John the Baptist, on both sides of nimbus (Fig. 2 5). A stylized heart-

ლაგებულია XI ს-ის ბრეთის წმ. იოანე ნათლისმცემლის ჭედურ ხატზე, შარავანდის ორსავე მხარეს (სურ. 2, 5). სტილიზებული გულის ფორმის ფოთლის ორნამენტი ამკობს იელის XI ს.-ის აღსაყდრებული მაცხოვრის ჭედური ხატის აშიებსაც (Чубинашвили, 1959: ტაბ. 125-127, 258). გულის ფორმის ფოთლოვანი ორნამენტი ამავე პერიოდის ქსოვილის მორთულობაშიც გვხვდება. ამის მაგალითია ოშკის (X ს.) ტაძრის რელიეფებზე წარმოდგენილი ქტიტორების დავით III კურაპალატისა და ბაგრატ ერისთავთ-ერისთავის სამოსის დეკორი (ლანჩავა, 2017: 68) (სურ. 2, 6).

shaped leaf ornament also adorns the 11th century repousse icon of the Enthroned Savior of Ieli (Chubinashvili, 1959: tab. 125-127, 258).

A heart-shaped leaf ornament is also found in fabric decoration of the same period. An example of this is the decoration of the clothes of the founders David III Kurapatat and Bagrat Eristavt-Eristav represented on the reliefs of the Oshki (10th century) temple (Lanchava, 2017: 68, 70) (Fig. 2, 6).



1



2





3



4



5



სურ. 2. გულის ფორმის სტილიზებული ორნამენტები ქართულ არქიტექტურულ ძეგლებში, ჭედურ ძეგლებსა და ქსოვილის მოხატულობაში: 1 — მგელ-ციხე, X ს.; 2 — კუმურდო, X ს.; 3 — ვალე, X ს.; 4 — მცხეთის ჯვარი, VI ს.; 5 — ზრეთის ჭედური ხატი XI ს.; 6 — ოშკის ტაძრის რელიეფები, X ს.; 7 — სოფ. საყდრის წმ. გიორგის ხატის უკანა მხარე, XI ს.

Fig. 2. Stylized heart-shaped ornaments in Georgian architectural monuments, in repousse art monuments and in textile painting: 1 — Mgel-tsikhe, 10th century; 2 — Kumurdo, 10th century; 3 — Vale, 10th century; 4 — chancel screen Mtskheta Cross church, 5th century; 5 — engraved icon of Breti; 6 — Oshki temple reliefs, 10th century; 7 — the back side of the icon of St. George of vill. Sakdari, 11th century

განსხვავებული სახის მცენარეული ორნამენტი ამშვენებს ქვემო სვანეთის სოფ. საყდარში დაცულ XI საუკუნის წმინდა გიორგის ხატის უკანა ნაწილზე გადაკრულ ქსოვილს. აქ ერთმანეთთან მიჯრით, წრიულად განლა-

In the heart-shaped medallion, a different type of plant ornament decorates the village of Kvemo Svaneti. Cloth laid on the back of the 11th century icon of St. George preserved in the Village Sakdari. Here, interlaced circularly arranged, heart-

გებულ, გულის ფორმის მედალიონებში ჩაწერილია სტილიზებული ფოთლები, რომელთაც ირგვლივ შემოსდევს მცირე ზომის გულისებური ფოთლები (ბუხრაშვილი, 2012: 101) (სურ. 2, 7).

გულებით შემკული მოჭიქული კერამიკის ნიმუშები აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისის 40 სებასტიელ მოწამეთა ეკლესიის ტერიტორიაზე (დანელია, 2011) და ბებრისციხის არქეოლოგიური გათხრების დროს (ნიკოლაიშვილი, 2009). ბებრისციხის ჯამის ფსკერზე წრეა, რომლისგანაც პირისკენ ყვავილის და გულის სამი სტილიზებული გამოხატულებაა მიმართული. მათგან ერთი მთლიანადაა შემორჩენილი, ორი კი - ნაწილობრივ. გულის გამოსახულებებს შორის ჩასმულია ცხოველის სტილიზებული გამოსახულებები. თეთრ ანგობზე სახვადასხვა ადგილას მწვანე ფერმკრთალი ჭიქურის ფოთლებია დასმული (სურ. 1, 2). თბილისში მეტეხის ხიდთან, ორმოცი სებასტიელი მოწამის სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის არქეოლოგიური კვლევისას აღმოჩენილია ჯამის ფრაგმენტის ორნამენტი, რომელზედაც მუქ მოყავისფრო ფონზე, გულის ფორმის ოთხი ჩალისფერი ფოთოლი წვეროვებით ცენტრისკენაა მიმართული და მათ შორის წარმოქმნილი არე ბოლნური ჯვრის ფორმისაა (სურ. 1, 3).

shaped medal lions contain stylized leaves surrounded by small heart-shaped leaves (Bukhrashvili, 2012: 101) (Figs. 2, 7).

Samples of glazed ceramics decorated with hearts were found in Eastern Georgia, in the area of the Church of 40 Sebastian Martyrs in Tbilisi, and during the archaeological excavations in Bebristikhe (Mtskheta). There is a circle at the bottom of the Bebristikhe bowl, from which three stylized images of a flower and a heart are directed towards the mouth. One of them is completely preserved, and two - partially. Stylized animal images are inserted between the heart images. Pale green glaze leaves are placed in various places on the white background (Fig. 1, 2). During the archaeological survey of the area surrounding the Church of the Forty Sebastian Martyrs in Tbilisi, near the Metekhi Bridge, an ornament of a bowl fragment was found, on which, on a dark brown background, four heart-shaped straw-colored leaves with their tips are directed towards the center and the area formed between them is in the shape of a

გულის ფორმის ორნამენტული მოტივი ასევე გავრცელებულია აღმოსავლურ ხელოვნებაში. როგორც მოძიებული მასალებიდან გაირკვა, მსგავსი ფორმის სუროს ფოთლის ორნამენტით ირანული მოჭიქული კერამიკაც უხვად ყოფილა შემკული, თუმცა არა ისეთი გეომეტრიზებული გულის ფორმით, როგორც ეს გვაქვს ქართულ ძეგლებზე (ჯამი ქუთაისის ციხიდან სურ. 1, 1), არამედ სტილიზებული ფოთლის სახით, შიგნით ჩაწერილი დამატებითი ფოთლის ფორმით, ასეთებია მაგ., XII-XIII სს.-ის ჯამი ჩრდილო-დასავლეთი ირანიდან (კლივლენდის მუზეუმის კოლექცია, 2024), რომელიც დაცულია კლივლენდის ხელოვნების მუზეუმში (სურ. 3, 1); აბასიდების დინასტიის პერიოდის IX ს-ის თასი (ვიქტორია და ალბერტის მუზეუმის კოლექცია, 2023) (სურ. 3, 2).

ქუთაისის მუზეუმის მოჭიქული ჯამის ორნამენტის ყველაზე ახლო პარალელი არის სამშენებლო მოსაპირკეთებელი მოჭიქული კერამიკის ფრაგმენტი, რომელიც აღმოჩენილი იქნა უკრაინაში, ქ. კონსკიე ვოდის მეჩეთ-საფლავის გათხრების დროს 2008-15 წწ.-ში (სურ. 3, 3). ამოკაწრულ-ორნამენტიანი სამშენებლო ფილის თეთრ ფონზე წითელი ფერის მოგრძო გულის ფორმებია წრიულად განლაგებული. ავტორი მას უწოდებს ფოთლოვან ორნამენტს და აღნიშნავს, რომ კონსკიე ვოდის მეჩეთში

“Bolnuri” (isosceles) cross (Fig. 1, 3).

The heart-shaped ornamental motif is also common in Eastern art. As it turned out from the retrieved materials, Iranian glazed ceramics were also abundantly decorated with ivy leaf ornament of a similar shape, although not in the form of a geometric heart, as we have on Georgian monuments (Bowl from Kutaisi Castle, Fig. 1, 1), but in the form of a stylized leaf, with an additional small leaf inscribed inside, such are, for example, a 12th-13th century bowl from northwestern Iran, preserved in the Cleveland Museum of Art (Cleveland Museum, 2024) (Fig. 3, 1); A 9th-century Abbasid cup from the Victoria and Albert Museum collection (Victoria and Albert Museum, 2023)(Fig. 3, 2).

The closest parallel to the Kutaisi Museum's glazed bowl ornament is a fragment of glazed ceramic for building cladding, which was discovered in Ukraine, during the excavation of the mosque-tomb of Konskye Vodi in 2008-15 (Fig. 3, 3). On the white background of the scratched-ornamental building tile, red elongated heart shapes are arranged in a circle. The author calls it a leaf ornament

აღმოჩენილი მოჭიქული კერამიკები ახლოსაა „ოქროს ურდოს“ ხანის ხმელთაშუაზღვისპირეთის, შავი ზღვისპირეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის მოსაპირკეთებელი მოჭიქული კერამიკის ფილებთან (ЕЛЬНИКОВ, 2017: 345), თუმცა ორნამენტის პირდაპირ ანალოგებს ვერ ასახელებს.

მსოფლიო ხელოვნების ძეგლებზე გულის ფორმის სტილიზებული ფოთლების სახით გამოსახებოდა და დიდად გავრცელებულიც იყო – სუროს ფოთოლი, რომელიც წინაქრისტიანული ხანიდანვე აისახება ბერძნულ მითოლოგიასა თუ ორნამენტიკაში. სურო არის მცენარე, რომელიც საუკუნეების მანძილზე

and notes that the glazed ceramics found in the Konskye Vodi Mosque are close to the glazed ceramic tiles of the Mediterranean, Black Sea and North Caucasus of the "Golden Horde" period, although he cannot name direct analogues of the ornament (ЕЛЬНИКОВ, 2017: 345).

It was depicted in the form of stylized heart-shaped leaves on world art monuments and was very common – the ivy leaf, which has been reflected in Greek mythology and ornamentation since the pre-Christian era.



სურ. 3. უცხოური მოჭიქული კერამიკა გულის ფორმის სტილიზებული ორნამენტებით: 1 — ირანული ჯამი, კლივლენდის მუზეუმი, XII-XIII სს.; 2 — თასი აბასიანთა სახალიფოდან, ვიქტორია და ალბერტის მუზეუმი; 3 — მოსაპირკეთებელი მოჭიქული კერამიკის ფრაგმენტი, ქ. კონსკიე ვოდი, XIII-XIV სს.

Fig. 3. Foreign glazed ceramics with stylized heart-shaped ornaments: 1 — Iranian bowl, Cleveland Museum, 12th-13th centuries; 2 — cup from the Abbasid Caliphate, Victoria and Albert Museum; 3 — a fragment of glazed ceramics, c. Konskye Vodi, 13th-14th centuries

არსებობს და მრავალი დანიშნულებით, განსაკუთრებით კი სამკურნალო მიზნით გამოიყენებოდა. ეს არის მცოცავი მცენარე, რომელსაც შეუძლია მიმაგრდეს ზედაპირებზე. ამ მახასიათებლებმა წარმოიშვა მცენარის მრავალი სიმბოლური მნიშვნელობა, მათ შორის მნიშვნელოვანისადმი მიჯაჭვულობა, გამძლეობა, არასოდეს დანებება. სურო ასევე ითვლება მარადიული სიცოცხლის სიმბოლოდ, რადგან ის აგრძელებს ზრდას და აყვავებას უმძიმეს პირობებშიც კი. იგი გამოიყენებოდა მრავალ სხვადასხვა კულტურაში სხვადასხვა მიზნებისთვის. ძველ საბერძნეთში სუროს გვირგვინით გამოსახავდნენ ღვინისა და ნაყოფიერების ღვთაება დიონისეს, რომლის სიმბოლოდაც ითვლებოდა. სურო ხომ მარადმწვანე მცენარეა, მისი ფოთლების ნახვა წლის ნებისმიერ დროსაა შესაძლებელი, ამიტომაც დიონისე ატარებს სუროს გვირგვინს. ის ბუნების აღორძინების, თავიდან დაბადების ღვთაებაა, რომლის თავდაპირველი დღესასწაული „დიონისია“ შუა ზამთარში იმართებოდა. ამ საკულტო ცერემონიალზეც გამოიყენებოდა სურო. ითვლებოდა, რომ სუროს მიწისთვის ნაყოფიერება მოაქვს და ხშირად თესავდნენ ვენახების ირგვლივ. ბერძნული ამფორებისა თუ სხვა სახის ჭურჭლის მოსართავად ხშირად გამოსახავდნენ დიონისეს სუროს ფოთლების გვირგვინით,

Ivy is a plant that has been around for centuries and has been used for many purposes, especially for medicinal purposes. It is a creeping plant that can cling to surfaces. These characteristics have given rise to many symbolic meanings of the plant, including attachment to what is important, perseverance, never giving up. Ivy is also considered a symbol of eternal life because it continues to grow and flourish even in the harshest conditions. It has been used in many different cultures for different purposes. In ancient Greece, the god of wine and fertility, Dionysus, was depicted with an ivy crown, which was considered a symbol. Ivy is an evergreen plant, its leaves can be seen at any time of the year, that's why Dionysus wears an ivy crown. He is the deity of the revival of nature, rebirth, whose original festival "Dionysia" was held in the middle of winter. Ivy was also used in this cult ceremony. Ivy was believed to bring fertility to the land and was often planted around vineyards. Dionysus was often depicted with a crown of ivy leaves to decorate Greek amphorae and other types of

როგორც ეს კერამიკის მხატვარ კლეოფრადეს მიერ შექმნილ ამფორაზეა წარმოდგენილი (სურ. 4, 1-2) (Richter, 1936: 100).

vessels, as it is represented on the amphora created by the ceramic artist Cleofrade (Fig. 4, 1-2) (Richter, 1936: 100).



1

2

3

სურ. 4. ბერძნული და რომაული სუროს ფოთლის სტილიზებული ორნამენტები: 1, 2 — მოხატული ამფორა, დიონისე გულის ფორმის სუროს ფოთლების გვირგვინით, კერამიკის მხატვარი კლეფრადე. ძვ. წ. 490 წ.; 3 — მარმარილოს სვეტის ფრაგმენტი კალიგულას ბაღიდან, რომი, I ს.

Fig. 4. Stylized Greek and Roman ivy leaf ornaments: 1, 2 — painted amphora, Dionysus with heart-shaped wreath of ivy leaves, ceramic artist Cleofrade, 490 BC; 3 — fragment of a marble column from the garden of Caligula, Rome, 1st century

რომაელებს სჯეროდათ, რომ სუროს ჰქონდა ბოროტი სულებისგან დაცვის ძალა, შესაბამისად, გულის ფორმის ფოთლები რომაული ხელოვნების ძეგლებზეც ხშირია, მაგ. ნიშანდობლივია, მარმარილოს სვეტის ფრაგმენტი, მასზე შემოხვეული სუროს ლერწისა და ფოთლების სტილიზებული ორნამენტით, რომელიც აღ-

The Romans believed that ivy had the power to ward off evil spirits, so heart-shaped leaves are also common on Roman art monuments, e.g. Notable is a fragment of a marble column with a stylized ornament of ivy reeds and leaves wrapped around it, which was found in Rome, during the archaeological

მოჩნდა რომში, კალიგულას საიმპერატორო ბაღის არქეოლოგიური გათხრების დროს, 2006-2015 წწ.-ში (Caligula's Garden, 2021) (სურ. 4, 3).

სუროს მცენარეს ხშირად იყენებენ სიყვარულისა და ნაყოფიერების სიმბოლოდ. ამბობენ, რომ მას შეუძლია გაზარდოს ქალების ნაყოფიერება და ხელი შეუწყოს დედის რძის სიუხვეს. მისი ფოთლები გამოიყენებოდა როგორც ქორწინების ერთგულების, ასევე ზოგადად ერთგულების სიმბოლოდ. ხელოვნებაში სუროს ფოთლები ხშირად არის გამოსახული ერთგულების სხვა სიმბოლოებთან ერთად, როგორცაა გული, მტრედი და გასაღებები. შუა საუკუნეებში სუროს ხშირად იყენებდნენ დეკორაციებში და შობის სიმბოლოდ. ის დღესაც გამოიყენება დეკორატიულ მცენარედ და ხშირად გვხვდება საქორწილო მორთულობაში (Strangeago, 2023).

გულის ფორმის ორნამენტების სიუხვით გამოირჩევა კოპტური ხელოვნება უძველესი ხანიდან განვითარებულ შუასაუკუნეებამდე. კოპტები გულის ფორმის ფოთლოვანი, გეომეტრიზებული თუ სტილიზებული მოტივებით ამკობდნენ ხის, ქვის, ქსოვილის, კედლის მხატვრობის თუ კერამიკულ ნიმუშებს (სურ. 5). ამ დეკორატიული მოტივის წარმოშობას მკვლევარები ძირითადად სირიას, სასანურ ირანსა და საბერძნეთს უკავშირებენ, ხოლო აქედან გავრცელდა ის სხვადასხვა კულტურაში. გ. გაბრას


excavations of the Imperial Garden of Caligula, in 2006-2015yy. (Caligula's Garden, 2021) (Fig. 4, 3).

The ivy plant is often used as a symbol of love and fertility. It is said to be able to increase female fertility and promote an abundance of breast milk. Its leaves were used as a symbol of both marital fidelity and fidelity in general. In art, ivy leaves are often depicted along with other symbols of devotion, such as hearts, doves, and keys. In the Middle Ages, ivy was often used in decorations and as a symbol of Christmas. It is still used as a decorative plant and is often found in wedding decorations (Strangeago, 2023).

Coptic art from ancient times to the developed Middle Ages is distinguished by the abundance of heart-shaped ornaments. Copts decorated wood, stone, fabric, wall painting, and ceramic patterns with heart-shaped leafy, geometric, or stylized motifs (Fig. 5). Researchers mainly associate the origin of this decorative motif with Syria, Sasanian Iran and Greece, and from there it spread to different cultures. According to G. Gabra, heart-

აზრით, გულის ფორმის სუროს ფოთლები ბერძნულ ხელოვნებაში განვითარდა. სარა ჰალიმი ასკვნის, რომ გულის ფორმის დეკორი სათავეს იღებს ბიზანტიის, სირიისა და სასანური ირანის ხელოვნებაში (Halim, 2022: 255).

shaped ivy leaves developed in Greek art. Sarah Halim concludes that the heart-shaped decor has its origins in the art of Byzantium, Syria and Sasanian Iran (Halim, 2022: 255).



სურ. 5. კოპტური ხელოვნების ნიმუშები გულის ფორმის ორნამენტებით

Fig. 5. Coptic art samples with heart-shaped ornaments

ბიზანტიაში გულის ფორმის ორნამენტები გვხვდება მოზაიკურ და მინიატურულ მხატვრობაში, ტიხრული მინანქრის ნიმუშებსა და ადრეერისტიანული ხანის რელიეფურ შემკულობაში – როგორც გეომეტრიზებული სახით, ასევე სტილიზებული სუროს ფოთლის ვარიაციით:

In Byzantium, heart-shaped ornaments are found on mosaics, miniature paintings and cloisonné enamels, as well as in early Christian relief decoration, both in a geometrical form and in a variation of the stylized ivy leaf:



სურ. 6. სტილიზებული ფოთლის ორნამენტები ბიზანტიური ხელოვნების ნიმუშებზე: 1 — სახარება, აია სოფიას მოზაიკური მხატვრობა – მაცხოვარი „პანტოკრატორი“, XI ს.; 2 — რელიეფური ფილა, კონსტანტინოპოლი, VI ს.; 3 — ორნამენტის ნიმუშები ხელნაწერებიდან, განვითარებული შუასაუკუნეები

Fig. 6. Stylized leaf ornaments on Byzantine art samples: 1 – gospel, from the mosaic painting of Hagia Sophia - Savior "Pantokrator", 11th century; 2 – relief chancel screen, Constantinople, 6th century; 3 – patterns of ornament from manuscripts, Middle Ages

კონსტანტინოპოლის აია სოფიას მოზაიკაზე გამოსახული მაცხოვრის (XI ს.) სახარების ზედაპირზე, ოთხივე კუთხე შემკულია კონტურული ხაზებით ორად გაყოფილი ორფერი გულებით – თითოეული ნაწილი შეფერილია მონაცრისფრო და მოვარდისფრო ფერებით, რომელთაც ზემოდან გადასმული აქვთ ღია ფერის მონასმე-

On the surface of the Gospel of the Savior (11th century) depicted in the mosaic of Hagia Sophia in Constantinople, the four corners are decorated with two-colored hearts divided by contour lines - each part is colored in grayish and pinkish colors, which are overlaid with light-colored mosaics to create the

ბი, რელიეფურობის შთაბეჭდილების შესაქმნელად (Fine Art's Prints, 2023) (სურ. 6, 1). ვფიქრობთ, ბიზანტიელი მოზაიკოსის მსგავსად, ქუთაისელი კერამიკის მხატვარი ოსტატიც ცდილობს რელიეფურობის შთაბეჭდილება გამოგვეცეს – მუქ ყავისფერ ფონზე მკვეთრად გამოიყოფა ყვითელი გულები, რომლებსაც ზედაპირზე მწვანე ფერის მონასმები გააჩნიათ;

ბიზანტიურ რელიეფურ სკულპტურაში, ადრეული პერიოდის ქვის კანკელთა ფილებზე, წრიულ ფორმაში ჩაწერილი სუროს სტილიზებული ფოთლები, წვეროებით ცენტრისკენაა მიმართული, ქუთაისური ჯამის მსგავსად (სურ. 6, 2);

ბიზანტიური მინიატურული მხატვრობის შემამკობელ ორნამენტზე (Middle Age – Manuscript Ornaments, 2024) (სურ. 6, 3) გულის ფორმები ღეროზე გამობმული სუროს ფოთლების სახით არის გადმოცემული, ისევე როგორც ანტიკური საბერძნეთის ნიმუშებზე.

როგორც მოყვანილი ნიმუშებიდან ჩანს, გულის ფორმის ორნამენტის წარმოშობის შთაგონების წყარო ხშირ შემთხვევაში სუროს ფოთლია და არა გულის ანატომიური ფორმა, თუმცა ფოთლის ფორმის ვიზუალური მსგავსება თავის მხრივ, განაპირობებდა ამ მოტივის ადამიანურ გრძნობებთან – სიყვარულსა და ერთგულებასთან დაკავშირებასაც. ყველა კონკრეტულ შემ-

impression of relief (Fine Art's Prints, 2023) (Fig. 6, 1). We think that, like the Byzantine mosaicist, the ceramic artist from Kutaisi also tries to give us the impression of relief - the yellow hearts stand out sharply against the dark brown background, which have green patches on the surface;

In Byzantine relief sculpture, on early stone chancel slabs, stylized ivy leaves inscribed in a circular shape are also found, with their tips pointing towards the center, similar to the Kutaisi bowl (Fig. 6, 2).

On the Byzantine sample – decorative ornament of miniature painting (Middle Age – Manuscript Ornaments, 2024) (Fig. 6, 3) the heart shapes are represented in the form of ivy leaves strung on a stem, as well as on the samples of ancient Greece.

As can be seen from the given examples, the source of inspiration for the origin of the heart-shaped ornament is often an ivy leaf, and not the anatomical shape of the heart, although the visual similarity of the shape of the leaf, in turn, led to the connection of this motif with human feelings - love and loyalty. In each specific case,

თხვევაში, ნივთისა თუ გამოსახულების კონტექსტიდან გამომდინარე, გულის ფორმის ორნამენტის შინაარსი და სიმბოლიკა სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნას წაკითხული.

საქართველოში წარმართულ პერიოდში პოპულარული იყო დიონისეს კულტი, როგორც მეღვინეობის მფარველი ღვთაებისა. შესაბამისად, მასთან დაკავშირებული ატრიბუტებიც ცნობილი იყო ქართული სახვითი ხელოვნების ოსტატებისათვის. საქართველო მეღვინეობის უძველესი კულტურის ქვეყნადაა ცნობილი, რაც დღემდე არ დაუკარგავს. ვინაიდან ჯამი/ფიალა ღვინოსთანაც ასოცირდება, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ უნდა იყოს მისი სუროს ფოთლების გეომეტრიზებული გულების სახით მორთვა. შესაძლოა, აქ ამოვიკითხოთ მინიშნება მიწათმოქმედების, მეღვინეობის ნაყოფიერებაზე, რაც იმ დროის ქართველი კერამიკის მხატვარი ოსტატისთვის უდაოდ გარემომცველი რეალობის შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი იქნებოდა. ვფიქრობთ, ოსტატის შთაგონების წყაროა როგორც მითოლოგია, ასევე ბიზანტიაში, ირანში, სირიაში, შავი ზღვისპირეთის რეგიონსა და ჩრდილო კავკასიაში გავრცელებული სტილიზებული ან გეომეტრიზებული გულის ფორმის ფოთლოვანი ორნამენტაციით გამშვენებული მოჭიქული კერამიკა. მუქ ყავისფერ ფონზე ცალკეულ ლაქებად დატანილი გეომეტრიზებული გულის ფორმის ფოთლის ორნამენტი,


depending on the context of the object or image, the content and symbolism of the heart-shaped ornament can be read in different ways.

In the pagan period in Georgia, the cult of Dionysus was popular as the patron deity of winemaking. Accordingly, the attributes related to it were also known to the masters of Georgian fine arts. Georgia is known for its ancient culture of winemaking, which has not been lost to this day. Since jar/bowl is also associated with wine, we think it should not be a coincidence that it is decorated with ivy leaves in the form of geometric hearts. Perhaps we can find here a reference to the fertility of farming and winemaking, which would undoubtedly be a constituent and integral part of the surrounding reality for the Georgian ceramic artist master of that time. We think that the master's source of inspiration is mythology, as well as glazed ceramics decorated with stylized or geometric heart-shaped leaf ornamentation common in Byzantium, Iran, Syria or the Black Sea region, North Caucasus.

Geometric heart-shaped leaf ornament applied in separate spots on a dark brown

იმ სახით, როგორც ეს ქუთაისის ნიმუშზეა, ფაქტიურად არ გვხვდება აღმოსავლურ თუ დასავლურ (ბიზანტიურ) ნიმუშებზე. ამკარაა, რომ ეს ადგილობრივი, ქუთაისელი ოსტატის შემოქმედებითი ინტერპრეტაციაა, რაც განსაკუთრებულად ფასეულს ხდის მას.

background, as it is on the Kutaisi sample, is actually not found on eastern or western (Byzantine) samples. It is obvious that this is a creative interpretation of a local master from Kutaisi, which makes it especially valuable.



მოჭიქული კერამიკის ფრაგმენტები ზომორფული ორნამენტებით ფრინველის მოტივები⁹

FRAGMENTS OF GLAZED CERAMICS WITH ZOOMORPHIC ORNAMENTS. BIRD MOTIFS¹⁰

მუზეუმში დაცულ დეკორირებულ კერამიკულ ჭურჭელს შორის ყურადღებას იპყრობს ჯამების ფრაგმენტები ზომორფული ორნამენტებით, კერძოდ ფრთოსანთა მოტივებით. კოლექციაში ასეთი ჯამების რაოდენობა 12 ერთეულს წარმოადგენს.

მოჭიქული კერამიკის სტილიზებული ფრინველის გამოსახულებით შემკობის ტრადიცია ფართოდ იყო გავრცელებული მუსულმანური აღმოსავლეთისა და დასავლეთის (კერძოდ

Among the decorated ceramic vessels preserved in the museum, bowls with zoomorphic ornamentation, in particular with images of birds, attract attention. Their number in the collection is 12 items.

The tradition of decorating the glazed ceramics with the stylized bird images, was widespread in Muslim East and Western Europe (especially Byzantium) in a fairly wide area. Especially dominated

⁹ დამუშავებულია საკონფერენციო მოხსენებების მასალების მიხედვით:

1. „მოჭიქული კერამიკის ჭურჭელი ფრინველის გამოსახულებით ქუთაისის ისტორიული მუზეუმიდან“.
2. „ქუთაისური მოჭიქული კერამიკის დეკორირების საკითხისათვის“

¹⁰ Developed based on the materials of the conference reports:

1. „Artifacts Reflecting the Traditions of Producing Glazed Ceramics from the Kutaisi Historical Museum“.
2. Glazed ceramic vessel with the image of a bird from the Kutaisi Historical Museum.

ბიზანტიის) საკმაოდ ვრცელ არეალში. უპირატესად დომინირებდა მტრედის გამოსახულება. ის უკვდავების სიმბოლო იყო და ითვლებოდა „სამოთხის ფრინველად“ (İsmayılova, 2015). ამ მხრივ გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენდა.

ქუთაისის მუზეუმის მოჭიქული კერამიკის კოლექციაში არსებული ნიმუშები, გამოსახულების კომპოზიციური განაწილების, ნახატის შესრულების ტექნიკისა და, ფრინველის სახეობის მიხედვით ნიმუშები პირობითად 2 ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

1 ჯგუფი – ჯამების ფრაგმენტები მოზრდილი სტილიზებული ფრინველის გამოსახულებით, პოლიქრომული (ორი ან სამი ფერი) მოხატულობით, კომპოზიცია თითქმის სრულად ავსებს ჯამის არეს (4 ერთეული);

2 ჯგუფი – ჯამების ფრაგმენტები მცირე ზომის ფრინველის გამოსახულებით, მონოქრომული (მწვანე, ყავისფერი, ყვითელი, მომწაფნო-მოყავისფრო) მოხატულობით, რომლებიც ჯამის მხოლოდ ცენტრალურ ნაწილს იკავებს (8 ერთეული). კომპოზიცია ამოკაწვრით არის შესრულებული.

პირველი ჯგუფის ჯამებზე ფრინველის ამოცნობა საკმაოდ რთულია, ის შესაძლოა იყოს როგორც ფანტასტიკური ფრთოსანი (ფასკუნჯი), ისე რეალური ფრინველის (მტრედი, ქედანი, შევარდენი, ხოხობი) სტილიზებული გამოსახულება; მიუხედავად იმისა, რომ

the pigeons' image. It was a symbol of immortality and was called "the Eden's bird" (İsmayılova, 2015). In this regard, the report did not make any progress. Georgia was no exception in this regard.

The samples in the glazed ceramics collection of the Kutaisi Museum can be conventionally divided into 2 groups according to the compositional distribution of the image, the technique of drawing and the type of bird:

Group 1 – fragments of bowls with the image of an adult stylized bird, with polychrome (two or three colors) painting, the composition almost completely fills the bowl's area (4 units);

Group 2 – fragments of bowls with the image of a small bird, with monochrome (green, brown, yellow, greenish-brown) painting, which occupy only the central part of the bowl (8 units). The composition is made by scratching.

It is quite difficult to recognize a bird on the bowls of the first group, it may be a stylized image of either a fantastic winged bird - phoenix (faskunji) or a real bird (sheward, pheasant, dove, loughing dove); Despite the fact that all four birds are similar to each other, differences can still be observed in the details of the

ოთხივე ჯამზე გამოსახული ფრინველი ერთმანეთის მსგავსია, განსხვავებები მაინც შეინიშნება ნახატის დეტალებში და მათ შეფერვაში; ერთი და იგივე ფერიც კი სხვადასხვა ტონალობითა და ელფერითაა წარმოდგენილი.

ჯამი (შ. წ. 10130 AA-842. ქ.ც. საგ. № 8020. 90) – ძირის ფრაგმენტი მოწითალო ფერის კეცი. შიდა პირი დაფარულია თეთრი ანგობით; შემორჩენილ ფრაგმენტზე გამოსახულია ფრინველის ტანი და დეზებიანი ფეხები პროფილში, თავისა და კუდის ბოლოს გარეშე; შეფერილია მოიისფრო-ყავისფერი საღებავით, ყელზე აქვს შავ-თეთრი მძივისებური საყელო, გაფორმებულია სოსნისფერი მოზრდილი წერტილებით. ფრინველის ირგვლივ მცენარეული ორნამენტის ფრაგმენტები შეინიშნება. ნახატი შესრულებულია ამოკაწვრით, ნაკაწრი ხაზები ამოვსებულია ყავისფერი საღებავით. დაფარულია უფერული ჭიქურით.

ზომები: დაბალი გამოყვანილი ქუსლი. ქუსლის სიმაღლე – 0,8 სმ; ქუსლის დიამეტრი – 7 სმ; კეცის სისქე – 0,7 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ციტადელის ცენტრალური ტერიტორია ზედაპირულად (სურ. 1, 1).

ჯამი (შ. წ. 9539 AA-764. ქ.ც. საგ. № 1368. 84) – ძირის ფრაგმენტი მოწითალო ფერის კეცი. შიდა პირი დაფარულია თეთრი ანგობით. ნახატი შესრულებულია ამოკაწვრით. შემორჩენილია მხოლოდ ტანის ნაწილი, კერძოდ:

painting and in their coloring; Even the same color is presented in different tones and hues.

A bowl (museum inventory book №10130 AA-842. Field register book of Kutaisi fortress №8020. 90) – a fragment of the base of a reddish-colored clay. The inner mouth is covered with a white engobe; The surviving fragment shows the bird's body and webbed feet in profile, without the end of the head or tail; It is colored with purple-brown paint, it has a black-and-white beaded necklace on the neck, decorated with light purple-colored dots. Fragments of plant ornament can be observed around the bird. The drawing is made by scratching; the scratched lines are filled with brown paint. It is covered with transparent glaze.

Dimensions: low heel. heel height - 0.8 cm; heel diameter - 7 cm; thickness of the fold - 0.7 cm; **Discovered:** Kutaisi old city, the central area of the citadel on the surface (Fig. 1, 1).

A bowl (museum inv. book № 9539 AA-764. Field register book of Kutaisi fortress №1368. 84) – a fragment of the base of a reddish-colored clay. The inner mouth is covered with a white engobe. The drawing is made by scratching. Only part of the body is preserved, namely: neck, wing

კისერი, ფრთა და დეზები. ყელზე შეინიშნება მძივისებური საყელო. ნაკაწრი კონტური ამოვსებულია ყავისფერი საღებავით. ფრინველი შეფერილია ღია მწვანე და მოყვითალო საღებავით, შემკულია სოსნისფერი წერტილებით. გადავლებული აქვს უფერული ჭიქური.

ზომები: დაბალი გამოყვანული ქუსლი. ქუსლის სიმაღლე – 0,8 სმ; ქუსლის დიამეტრი – 8 სმ; კეცის სისქე – 0,7 სმ; ქუსლის გარეთა მხრიდან შუაში ღილისმაგვარი კოპი, რომელსაც თავი წაკვეთილი აქვს. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ბაგრატის ტაძრის ეზოს დასავლეთის კედელთან (სურ. 1, 2).

ჯამი (შ. წ. № 10130 AA-842 ქ.ც. საგ. № 8034. 90) – ძირისა და გვერდის ფრაგმენტი წითლად გამომწვარი. შიდა პირი თეთრად ანგობირებული. ნახატი შესრულებულია ამოკაწვრით. ფრაგმენტზე შემორჩენილია მხოლოდ ფრთისა და კისრის ნაწილი, ასევე მცენარეული ორნამენტი. ყელზე სუსტად შეინიშნება საყელო-რგოლი მსხვილი სოსნისფერი წერტილებით. კისერი შეფერილია ყავისფერი საღებავით, ხოლო ფრთა მწვანე და ყვითელი ფერის საღებავით. ფრთის ბუმბულის სტილიზაციისათვის გამოყენებულია ურთიერთსაწინააღმდეგოდ განლაგებულ 2 თეთრი რგოლის სეგმენტში ჩასმული სოსნისფერი 3-3 წერტილი. ნაკაწრი ხაზები ამოვსებულია ყავისფერი საღებავით. გადავლებული აქვს

and tail. There is a beaded necklace on the neck. The scratched contour is filled with brown paint. The bird is colored with light green and yellowish paint, decorated with light purple-colored dots. The surface is covered with transparent glaze.

Dimensions: low heel. heel height - 0.8 cm; heel diameter - 8 cm; thickness of the fold - 0.7 cm; On the outer side of the heel, in the middle, there is a button-like knob with the head cut off. Found: Kutaisi old city, near the western wall of Bagrat Cathedral courtyard (Fig. 1, 2).


A bowl (museum inv. book №10130 AA-842. Field register book of Kutaisi fortress №8034. 90) – a fragment of the base and side burnt in red. Inner mouth white engobe. The drawing is made by scratching. Only a part of the wing and neck, as well as a plant ornament, have survived on the fragment. A collar-ring with large light purple-colored dots is faintly visible on the throat. The neck is colored with brown paint, and the wing with green and yellow paint. For the stylization of the wing feathers, 3-3 light purple-colored dots inserted into 2 white ring segments placed against each other are used. Scratched lines are filled with brown paint. Its covered with

უფერული ჭიქური. ჯამის ქუსლი და-
ბალი, ბორბლისებურია.

ზომები: ქუსლის დიამეტრი – 7,3
სმ; ქუსლის სიმაღლე – 1,1 სმ; კეცის
სისქე – 0,6 სმ; აღმოჩენილია: ქუთაი-
სის ნაქალაქარი, ჩანახშირეხული ორ-
მოს მასალა (სურ. 1, 3).

transparent glaze. The heel of the
foot is low, wheeled.

Dimensions: heel diameter -
7.3 cm; heel height - 1.1 cm;
thickness of the fold - 0.6 cm;
Found: the material of the
charred pit of Kutaisi fortress
(Fig. 1, 3).



სურ. 1. მოჭიქული ჯამები სტილიზებული ფრინველის გამოსახულებით
ქუთაისის ისტორიული მუზეუმიდან, XII–XIII სს.

**Fig. 1. Glazed jars with the image of a stylized bird from Kutaisi
Historical Museum**

ჯამი (შ. წ. № 10130 AA-842 ქ.ც. საგ.
№ 8028.90) – ძირის ფრაგმენტი წი-
თელკეციანი, სქელკედლიანი. კარგად
განლექილი თიხა. შიდა პირი თეთ-
რად ანგობირებული. ნახატი შესრუ-
ლებულია ამოკაწვრით. შემორჩენილ
ფრაგმენტზე გამოსახულია ფრინვე-
ლის ტანი პროფილში, თავისა და ბო-
ლოს გარეშე. ფრინველის ძირითადი
ტანი და მაღალი ფეხები შეფერილია

A bowl (museum inv. book
№10130 AA-842, Field register
book of Kutaisi fortress №
8028.90) – a fragment of the
bottom with a red face, thick-
walled. Well settled clay. Inner
mouth has white engobe. The
drawing is made by scratching.
The surviving fragment shows the
bird's body in profile, without the
head and tail. The main body and
high legs of the bird are colored

ყვითელი, ხოლო ფრთა და კუდი მწვანე და ყვითელი საღებავებით. ფრთის სტილიზაციისათვის გამოყენებულია კონცენტრული წრეები, რგოლის სემენტები – შიგ ჩასმული სოსანისფერი და თეთრი უჯრედების მონაცვლეობით. ფრინველს ყელზე შემოუყვება თეთრი საყელო-რგოლი, მძივისებური განლაგებული სოსანისფერი მსხვილი წერტილებით. ფრინველის ირგვლივ მწვანედ შეფერილი მცენარეული ორნამენტია გამოსახული. ფრაგმენტზე ჩანს, რომ კომპოზიცია ჩასმულია სოსანისფერ წრებაში, რომელიც ჯამის ძირის გარშემოწერილობას ემთხვევა. ნაკაწრი ხაზები ამოვსებულია ყავისფერი საღებავით. დაფარულია უფერული ჭიქურით. ჯამს აქვს ფართე ბორბლისებური ქუსლი.

ზომები: ქუსლის დიამეტრი – 9 სმ; ქუსლის სიმაღლე – 1,3 სმ; კეცის სისქე – 0,8-1 სმ-მდე. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ჩანახშირებული ორმოს მასალა (სურ. 1, 4).

აღწერილ ჯამებზე შესრულებული ნახატი გამოირჩევა დეკორატიულობით, რაც მეთუნე ოსტატის განვითარებულ მხატვრულ გემოვნებაზე მეტყველებს. ნახატის კონტურები მკაფიოდაა ამოკაწრული, რომლებშიც ფაქიზადაა ჩასმული მუქი საღებავი, ხოლო კონტურებსშიგა არე სუფთადაა შეფერილი და საღებავები არ არის გაღვრილი. ფრინველის გამოსახულება ყველა ნიმუშზე ფრაგმენტულია, რაც ართულებს მის იდენტიფიკაციას,

yellow, and the wing and tail are colored green and yellow. To stylize the wing, concentric circles, ring segments are used, alternating between light purple-colored and white cells inserted inside. The bird has a white collar-ring around its neck, beaded with large pine-colored dots. Around the bird is a green colored floral ornament. On the fragment, it can be seen that the composition is enclosed in a purple circle, which coincides with the circumference of the base of the bowl. Scratched lines are filled with brown paint. It is covered with transparent glaze. The foot has a wide wheeled heel.

Dimensions: heel diameter - 9 cm; heel height - 1.3 cm; The thickness of the fold is up to 0.8-1 cm. Found: material from Kutaisi fortress' charred pit (Fig. 1, 4).

The painting made on the described bowls is distinguished by its decorativeness, which indicates the developed artistic taste of the master potter. The contours of the painting are clearly drawn, in which the dark paint is inserted, and the area inside the contours is cleanly colored and the paint is not spilled. The image of the bird on all samples is fragmentary, which makes its identification difficult, although a certain opinion can be expressed: according to the

თუმცა გარკვეული მოსაზრების გამოთქმა შესაძლებელია: ყელზე საყელო-რგოლისა და კუდის ნაწილის მიხედვით ის შეიძლება მივაკუთვნოთ ხობზის ოჯახს, კონკრეტულად კაკაბს, ან მტრედისებრი ოჯახიდან ქედანს. ჯამების მოხატულობიდან ნათლად ჩანს რომ ის საკმაოდ მოხდენილად და ამაყად დგას. გამოსახულების გასახალისებლად გამოყენებულია კონტრასტული ფერის ჩანართები, კერძოდ მუქი ფერის მსხვილი წერტილები, რაც კომპოზიციას დამატებით აცოცხლებს.

მსგავსი სტილიზებული ფრინველის გამოსახულებით შემკული ჭურჭელი დამახასიათებელია როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებისათვის. დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილია ძირითადად ქუთაისის ნაქალაქარსა და ბათუმის ციხეზე, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში – რუსთავში, დმანისში, უჯარმაში, გუდარეხში, ჟინვალში, უფლისციხეზე (XIV ს.) (მინდორაშვილი, 2008: 46), თბილისში: ქარვასლის ტერიტორიაზე (XVI-XVII სს.) და სინაგოგაში (XIV ს.) (მინდორაშვილი, 2009: 26; 43), კვეტერაში (მინდორაშვილი, 2010: 35-37), მეტეხის ხიდთან – ორმოცი სებასტიანელი მოწამის სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე (დანელია, 2011: 1) და სხვ.

collar-ring on the neck and part of the tail, it can be attributed to the pheasant family, specifically to the rock partridge, or to the dove family - to the wild dove. From the drawing of the figures, it is clear that it stands quite gracefully and proudly. To refresh the image, contrasting color inserts are used, namely large dots of dark color, which add life to the composition.

Dishes decorated with the image of a similar stylized bird are characteristic of different regions of both Western and Eastern Georgia. In Western Georgia, it was found mainly at the old city settlement in Kutaisi and Batumi Castle, and in Eastern Georgia - in Rustavi, Dmanisi, Ujarma, Gudarekhi, Zhinvali, Uplistsikhe (XIV century) old cities (Mindorashvili, 2008: 46), in Tbilisi: in the territory of Karvasla (XVI-XVII centuries) and in the synagogue (XIV century) (Mindorashvili d. 2009: 26; 43), in Kvetera fortress (Mindorashvili 2010: 35-37), near the bridge of Metekhi - in the vicinity of the church named after the forty Sebastian martyrs (Danelia, 2011: 1) and others.



სურ. 2. მოჭიქული ჯამები სტილიზებული ფრინველის გამოსახულებით:
 1 — ბოლნისის მუზეუმიდან; 2 — უჯარმის ციხე-ქალაქიდან;
 3 — ქუთაისის ნაქალაქარიდან

Fig. 2. Glazed bowls with the image of a stylized bird: 1 — Museum of Bolnisi; 2 — from the fortress-city of Ujarma; 3- from the old city of Kutaisi

ზემოაღწერილ ნიმუშებთან ყველაზე მეტი მსგავსებით, კომპოზიციური გადაწყვეტისა და ფერთა გამის მიხედვით, გამორჩეულია ბოლნისისა (სურ. 2, 1) და უჯარმის (სურ. 2, 2) არქეოლოგიური კვლევისას აღმოჩენილი ჯამები. გამოსახვის სტილისტური ხერხების მიხედვით კიდევ უფრო ახლოსაა ქუთაისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩენილი ჯამი (სურ. 2, 3), რომელიც შეფერილობით მუზეუმში დაცული ერთ-ერთი ნიმუშის (სურ. 1, 1) თითქმის იდენტურია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შუა საუკუნეებში მოჭიქული ჭურჭლის ფრინველის გამოსახულებით შემკობა ფართოდ გავრცელებული ტრადიცია იყო, როგორც საქართველოში, ისე აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებში.

The most similar to the above samples, in terms of compositional solution and color gamut, are the aggregates found during the archaeological research of Bolnisi (Fig. 2, 1) and Ujarma fortress (Fig. 2, 2).

According to the stylistic methods of depiction, the bowl found by chance in the territory of Kutaisi old city (Fig. 2, 3) is even closer, which is almost identical in color to one of the samples kept in the museum (Fig. 1, 1).

As we have already mentioned, in the Middle Ages decorating glazed dishes with the image of a bird was a widespread tradition, both in Georgia and in Eastern and

რასაც ახლო სამეზობლოს (სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი), ხმელთაშუა ზღვისპირეთის აუზის, შავიზღვისპირა ქვეყნების, ვოლგისპირეთის, ახლო აღმოსავლეთისა და შუა აზიის არქეოლოგიური კვლევები შედეგად მოპოვებული მასალები ადასტურებს. ამ მასალებიდან ზემოთ აღწერილ ქუთაისურ ჯამებზე გამოსახულ ფრინველთან, ფერთა შეხამებით, ახლოს დგას ფრინველის გამოსახულება აზერბაიჯანის – შირვანა-გუსტაშფის ანუ ბიანდოვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ჯამის ფრაგმენტიდან (Достиев, 2010: 38) (სურ. 3, 1); ასევე მეტნაკლები მსგავსებით ხასიათდება სომხეთის – დვინის ნაქალაქარის ჯამისა (Ваганян, Ваганян, 2009: 8) (სურ. 3, 2) და თურქეთში ქალაქ ბითლისის აკლათის მუზეუმში დაცული სელჩუკური ჭურჭლის მოხატულობა (Yüceli, Sanalii, 2011: 539) (სურ. 3, 3). სამივე დასახელებული ნიმუში XII-XIII საუკუნეებით არის დათარიღებული.

როგორც ვხედავთ, სტილიზებული ფრინველის მოტივი საკმაოდ ხშირად გვხვდება ახლო სამეზობლოსა თუ შორეულ რეგიონებში და მათ უმეტესობას იდენტური მსგავსი ელემენტები გააჩნია ტერიტორიის ძალზე დიდ არეალში. შეიძლება ითქვას, რომ მოჭიქული კერამიკა სტილიზებული ფრინველის ორნამენტით, ხასიათდება ფორმის, სიუჟეტისა და მოხატულობის (კომპოზიციური გადაწყვეტითა და ფერთა გამით) გარკვეული

Western countries. What a close neighborhood (Armenia, Azerbaijan, Turkey), the Mediterranean basin, the Black Sea countries, the Volga region, the Middle East, and Central Asia, confirms. From these materials, the image of a bird from the fragment of a bowl found on the old city of Shirvana-Gustashfi, or Biandovani, Azerbaijan, is close to the bird depicted on the Kutaisi bowls described above, in terms of color combination (Достиев, 2010: 38) (Fig. 3, 1); It is also more or less similar to the bowl of Armenia - Dvini old city (Ваганян, Ваганян, 2009: 8) (Fig. 3, 2) and the painting of Seljuk pottery kept in Bitlis Ahlat Museum in Turkey (Yüceli, Sanalii, 2011: 539) (Fig. 3, 3). All three named samples are dated to XII-XIII centuries.

As we can see, the stylized bird motif is quite often found in the near neighborhood or distant regions, and most of them have identical similar elements in a very large area of the territory. It can be said that glazed ceramics with a stylized bird ornament are characterized by a certain standardization of form, plot and painting

სტანდარტიზაციით. ეს არც არის გა-
საკვირი – სოციალურ-ეკონომიკური,
სავაჭრო და პოლიტიკური ურთიერ-
ობების განვითარება

(compositional solution and
color range). This is not
surprising - the development of
socio-economic, trade and



სურ. 3. ფრინველის გამოსახულება უცხოურ ნიმუშებზე, XII–XIII სს. : 1 — მოჭიქული
ჯამის ფრაგმენტი ზიანდოვანის ნაქალაქარიდან, აზერბაიჯანი); 2 — მოჭიქული ჯამი
დვინის ნაქალაქარიდან, სომხეთი;
3 — მოჭიქული ჯამის ფრაგმენტი ქ. ბითლისის აჰლათის მუზეუმიდან, თურქეთი; 4-5
— ბრინჯაოს სასმისი, აზერბაიჯანის ეროვნული მუზეუმი

**Fig. 3. Glazed bowl with the image of a bird, 12th-13th centuries: 1 –
from Biandovani old city, Azerbaijan; 2 – from Dvini old city, Armenia; 3
–From Bitlis Ahlat Museum, Turkey; 4-5 – Bronze cup, National Museum
of Azerbaijan**

ხელს შემწყობი ფაქტორი იყო კერამიკის (და არა მხოლოდ კერამიკის) ორნამენტულ ტექნიკის, სტილის, კომპოზიციისა და ნახატის პრინციპების სისტემის ფორმირებისა და დანერგვისათვის.

სწორედ ასეთი სტანდარტიზაციის მაგალითს წარმოადგენს აზერბაიჯანის ისტორიის ეროვნულ მუზეუმში დაცული ტორევეტიკის ნიმუში, ნახიჭევანში დამზადებული ბრინჯაოს სასმისი (სურ. 3, 4). მის კალთებზე, უხვად დეკორირებულ სარტყლებში განლაგებულ მედალიონებში, მცენარეული ორნამენტის ფონზე, გამოსახულია ფრინველი (სავარაუდოდ მტრედი), სწორედ ისეთივე სტილიზებული სქემით, როგორც ეს მოჭიქულ ჯამებზეა წარმოდგენილი (სურ. 3, 5).

მეორე ჯგუფში გაერთიანებულ 8 ჯამის ფრაგმენტზე გამოსახული ფრინველები პატარა ზომისაა და ამოკაწვრით ან კომბინირებული წესით (ამოკაწვრა-ამოფხეკით), მონოქრომულად (მწვანე, ყავისფერი, ყვითელი, მომწვანო-მოყავისფრო) არის შესრულებული.

ჯამი (ქ.გ. სავ. №722.04) – ძირისა და გვერდის ფრაგმენტი ყავისფრად გამომწვარი, კარგად განლექილი თიხა. ორმხრივად თეთრად ანგობირებული. შიდაძირის მოყვითალო-მომწვანო ფონზე, ჯამის ძირში, ამოკაწვრით შესრულებულია ფრინველის გამოსახულება. ის მარჯვნივაა მიმართული და

political relations was a contributing factor to the formation and introduction of a system of decorative techniques, styles, composition and drawing principles of ceramics (and not only ceramics).

An example of this kind of standardization is a bronze cup made in Nakhichevan preserved in the National History Museum of Azerbaijan (Fig. 3, 4). On its walls, in medallions placed in richly decorated belts, against a background of plant ornaments, there is a bird (probably a dove), with the same stylized scheme as on glazed bowls the (Fig. 3, 5).

The birds depicted on the fragments of the 8 sums united in the second group are small in size and are made by scratching or combined method (scratching-scraping), monochrome (green, brown, yellow, greenish-brown).

Bowl (Field register book of Kutaisi fortress №722.04) – a fragment of the base and side, brown-burnt, well-precipitated clay. Bilaterally covered with white engobe. On the yellow-green background of the inside, at the bottom of the jar, the image of a bird is scratched. He is facing right and holding a worm in his beak, which is represented by curved lines. A large oval surrounds the bird's round eye;

ნისკარტით უჭირავს ჭიაყელა, რომელიც კლაკნილი ხაზებითაა გადმოცემული. ფრინველს მრგვალი თვალის ირგვლივ მოზრდილი ოვალი შემოსდევს; თავის მოყვანილობა წაგრძელებულია; მაღალი ყელის თავსა და ბოლოში ორი საყელო-რგოლი აქვს; ნისკარტი მოკაუჭებული; კუდი გაფართოებული და ბოლოში სამად გაყოფილი; ცალი ფრთა აფრთხილებული; ტანი დეკორირებულია პარალელური რკალებითა და წრით, ხოლო ფრთა ბუმბულის აღმნიშვნელი წინწკლებით. ფეხები მოზრდილი კლანჭებითაა დაბოლოებული. ნაკაწრი ხაზები ამოვსებულია მუქი ყავისფერი საღებავით. ჯამს გადავლებული აქვს უფერული კრიალა ჭიქური. შემორჩენილი აქვს ზედადგარის ფეხების ნაკვალევი. ჯამს დაბალი, გამოყვანილი ქუსლი აქვს.

ზომები: ქუსლის დმ – 7,5 სმ; ქუსლის სიმაღლე – 1 სმ; კეცის სისქე – 0,6 სმ; ჩიტის სიმაღლე – 4,6 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, შემთხვევით ზედაპირული მონაპოვარი (სურ. 4, 1).

ჯამი (შ. წ. 10130 AA-842. ქ.ც. სავ. №5932.87) – ძირის ფრაგმენტი რუხად გამომწვარი, კარგად განლექილი თიხა. ორმხრივად თეთრად ანგობირებული. შიდაპირის ყვითელ ფონზე, ჯამის ძირში, ამოკაწვრით შესრულებულია ფრინველის– მარჯვენა პროფილი. ნისკარტით უჭირავს კლაკნილი ხაზე-

The head is elongated; The high neck has two collars at the head and bottom; beak hooked; tail expanded and divided into three at the end; one wing shriveled; The body is decorated with parallel semicircles and circles, and the wing with feather markings. The legs end with large claws. Scratched lines are filled with dark brown paint. Its covered with colorless crystal glass. Footprints of the chieftain's feet have been preserved. The foot has a low, raised heel.

Dimensions: heel diameter – 7.5 cm; heel height – 1 cm; thickness of the clay – 0.6 cm; The height of the bird is 4.6 cm. Discovered: Kutaisi old city, accidental surface find (Fig 4, 1).

Bowl (museum inventory book №10130 AA-842. Field register book of Kutaisi fortress №5932.87) – a fragment of the base of gray burnt, well-precipitated clay. Bilaterally engobed in white. On the yellow background of the inner side, at the bottom of the cover, the right profile of the bird is scratched. He is holding a worm with his beak, which is represented by squiggly lines; It has a large, round eye, a high neck and two collars at the bottom; wings spread, sickle-shaped; The body is decorated

ბით გადმოცემული ჭიაყელა; აქვს დიდი, მრგვალი თვალი, მაღალი ყელის თავსა და ბოლოში ორი საყელო-რგოლი აქვს; ფრთები გაშლილი, ნამგლისებურად მოხრილი; ტანი დეკორირებულია პარალელური რკალებითა და კონცენტრული წრეებით, ხოლო კუდი და ფრთები წინწკლებით. ფეხები მოხრდილი კლანჭებითაა დაბოლოებული. ნაკაწრი ხაზები ამოვსებულია მუქი ყავისფერი საღებავით. გადავლებული აქვს უფერული კრიალა ჭიქური. შიდაპირზე შემორჩენილი აქვს ზედადგარის ფეხების ნაკვალევი. გარეპირი დაფარულია ყვითლად, დატანილია ყავისფერი ლაქები და გადავლებულია უფერული კრიალა ჭიქური. ჯამს დაბალი, გამოყვანილი ქუსლი აქვს.

ზომები: ქუსლის დმ – 7,8 სმ; ქუსლის სიმაღლე – 1 სმ; კეცის სისქე – 0,5 სმ; ჩიტის სიმაღლე – 5,7 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი (სურ. 4, 2).

კომპოზიციური გადაწყვეტით, სტილიზაციის ხასიათითა და შესრულების ტექნიკით ზემოაღწერილი ორი ჯამის მსგავსია ჭურჭლის კიდევ ერთი ფრაგმენტი, რომელზეც მხოლოდ ტანის ნაწილი – კუდი და ფეხებია შემორჩენილი.

ჯამი (შ. წ. 10130 AA-842. ქ.ც. საგ. №8023. 90) – ძირის ფრაგმენტი, რუხკეციანი, ორმხრივ თეთრად ანგობირებული. შიდაპირის მწვანე ფონზე ამოკაწვრის ტექნიკით შესრულებულია

with parallel semicircles and concentric circles, and the tail and wings with forewings. The legs end with large claws. Scratched lines are filled with dark brown paint. Transparent glaze is brushed over dish. On the inner side, there are traces of the feet of the upper heel. The surface is covered with yellow, brown spots and a colorless glaze is applied. The foot has a low, raised heel.

Dimensions: heel diameter – 7.8 cm; heel height – 1 cm; thickness of the clay – 0.5 cm; The height of the bird is 5.7 cm. Discovered: Kutaisi old city (Fig 4, 2).

Another fragment of a vessel, on which only part of the body – the tail and legs – has been preserved is similar to the above-mentioned two bowls' images, in terms of compositional solution, character of stylization and performance technique.

Bowl (museum inventory book №10130 AA-842. Field register book of Kutaisi fortress №8023. 90) – a fragment of the base, gray-faced, covered with white engobe on both sides. On the green background of the inner side, a bird with a right profile is made by scratch technique. The remaining part of the body is decorated with parallel

ფრინველი, მარჯვენა პროფილით. ტანის შემორჩენილი ნაწილი დეკორირებულია პარალელური რკალებითა და წრით, ხოლო ფრთა წინწკლებით. კუდი ბოლოსკენ გაშლილია. დეკორის აღნიშნული ელემენტებითა და ბრჭყალების გამოსახვის მანერით ის ზემოაღწერილი ჯამის (სურ. 4, 1) იდენტურია. ნაკაწრი ხაზები ამოვსებულია ყავისფერი საღებავით. ჯამს გადავლებული აქვს უფერული ჭიქური. შიდაპირზე შეინიშნება ზედადგრის ნაშთი. ჯამს დაბალი, ფართე, გამოყვანილი ქუსლი აქვს.

semicircles and circles, and the wing is decorated with forewings. The tail is spread towards the end. It is identical to the above-described bowl (Fig 4, 1) with the mentioned elements of the decor and the manner of displaying the claws. Scratched lines are filled with brown paint. Its covered with a colorless glaze. The remains of the upper base can be seen on the inner side. Bowl has a low, wide, raised heel.



სურ. 4. მოჭიქული ჯამები მცირე ზომის ფრინველის გამოსახულებით, XII-XIII სს.
Fig 4. Small-sized glazed bowls with images of birds from Kutaisi, 12th-13th centuries

ზომები: ქუსლის დმ – 7,5 სმ; კეცის სისქე – 0,5 სმ; ქუსლის სიმაღლე – 1 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი (სურ. 4, 3).

ჯამების (სურ. 4, 1 და სურ. 4, 3) იდენტურობა და ნახატის შესრულებული

Dimensions: heel diameter – 7.5 cm; thickness of the clay – 0.5 cm; heel height – 1 cm; Discovered: Kutaisi old city (Fig 4, 3).


The identity of the bowls (Fig 4, 1 and Fig 4, 3) and the manner

ბის მანერა, განსაკუთრებით სტილიზაციის ერთნაირი ხერხი, ფეხებისა და ბრჭყალების ერთი და იგივე ფორმა, იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ისინი ერთი ოსტატის ნახელავია.

ზემოაღწერილ სამივე ჯამზე, ფრინველის გარეგნული იერისა და ზომის მიხედვით, სავარაუდოდ გვრიტია გამოსახული.

of execution of the painting, especially the same method of stylization, the same shape of the feet and brackets, give grounds to assume that they are the work of the same master.

Based on the appearance and size of the bird, all the three bowls described above are likely to depict a laughing dove.



სურ. 5. მოჭიქული კერამიკა მცირე ზომის ფრინველის გამოსახულებით: 1-5 — ჯამის ფრაგმენტები ქუთაისის ნაქალაქარიდან, XII-XIII სს.; 6 — ჯამი ქ. ქალკიდადან, XII-XIII სს.

fig. 5. Glazed ceramics with the image of a small bird: 1- 5 – fragments of glass from Kutaisi Nakalakar, XII-XIII centuries; 6 – total St. From Chalkida, XII-XIII centuries

ჯამი (შ. წ. 10130 AA-842. ქ.ც. №5933. 87) – ძირის ფრაგმენტი, ძლიერ დაზიანებული, წითლად გამომწვარი, შიდა მხრიდან თეთრად ანგობირებული. მოყვითალო მდოგვისფერ ფონზე გამოსახულია ამოკაწვრით შესრულებული ფრინველი მარცხენა პროფილით, რომელიც ძნელად გაირჩევა. შეინიშნება მხოლოდ ბუმბულის აღმნიშვნელი, მჭიდროდ განლაგებული მრუდე ხაზები და კლანჭები. ნაკაწრი ხაზები ამოვსებულია ყავისფერი საღებავით. გადავლებული უნდა იყოს უფერული ჭიქური. გარეთა პირზეც შეიმჩნევა ანგობი, რომელიც დაფარულია ყავისფერი და ყვითელი ჭიქურით.

ზომები: კეცის სისქე – 0,7 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი (სურ. 5, 1).

ჯამი (შ. წ. 10130 AA-842. ქ.ც. № 5936. 87) – ძირის ფრაგმენტი, წითლად გამომწვარი. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. ყვითელ ფონზე ამოკაწვრით შესრულებულია ფრინველი მარცხენა პროფილით. შემორჩენილია ტანი, თავის გარეშე. ტანი დეკორირებულია ბუმბულის აღმნიშვნელი მცირე ზომის, პარალელური მრუდე ხაზებით, ხოლო ფრთები სტილიზებულია რომბული ბადის სახით. ნაკაწრი ხაზები ამოვსებულია ყავისფერი საღებავით. გადავლებული აქვს უფერული ჭიქური. გარეპირი თეთრად ანგობირებულია და დაფარულია ყავისფე-

Bowl (museum inventory book №10130 AA-842. Field register book of Kutaisi fortress №5933. 87) – a fragment of the base, badly damaged, burnt red, engobed in white from the inside. On a mustard-yellow background is an incised bird in left profile, which is difficult to distinguish. Only the densely spaced curved lines and claws indicative of feathers are noticeable. Scratched lines are filled with brown paint. Covered with transparent glaze. Engobe is also visible on the outer face, which is covered with brown and yellow glaze.

Dimensions: thickness of the clay – 0.7 cm; Discovered: Kutaisi old city (Fig 5, 1).

Bowl (museum inv. book №10130 AA-842. Field register book of Kutaisi fortress №5936. 87) – fragment of the base, burnt red. The inner edge is covered with white engobe. A bird in left profile is scratched on a yellow background. The body is preserved, without the head. The body is decorated with small, parallel curved lines representing feathers, and the wings are stylized as a rhombus mesh. Scratched lines are filled with brown paint. Covered with transparent glaze. The outer sides are painted in white and covered

რი და ყვითელი ჭიქურით. ჯამის ქუსლი ფართოდ გაშლილი და გამოყვანილია.

ზომები: ქუსლის დმ – 8,5 სმ; ქუსლის სისქე – 0,5 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი (სურ. 5, 2)

ჯამი (შ. წ. 10130 AA-842. ქ.ც. №5937. 87) – ძირის ფრაგმენტი, წითლად გამომწვარი კეცი. ფრაგმენტზე ჭიქური ძლიერ დაზიანებულია, შემორჩენილია მხოლოდ თავისა და ტანის ნაწილი. თეთრად ანგობირებული შიდაპირის ყვითელ ფონზე ამოკაწვრით შესრულებულია ფრინველის მარცხენა პროფილი. ტანი დეკორირებულია ბუმბულის აღმნიშვნელი მცირე ზომის, პარალელური მრუდე ხაზებით, ხოლო ფრთები სტილიზებულია რომბული ბადის სახით. ყელზე საყელორგოლი შეინიშნება. თვალი ორი მცირე ზომის კონცენტრული წრის სახითაა მოცემული. ფრინველს ნისკარტით უჭირავს 2 ტეხილი ხაზით გამოსახული ჭიყვია. ნაკაწრი ხაზები შევსებულია ყავისფერი საღებავით. ჯამი დაფარულია უფერული ჭიქურით. გარედან ქუსლის ნაწილი ანგობირებულია და გადავლებულია ყავისფერი და ყვითელი ჭიქური. ჯამის ქუსლი ფართოდ გაშლილი და გამოყვანილია.

ზომები: ქუსლის სისქე – 0,5 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი (სურ. 5, 3). აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ 2 ჯამზე (სურ. 5, 2 და სურ. 5, 3) გამოსახული ფრინველი, გარეგნული ნიშნებით წააგავს როგორც კაკაბს, ისე

with brown and yellow glaze. Bowl's heel is wide open and pulled out.

Dimensions: heel diameter – 8.5 cm; heel thickness – 0.5 cm; Discovered: Kutaisi old city (Fig 5, 2).

Bowl (museum inv. book №10130 AA-842. Field register book of Kutaisi fortress №5937. 87) – fragment of the base, red-burnt clay. The glaze on the fragment is badly damaged, only a part of the head and body remain. The left profile of the bird is scratched on the yellow background of the whitely engobed inner sides. The body of a bird is decorated with small, parallel curved lines representing feathers, and the wings are stylized as a rhombus mesh. There is a collar-ring on the neck. The eye is given as two small concentric circles. The bird is holding a worm in its beak with 2 broken lines. Scratched lines are filled with brown paint. The bowl is covered with transparent glaze. On the outside, the part of the heel has a white engobe and covered with brown and yellow glaze. The heel of the foot is wide open and pulled out.

Dimensions: heel thickness – 0.5 cm. Discovered: Kutaisi old city (Fig 5, 3).

მწყერს. მცირე ზომების გამო უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ფრინველი მწყერია, მოსაზრებას ამყარებს ფრინველის კისრის დასაწყისში გამოსახული დახრილი საყელო-რგოლი, რაც სწორედ მწყერისთვის მახასიათებელი ნიშანია. ორივე ნახატი მსგავსი შესრულების მანერითა და ერთი და იგივე სტილიზაციით ხასიათდება – გამორიცხული არ არის, რომ ორივე ერთი ოსტატის მიერ არის დამზადებული. მსგავსი მოყვანილობის ფრინველი ქართულ ხელნაწერთა მინიატურებშიც გვხვდება (სურ. 6, 3)

ჯამი (შ. წ. 10130 AA-842. ქ.ც. სავ. №5939. 87) – ძირის ფრაგმენტი, წითლად გამომწვარი კეცი. შიდა და გარე პირი თეთრად ანგობირებული. შიდაპირის მწვანე ფონზე, ჯამის ცენტრში გამოსახულია ფრინველი მარცხენა პროფილით. მისი მოკაუჭებული ნისკარტიდან წვეთები, სავარაუდოდ მტრედისა და გვრიტისათვის დამახასიათებელი „ჩიტის რძე“ გადმოედინება; ტანი დაწინწკლული აქვს; ფრთები სტილიზებულია რომბული ბადის სახით. ფრინველის ირგვლივ, კომბინირებული ამოკაწვრა-ამოფხეკის ხერხით შესრულებულ კონცენტრულ წრეებში, ჩასმულია სპირალების სახით გამოსახული მცენარეული ორნამენტები. ნაკაწრი ხაზები ამოვსებულია ყავისფერი საღებავით. ჯამს გადავლებული აქვს უფერული კრიალა

It should be noted that the bird depicted on the last 2 images (Fig 5, 2 and Fig 5, 3) resembles both a rock partridge and a quail. Due to its small size, it should be assumed that this bird is a quail, the opinion is supported by the curved collar-ring at the beginning of the bird's neck, which is a characteristic sign of the quail. Both paintings are characterized by a similar manner of execution and the same stylization – it is possible that both were made by the same master. A similar bird can be found in miniatures of Georgian manuscripts (Fig. 6, 3).

Bowl (museum inv. book №10130 AA-842. Field register book of Kutaisi fortress №5939. 87) – a fragment of the base, red-burnt clay. Inner and outer mouth has a white engobe. On the green background of the interior, in the center of the image, there is a bird in left profile. Drops of "bird's milk" typical of pigeons and sparrows flow from its hooked beak; His body is wrinkled; The wings are stylized in the form of a rhombus grid. Around the bird, in the concentric circles made with a combined scraping saw, are inserted floral ornaments in the form of spirals. Scratched lines are filled with brown paint. The

ჭიქური. გარეპირზე მოჭიქულია მწვანედ და ყავისფრად. ქუსლი თხელი, ფართედ გაშლილი, გამოყვანილი.

ზომები: ქუსლის სიმაღლე – 1,3 სმ; კეცის სისქე – 0,6 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი (სურ. 5,4).

ჯამი (შ. წ. №9539 AA-764 ქ.ც. საგ. №4290. 85) – ძირის ფრაგმენტი, წითელკეციანი. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. შიდაპირის ყვითელ ფონზე დატანილია ამოკაწვრით შესრულებული ფრინველის გამოსახულება მარცხენა პროფილით. ფრაგმენტზე შემორჩენილია მხოლოდ თავი, ტანის ნაწილი და მოკლე ფეხები. აქვს მაღალი ყელი. ტანი დაფარულია ნაკაწრი წინწკლებით. თვალი ორი მცირე ზომის კონცენტრული წრის სახითაა გამოსახული. არწივისებურად მოხრილი ნისკარტიდან წვეთები, სავარაუდოდ მტრედისა და გვრიტისათვის დამახასიათებელი „ჩიტის რძე“ გადმოედინება. ჯამზე გადავლებულია უფერული ჭიქური. გარეთა მხრიდან ქუსლზე შეიმჩნევა თეთრი ანგობის კვალი, ასევე ჭიქურის ყავისფერი და ყვითელი ნაღვენთები. ქუსლი გამოყვანილი, მაღალი, ფართედ გაშლილი.

ზომები: ქუსლის სიმაღლე – 2 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, „ლაზების მეფეთა“ სასახლის ნანგრევები (სურ. 5, 5)

ბოლო 2 ჯამზე (სურ. 5,4 და სურ. 5, 5) გამოსახული ფრინველი, სავარაუ-

glass has been covered with transparent glass. The outer side is glazed in green and brown. The heel is thin, wide, drawn out.

Dimensions: heel height – 1.3 cm; thickness of the fold – 0.6 cm; Discovered: Kutaisi old city (Fig 5, 4).

Bowl (museum inv. book №9539 AA-764. Field register book of Kutaisi fortress 4290. 85) – fragment of the base, red-faced. The inner edge is covered with white engobe. On the yellow background of the inner side there is a scratched image of a bird in left profile. Only the head, part of the body and short legs have survived on the fragment. has a high neck. The body is covered with scratchy forepaws. The eye is depicted as two small concentric circles. Drops, probably the "bird's milk" characteristic of pigeons and sparrows, flow from the eagle-like beak. Colorless glaze is applied to the bowl. On the outside of the heel, traces of white engobe can be seen, as well as brown and yellow specks of glaze. The heel is drawn out, high, wide open.

Dimensions: heel height – 2 cm; Discovered: Kutaisi old city, the ruins of the "Kings of Lazs'" palace (Fig 5, 5).

დოდ, გვრიტი უნდა იყოს. ამ მოსაზრების საფუძველს ნისკარტიდან გადმოდენილი წვეთები წარმოადგენს, სწორედ დედალ გვრიტს აღენიშნება ჩიჩახვის თეთრი გამონაყოფი, ე.წ. „ჩიტის რძე“, რომლითაც ის ბარტყებს ასაზრდოებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ ჯამზე ფრინველის გამოსახულება ძალზე ფრაგმენტულია, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას – ორივე ერთი ოსტატის ნახელავია. მოსაზრებას ამყარებს წაგრძელებული – ოვალური თავის, მოკაუჭებული ნისკარტის და ფეხების (გაწელილი სამკუთხა ფორმა) იდენტურობა, ასევე ბუმბულის გამოსახვის ერთი და იგივე ხერხი.

აღსანიშნავია, რომ მოჭიქული ჯამები მცირე ზომის ფრინველის თავისებური გამოსახულებით – არწივისებრი ნისკარტითა და დეზებით (სურ. 4, 1-2; სურ. 5, 4) ჯერჯერობით არ შეგვხვედრია საქართველოს სხვა რეგიონში. ეს სავარაუდოდ, ქუთათური ოსტატების ერთგვარი მხატვრული ინტერპრეტაცია და ფანტაზიაა. სამაგიეროდ, უცხოურ მასალებში გვაქვს ნისკარტიდან გადმოდენილი წვეთებით გამოსახული ფრინველის (სურ. 5, 4-5) ანალოგი – საბერძნეთის კუნძულ ევბეაზე ქ. ქალკიდას არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი მოჭიქული ჯამი (სურ. 5, 6), რომელიც დათარიღებულია XII–XIII საუკუნეებით (Kontogiannis, Skartsis, 2021: 9, 248).

The bird depicted on the last 2 bowls (Figs. 5, 4 and Figs. 5, 5) should probably be a laughing dove. The basis of this opinion is the drops from the beak, female laughing dove secrete milk from their crop, so-called "Bird's milk" with which it feeds the baby birds. Although the image of the bird on these two sets is very fragmentary, it firmly can be said that both of them belong to the same master. The opinion is supported by the identity of the oblong-oval head, hooked beak and legs (extended triangular shape), as well as the same way of depicting feathers.

It is worth noting that glazed jars with a peculiar image of a small bird - with an eagle-like beak and claws (Fig. 4, 1-2; Fig. 5, 4) have not yet been found in any other region of Georgia. This is probably a kind of artistic interpretation and fantasy of Kutaisi masters. Instead, in foreign materials, we have an analogue of a bird depicted with drops pouring from its beak (Fig. 5, 4-5) - on the Greek island of Euboea. A glazed bowl found during the archaeological excavations of Chalkida (Fig. 5, 6), dated to the XII-XIII centuries (Kontogiannis, Skartsis, 2021: 9, 248).

ქუთაისის ნაქალაქარის არქეოლოგიური კვლევის შედეგად აღმოჩენილი, ზემოაღწერილი მოჭიქული კერამიკული ჭურჭლის დამზადების პერიოდი, მასთან ერთად აღმოჩენილი თანმხლები მასალის მიხედვით, XII–XIII საუკუნეებით განისაზღვრება (ქარციძე, 2010: 134). იმავე პერიოდით თარიღდება საქართველოს სხვა რეგიონებში აღმოჩენილი, მსგავსი დეკორის მქონე მოჭიქული კერამიკა (მიწიშვილი, 1998: 59).

ხელოვნების სხვადასხვა ნიმუშებზე ფრინველის მოტივების გამოსახვის ტრადიციის ძველთაგან არსებობის შესახებ მრავალი ქართული არტეფაქტი მეტყველებს. ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული, ის გვხვდება ქართული მატერიალური კულტურის სხვადასხვა ხასიათის ძეგლებზე, ასეთებია: ანტიკური პერიოდის სამოსის ოქროს სამშვენისები (დოლიძე და სხვ., 2017: 27) (სურ. 6, 1-2), კოლხურ ბრინჯაოს სარტყლები და ჭვირული ბალთები, ანტიკური პერიოდის ქართული მოზაიკა. ასევე ხშირია მისი გამოსახვა შუა საუკუნეების ქვის რელიეფებზე, ხელნაწერთა მინიატურებში (ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, 2018) (სურ. 6, 3), ქსოვილებსა და სხვა ძეგლებზე. ქსოვილის საუკეთესო ნიმუშებად შეიძლება ჩაითვალოს დავით III კურაპალატის სამოსი ოშკის ტაძრის ქვის რელიეფიდან (კეცხოველი, 1988: 25) (სურ. 6, 4), სვანეთში აღმოჩენილი

The period of manufacture of the above-described glazed ceramic vessel discovered as a result of the archaeological research of Kutaisi former city, according to the accompanying material found with it, is bordered by the 12th-13th centuries (Kartsidze, 2010: 134). Glazed ceramics with similar decor found in other regions of Georgia date from the same period (Mitsishvili, 1998: 59).

Many Georgian artefacts testify to the existence of the tradition of depicting bird motifs on various pieces of art. Since the ancient period, it can be found on various monuments of material culture of Georgia, such as: the gold ornaments of the ancient period clothes (Dolidze and others, 2017: 27) (Fig. 6, 1-2), the Colchi bronze belts and silver buckles, the Georgian mosaics of the ancient period. It is also often depicted on medieval stone reliefs, manuscript miniatures (Georgian Manuscript Book Abroad, 2018) (Fig. 6, 3), textiles and other monuments. The best samples of fabric can be considered the robe of David III from the stone relief of the Oshki temple (14) (Fig. 6, 4), Fragments of Coptic and Byzantine fabric found in Svaneti (Ketskhoveli,

კოპტური და ბიზანტიური ქსოვილის ფრაგმენტები (კეცხოველი, 1988; კალანდია, და სხვ., 2017; Материалы по археологии Кавказа, 1904:) (სურ. 6, 5-7).

1998; Kalandia and others, 2017; Материалы по археологии Кавказа, 1904: (Fig. 6, 5-7).



სურ. 6. ფრინველის გამოსახულება სხვადასხვა ძეგლებზე: 1, 2 — ანტიკური ოქროს სამშვენისები სამოსისთვის, ვანი; 3 — ხელნაწერთა მინიატურა; 4 — დავით III კურაპალატის სამოსი, ოშკის ტაძრის რელიეფი; 5, 6, 7 — კოპტური ქსოვილის ფრაგმენტები, სვანეთი

Fig. 6. The image of a bird on various monuments: 1, 2 – antique gold ornaments for clothes, Van; 3 – manuscript miniatures; 4 – David III Kurapalat's clothes, Oshki temple relief; 5, 6, 7 – Coptic fabric fragments, Svaneti

როგორც ვხედავთ, ქუთათური ოსტატებისათვის უცხო არ იყო, როგორც

As we can see, the Kutaisi masters were not alien to the

აღმოსავლური, ისე დასავლური კულტურის მიღწევები და ის ძირითადი ნიშან-თვისება, რაც დამახასიათებელია ზოგადად XI-XIII საუკუნეების მოჭიქული კერამიკის ორნამენტაციისათვის (გამოსახულების კომპოზიციური გადაწყვეტა, ფრინველის სილუეტური ფორმა, სტილიზაცია, ფერთა გამა) ფაქტობრივად ახასიათებს ქუთაისურ მოჭიქული კერამიკასაც. გარდა ამისა, ქუთაისურ მასალებში კარგად ჩანს კერამიკის გაფორმების მხატვრულ ხერხებში ადგილობრივი, ლოკალური ნიშნების არსებობა, რაც უდავოდ ჩვენებური ოსტატების საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალის აქტიურობის მაჩვენებელია. რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ შუა საუკუნეების ქუთაისი საკმაოდ დაწინაურებული საქალაქო ცენტრი იყო საქართველოში.

achievements of both Eastern and Western culture and the basic features that are characteristic for the ornamentation of glazed ceramics of the XI-XIII centuries in general (composite solution of the image, silhouette form of the bird, stylization, color gamut) actually characterizes Kutaisi glazed ceramics as well. In addition, in the Kutaisi materials, the existence of local signs in the artistic ways of decorating ceramics is clearly visible, which is undoubtedly an indicator of the activity of our craftsmen's own creative potential. This once again confirms that in the Middle Ages Kutaisi was a fairly advanced urban center in Georgia.



ეპიგრაფიკული ორნამენტით დეკორირებული მოჭიქული კერამიკა¹¹

GLAZED CERAMICS WITH EPIGRAPHICAL ORNAMENT¹²

მოჭიქული კერამიკის ქუთაისურ კოლექციაში, გარდა ადგილობრივი ოსტატების მიერ დამზადებული, მრავალფეროვანი ორნამენტით დეკორირებული ჭურჭლის ნიმუშებისა, დაცულია ეპიგრაფიკული ორნამენტებით მორთული უცხოური მოჭიქული კერამიკა, რომელთა შემკულობა წარმოადგენს კალიგრაფიული ხელწერით შესრულებულ წარწერას – სიტყვის ან ცალკეული ასოების სახით.

The Kutaisi collection of glazed ceramics, in addition to samples of vessels decorated with diverse ornaments made by local masters, also preserves foreign glazed ceramics decorated with epigraphic ornaments, the decoration of which is an inscription made in calligraphic handwriting - in the form of a word or individual letters.

¹¹გამოყენებულია პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებული სტატია: „ეპიგრაფიკული ორნამენტით დეკორირებული მოჭიქული კერამიკა ქუთაისის ისტორიული მუზეუმიდან“

¹² The article published within the framework of the project was used: „Glazed Ceramics with Epigraphical Ornament from Kutaisi Historical Museum“.

კერამიკის კალიგრაფიული წარწერით დეკორირების ტრადიცია X საუკუნიდან ფართოდ გავრცელდა აღმოსავლურ მუსულმანურ სამყაროში. რასაც ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ არაბთა სახალიფოს მიერ დაპყრობილ უზარმაზარ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით აღმოსავლეთის ქვეყნების კულტურულ სივრცესა და ხელოვნებაში საფუძვლიანად დამკვიდრდა არაბული კალიგრაფია (კალიგრაფია – ბერძნ. „ლამაზი დამწერლობა“). მართალია, არაბები არ იყვნენ პირველები, ვინც ეპიგრაფიკა გამოიყენა დეკორატიული მიზნებისთვის, მაგრამ სხვებისაგან განსხვავებით, მათ მნიშვნელოვნად გააფართოვეს კალიგრაფიის ჩვეულებრივი გამოყენების ფარგლები და არაბული დამწერლობის დეკორატიული შესაძლებლობების წყალობით შექმნეს სპეციალური მხატვრული ფორმა – დამოუკიდებელი ორნამენტი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კერამიკულ ნაკეთობაზე წარწერის დატანა არც ქართველი მეთუნეებისათვის უნდა ყოფილიყო უცხო ტრადიცია, რასაც ნეკრესის ნაქალაქარის მარნის ტერიტორიაზე არქეოლოგიური ძიების შედეგად აღმოჩენილ ქვევრზე არსებული წარწერა (ჭილაშვილი, 2004: 7), მცირე ზომის ჭურჭლების გაპრიალებულ ზედაპირზე ამოკაწრული დაქარაგმებული ქართული წარწერები (ბახტაძე, 2008: 8) და საქართველოს სხვადასხვა ნაქალაქარის გათხრების

The tradition of decorating ceramics with calligraphic inscriptions has spread widely in the Eastern Muslim world since the 10th century. This was facilitated by the fact that in the vast territory conquered by the Arab Caliphate, especially in the cultural space and art of the Eastern countries, Arabic calligraphy (calligraphy – Greek – “beautiful writing”) was thoroughly established. It is true that the Arabs were not the first to use epigraphy for decorative purposes, but unlike others, they significantly expanded the scope of the usual use of calligraphy and, thanks to the decorative capabilities of the Arabic script, created a special artistic form – an independent ornament. It should be noted here that putting an inscription on a ceramic product should not have been a foreign tradition for Georgian potters, as the inscription on a pitcher found as a result of archaeological research in the area of old city settlement cellar of Nekresi (4, p. 7), Georgian inscriptions scratched on the polished surface of small vessels (1, p. 8) and the inscribed building ceramics found during the excavation of various settlements in Georgia

დროს აღმოჩენილი წარწერიანი სამშენებლო კერამიკა (ქარციძე, 2010: 58, 75; ჯღამაია, 1980: 21; ჭილაშვილი, 1990: 24; 37; ზაქარაია, 1965: 43) მოწმობს. თუმცა, ქართულ მხატვრულ კერამიკაზე უფრო იშვითად გვხვდება წარწერები და ხელოსნის დამღები, რითაც ის მკვეთრად განსხვავდება მსგავსი სტილის აღმოსავლური ნაწარმისაგან (ზახტაძე, 2013: 14).

არაბული კალიგრაფიული ორნამენტი მნიშვნელოვან კულტურულ როლს ასრულებდა მუსულმანურ ქვეყნებში და ინტენსიურად გამოიყენებოდა სახვითი ხელოვნების მიზნებისთვისაც, კერძოდ, სხვადასხვა მხატვრული ნაკეთობების – კერამიკის, ფაიფურის და ლითონის ნაწარმის, ხალიჩების და სხვა ქსოვილების, მონეტებისა და ასევე არქიტექტურულ ძეგლების (ძირითადად საკულტო ნაგებობების) დეკორირებისათვის (Исламский алфавит, 2022:).

როდესაც კომპოზიციებში არაბულ დამწერლობაზე დაფუძნებული ეპიგრაფიკული ელემენტები აცოცხლებდა ორნამენტულ სქემას. კერამიკულ ნაკეთობებზე – ჯამებზე, თასებზე, დოქებსა და სხვა ჭურჭელზე, წარწერა მოთავსებული იყო კონცენტრულად, ნაპირთან ახლოს. წარწერები, ძირითადად, სრულდებოდა ორ სტილში: „კუფური“ – ასოების სწორი, მკაფიო, კუთხოვანი მოხაზულობით და „ნასხური“ – უფრო მომრგვალებული ასო-

(Kartsidze and others, 2010: 58, 75; Jgamaia, 1980: 21; Chilashvili L. 1990: 24; Zakaraya, 1965: 43) testifies. However, inscriptions and artist's painting are more rarely found on Georgian artistic ceramics, which makes it sharply different from oriental products of a similar style (Bakhtadze, 2013: 14).

Arabic calligraphic ornament played an important cultural role in Muslim countries and was intensively used for the purposes of fine art, in particular, for the decoration of various artistic products – ceramics, porcelain and metal products, carpets and other fabrics, coins, and also architectural monuments (mainly cult buildings) (Исламский алфавит, 2022).

In complex compositions, epigraphic elements based on Arabic script enlivened the ornamental scheme. On ceramic products – jars, bowls, jugs and other vessels, the inscription was placed concentrically, close to the edge. Inscriptions were mainly completed in two styles: “Kufi” – with straight, clear, angular outlines of letters and “Naskhi” – with more rounded letters. The inscriptions were in the form of aphoristic (religious sayings from the Qur'an,

ბით. წარწერები შინაარსით იყო, როგორც აფორისტული (რელიგიური გამოხატუვამები ყურანიდან, შეგონებანი), დალოცვითი და კეთილმოსურნეობითი (ბარაქა, წარმატებები), ისე მხოლოდ სიტყვების (ღვთისა და წინასწარმეტყველების სახელები), მარცვლების, ან ცალკეული ასოების სახით. არაბული ასოები შუა საუკუნეებში წმინდა გამოსახულებად ითვლებოდა და სემანტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, ასე, მაგალითად, ასო ن ("nun") ნიშნავს სიტყვას „nusrat“, ანუ „წარმატებას“, „გამარჯვებას“ (Göyüşov, 1988: 25; Достиев, 2017: 662).

მოგვიანებით ეპიგრაფიკულმა ორნამენტმა გარკვეული ცვლილებები განიცადა: პირველი მიმართულება – კუფური ორნამენტის ასოები, სტილიზაციის შედეგად მცენარეულ ხვებად და ყვავილწულებად გარდაიქმნა (ფლორიზაციის პროცესი); მეორე მიმართულება – ეპიგრაფიკული ორნამენტი არაბული დამწერლობის მიხედვით შესრულებულ სტილიზებულ ფსევდოეპიგრაფიულ მოტივად გადაიქცა. ამ დროს გამოსახულება აზრობრივ მნიშვნელობას მოკლებულია, არ იკითხება და მხოლოდ დეკორირებისათვის არის გამოყენებული. სავარაუდოა, რომ ასეთი ორნამენტების გაჩენას ხელი შეუწყო არაბული ანბანის არცოდნამ, როდესაც ოსტატი კერამიკოსები კალიგრაფიული ორნამენტის მიხედვით ქმნიდნენ იმიტირებულ ეპიგრაფიულ დეკორატიულ კომპოზიციებს

exhortation), blessing and benevolent (barakah, success), or only in the form of words (names of God and prophets), syllables, or individual letters. Arabic letters in the Middle Ages were considered a sacred image and had a semantic meaning, so, for example, the letter ن (“nun”) means the word “nusrat”, i.e. “success”, “victory”. (Göyüşov, 1988: 25; Достиев, 2017: 662).

Later, the epigraphic ornament underwent certain changes: the first direction – the letters of the Kufic ornament, as a result of stylization, were transformed into plant flowers and flower spikes (floriation process); The second direction – the epigraphic ornament turned into a stylized pseudo-epigraphic motif imitating the Arabic script. At this time, the image is devoid of meaning, is not readable and is used only for decoration. It is likely that the emergence of such ornaments was facilitated by ignorance of the Arabic alphabet, when master potters created imitation epigraphic decorative compositions imitating calligraphic ornaments and were unfamiliar with the Arabic language and script. It is through such imitation of calligraphic ornament that pseudo-

და მათთვის უცხო იყო არაბული ენა და დამწერლობა. სწორედ კალიგრაფიული ორნამენტის ასეთი იმიტირების გზით წარმოიქმნა ფსევდოეპიგრაფიული ორნამენტები.

სავარაუდოდ, სწორედ ფსევდოეპიგრაფიკული ორნამენტით დეკორირებულ საინტერესო ნაკეთობას წარმოადგენს ერთ-ერთი ჯამი ქუთაისის ისტორიული მუზეუმის მოჭიქული კერამიკის კოლექციიდან.

ჯამი – გვერდის, პირისა და ძირის ფრაგმენტი (შ. წ. 9539 AAAA-764. ქ.ც. №4073; 4011.85), წითელკეციანი. კარგად განლექილი თიხა. რესტავრირებული. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. დეკორირება შესრულებულია ამოკაწრული ხაზებით, რომლებიც ამოვსებულია ჭაობისფერი საღებავით. პირ-ბაკოს პირზე სარტყლისებურად შემოუყვება ამოფხვკით შესრულებული ორი კონცენტრული წრეხაზი, ხოლო კალთის შიდა ზედაპირზე, დასაწყისში ასეთივე ორ-ორი კონცენტრული წრეხაზისაგან შედგენილია ფართე სარტყელი-რგოლი, რომელიც დაყოფილია სეგმენტებად. ყოველ მეორე სეგმენტში ამოკაწვრით შესრულებულია მჭიდროდ განლაგებული რადიალური ხაზები. ხაზებისაგან თავისუფალ სეგმენტებში ჩასმულია არაბული ასოების მსგავსი სხვადასხვა ნიშნები. შუაში, ჯამის ძირზე გამოსახულია სპირალური ორნამენტი, რომელიც მზის სიმბოლოს აღმნიშვნელია. ჯამი

epigraphic ornaments were created.

Most likely, one of the pieces from the glazed ceramics collection of the Kutaisi Historical Museum represents an interesting product decorated with pseudo-epigraphic ornament.

Bowl – fragment of side, mouth and base (s. 9539 AAAA-764. c.t. no. 4073; 4011.85), reddish-colored clay. Well settled clay. restored. The inner edge is covered with a white engobe. The decoration is done with scratched lines filled with swamp paint. Two concentric circle lines made by scraping are placed on the mouth in the form of a belt, and on the inner surface of the skirt, at the beginning, a wide belt-ring is made of two similar concentric circles, which is divided into segments. Closely spaced radial lines are scratched in every second segment. Various signs similar to Arabic letters are inserted in the segments free of lines. In the middle, on the base of the bowl, there is a spiral ornament, which represents the symbol of the sun. The bowl is covered with transparent glaze. The half part of outer side is engobed and a colorless crystal glass is applied to it. The mouth

დაფარულია უფერული ჭიქურით. გარეპირი კალთამდე ანგობირებულია და მასზეც გადავლებულია უფერული კრიალა ჭიქური. ჯამის პირ-ბაკო შესქელებული და გარეთ გადაშლილია, პირი აკეცილი, კალთა ფართედ გადაშლილი, ქუსლი გამოყვანილი, ღრუიანი. ზომები: ქუსლის დიამეტრი – 7 სმ; ქუსლის სიმაღლე – 1 სმ; კეცის სისქე – 0,4 სმ; პირ-ბაკოს სისქე – 0,6 სმ; ჯამის სიმაღლე – 6,5 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ბაგრატის ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთ მდებარე გოდოლის ძირში (სურ. 1, 1).

ჯამის სეგმენტებში ჩასმული ორნამენტის ცალკეული ასო-ნიშნის მოხაზულობა (სურ. 1, 2) წააგავს ოქროს ურდოს პერიოდის ქაშანური კერამიკის იმ ეპიგრაფიკული ორნამენტის ასოების მოხაზულობას, რომლის შესახებ თავის მონოგრაფიაში ნ. ლისოვა განმარტავს, რომ ის წარმოადგენს კუფური ხელწერით ფართო ფუნჯით დაწერილ სიტყვას – „Ikbāl“ (წარმატება, ილბალი?) უწოდებს (სურ. 1, 3) (Лисова, 20123: 72, 154 ტაბ. 21). ყურადღებით დაკვირვების შემდეგ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ასოები შესრულებულია გაუწაფავი ხელით.

ქუთაისური ჯამის ორნამენტისა და კუფური კალიგრაფიული წარწერის აშკარა მსგავსების გაანალიზების შედეგად შეიძლება გამოითქვას სხვადასხვა სავარაუდო მოსაზრება:

of the bowl is thickened and spread out, the mouth is folded, the heel is pulled out, hollow. Dimensions: heel diameter – 7 cm; heel height – 1 cm; thickness of the fold – 0.4 cm; The thickness of the mouthpiece is 0.6 cm; total height – 6.5 cm; It was discovered: Kutaisi old city settlement, at the foot of the castle located in the northeast of the Bagrat temple (Fig. 1, 1).

The outline of individual letter-signs of the ornament inserted in the segments of the bowl (Fig. 1, 2) resembles the outline of the letters of the epigraphic ornament of Kashan ceramics of the Golden Horde period, about which in her monograph N. Lisova explains that it represents a word written with a broad brush in the Kufic script – “ikbal” (success) (Fig. 1, 3) (Lisova, 20123: 72, 154 tab. No. 21). After careful observation, one gets the impression that the letters are made by an unwashed hand.

As a result of analyzing the obvious similarities between the ornament of the Kutaisi bowl and the Kufic calligraphic inscription, various tentative opinions can be expressed:

- ქუთაისურ ჯამზე თითოეულ სეგმენტებში ჩასმულია ასოები სიტყვისა „Ikbal“;
- თითოეული ნიშანი შესაძლოა წარმოადგენდეს ლიგატურას (ორი, ან ორზე მეტი გრაფემის გამომსახველი ასო-ნიშანი);
- თითოეული სეგმენტში გამოსახული ნიშანი არის შეკუმშვით დაწერილი დაქარაგმებული სიტყვა, ან ერთგვარი კრიპტოგრამა (დაშიფრული სიტყვა).
- On the Kutaisi bowl, the letters of the word “ikbal” are inserted in each segment;
- each sign may represent a ligature (letter-sign representing two or more graphemes);
- Each symbol in a segment is a compressed scrambled word, or a kind of cryptogram (encoded word).



სურ. 1. ეპიგრაფიკული ორნამენტები: 1 — ქუთაისური ჯამის ფრაგმენტი; 2, — ქუთაისური ჯამის ცალკეული ასო-ნიშნის მოხაზულობა; 3 — ორნამენტული წარწერა – სიტყვა „Ikbal“, შესრულებული კუფური კალიგრაფიით, ოქროს ურდო

Fig. 1. Epigraphic ornaments: 1 – fragment of the Kutaisi bowl; 2, – outline of individual letters and signs of the Kutaisi bowl; 3 – Ornamental inscription – word “ikbal” made in Kufic calligraphy, Golden Horde

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შუასაუკუნეების ოსტატები ნაკეთობებზე

As we mentioned above, medieval masters often depicted benevolence, blessing, aphoristic

ხშირად გამოსახავდნენ კეთილმოსურნეობით, დალოცვით, აფორისტულ თუ სხვა წარწერებს. ზოგ შემთხვევაში გრძელი ფრაზების შედარებით შეზღუდულ არეში გამოსახვისათვის, ხელისნები ლიგატურებსა და კრიპტოგრამებს მიმართავდნენ. ასეთი წარწერები ხშირად ამოუკითხავი რჩება. გარდა ამისა, როგორც აღვნიშნეთ, ეპიგრაფიკული წარწერები კოპირები, ერთი ნიმუშიდან მეორეზე იმ ადამიანებს (ოსტატის შეგირდები, მოწაფეები) გადაჰქონდათ, რომლებმაც არ იცოდნენ წარწერისა და ასოების ნამდვილი მნიშვნელობა, რაც აზრის დაკარგვას და ტექსტის ფსევდოეპიგრაფიკულ ორნამენტად გადაქცევას იწვევდა. ცხადია ეს გარემოებაც ართულებს წარწერის გაშიფრვას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოჭიქული კერამიკული ჯამი, ქუთაისის ისტორიული მუზეუმის კოლექციიდან, დეკორირებულია მუსულმანური სამყაროსათვის დამახასიათებელი ფსევდოეპიგრაფიკული ორნამენტით, კერძოდ, კუფური კალიგრაფიის მიბაძვით შესრულებული სიტყვის – „Ikbāl“ (წარმატება), ცალკეული ასო-ნიშნებით. ეს საშუალებას იძლევა, ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული ნიმუში იმპორტული აღმოსავლური ნაკეთობაა, თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ უცხოური მოჭიქული ჭურჭლის ადგილობრივ მინაბაძს წარმოადგენდეს.

or other inscriptions on their products. In some cases, craftsmen resorted to ligatures and cryptograms to depict long phrases in a relatively limited area. Such inscriptions are often left unread. In addition, as we mentioned above, epigraphic inscriptions were transferred from one sample to another – through copying, by those people (master's apprentices, disciples) who did not know the true meaning of the inscription and letters, which led to the loss of meaning and turning the text into a pseudo-epigraphic ornament. Obviously, this circumstance also complicates the deciphering of the inscription.

Based on the above, the glazed ceramic jar, from the collection of the Kutaisi Historical Museum, is decorated with a pseudo-epigraphical ornament depicting the Muslim world, namely, the word “ikbal” (success), made in imitation of Kufic calligraphy, with separate letters and signs. This allows us to assume that the mentioned sample is an imported oriental product, however, it is also possible that it is a local copy of a foreign glazed vessel.

ქუთაისურ კოლექციაში შედარებით უფრო გვიანდელი პერიოდის კიდეც ერთი ეპიგრაფიკული ორნამენტით შემკული ჯამის ფრაგმენტია დაცული, რომელიც ყურადღებას იპყრობს მხატვრული დეკორირების განსხვავებული სტილით.

ჯამი – გვერდის ფრაგმენტი (შ. წ. 9539 AA-764. ქ.ც. საგ. №2749.84), თეთრკეციანი. დეკორირება მსუბუქი რელიეფური მოდელოებითაა შესრულებული. შიდაპირის ზედა ნაპირი გაფორმებულია ლურჯ-თეთრი ორნამენტული ვიწრო ზოლით. ზოლის ქვევით შავი კონტურებით მოხატულია კალიგრაფიული ორნამენტები – არაბული ასოები, რომლებზეც დატანილია მუქი ლურჯი ფერის მსხვილი წერტილები, ბაცი ლურჯი ნაღვენთებით; ერთ-ერთ განმეორებულ ასონიშნთან, რომელსაც შებრუნებული სასვენი ნიშნის – მძიმის ფორმა აქვს მკვეთრი ფირუზისფერი ნაღვენთებია დატანილი. თითოეული ორნამენტის ირგვლივ მძივისებური სხმულივით შემოყოლებულია შავი, წვრილი წერტილების უწყვეტი რიგი. მათ ქვევით გატარებულია წყვილი შავი ხაზი (კონცენტრული წრეხაზები), რომელთა შორის გამოსახულია მუქი ლურჯი ფერის მსხვილი წერტილი, ღია ლურჯი ფერის ნაღვენთით. შავი წრეხაზის ქვევით გამოსახულია მიჯრით განლაგებული სტილიზებული წვეთის (ცრემლის) ფორმის ფიგურები, შუაში მსხვი-

In the Kutaisi collection, there is another fragment of a bowl decorated with epigraphic ornament from a relatively later period, which attracts attention with a different style of artistic decoration.

Bowl – fragment of a side (sh. 9539 AA-764. ts. sav. №2749.84), white clay. The decoration is made with light relief modeling. The upper edge of the inner side is decorated with a blue-white ornamental narrow strip. Calligraphic ornaments are painted with black contours below the strip – Arabic letters, on which large dots of dark blue color with light blue spots are applied; One of the repeated letter-signs, which has the shape of an inverted punctuation mark – a comma, has sharp turquoise spots. Surrounding each ornament is a continuous row of black, fine dots. Below them are a pair of black lines (concentric circles), between which there is a large dark blue dot with a light blue spot. Below the black outline are stylized teardrop-shaped Figures arranged in a grid, with a large blue dot in the middle (also dotted). A bead of small black dots surrounds the Figures. On the edge of the

ლი ლურჯი წერტილით (ისინიც ნალ-
ვენთებით). ფიგურებს ირგვლივ წვრი-
ლი შავი წერტილების მძივი შემოუყე-
ბა. ფრაგმენტის გარეპირზე, რადია-
ლურად, რელიეფური მოდელირებით,
შავი ხაზით გამოსახულია ყვავილი-
ვარდულის ფურცლები, რომელთა
თავზე თაღდური ორნამენტია ჩასმუ-
ლი. ფურცლების შუაში გატარებულია
ვერტიკალური წყვეტილი ხაზების
ჯაჭვი, ხოლო ნაპირებთან დატანილია
ლურჯი ფერის მსხვილი ორ-ორი წერ-
ტილი – ვერტიკალურად. ჯამი დაფა-
რულია უფერული, გამჭვირვალე ჭი-
ქურით. ზომები: კეცის სისქე – 0,4 სმ;
აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი,
ბაგრატის ტაძრის დასავლეთით (სურ.
2).

fragment, radially, in relief
modeling, a black line shows
flower-rose petals, on top of
which an arched ornament is
inserted. A chain of vertical
dashed lines is drawn in the
middle of the sides, and two
large blue dots are placed at the
edges – vertically. The bowl is
covered with colorless,
transparent glaze. Dimensions:
thickness of the fold – 0.4 cm;
Found: Kutaisi old city
settlement, west of Bagrat
temple (Fig. 2).



სურ. 2. ეპიგრაფიკული ორნამენტით შემკული ჯამი ქუთაისის ისტორიული
მუზეუმის კოლექციიდან
**Fig. 2. Bowl decorated with epigraphic ornament from the Kutaisi
historical museum collection**

ამ სახის მოჭიქულ ჭურჭელს პარალელები მოეძებნება საქართველოში. შემკობის ტექნიკითა და ანალოგიური მასალის მიხედვით მსგავს ჭურჭელს სულთანაბადურ ნაწარმად მიიჩნევენ და XIV საუკუნის პირველი ნახევრით ათარიღებენ (მამაიაშვილი, 1976: 60).

ქუთაისური ჯამის ანალოგები (შეიძლება ითქვას ზუსტი ანალოგები) მრავლადაა აღმოჩენილი გეოგრაფიულად საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე, რასაც ყირიმის, აზოვისპირა ტერიტორიების, მოსკოვის კრემლის (Коваль, 2017: 742), ბელარუსის (Лавыш, 2017: 618), ვოლგისპირეთის (Руденко, 2017: 688; Лисова 2012: 196; Лебедева, 2021:781), ჩრდილო კავკასიის (Гражданкина, 1971: 128), ხორეზმის (შუა აზია) (Кдырниязов О. 2017: 798; Кдырниязов М., 2017: 819; Искандерова, 2022: 63) და სხვ. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული მასალები ადასტურებს (სურ. 3). დასახელებული ნიმუშები ოქროს ურდოს პერიოდით თარიღდება. ყველა მათგანი პოლიქრომულია და ორნამენტის რელიეფური მოდელირებითაა შესრულებული. უდავოა, რომ ამ პერიოდისათვის საქმე გვაქვს მოჭიქული კერამიკის ეპიგრაფიკული ორნამენტით დეკორირების განსხვავებული ტრადიციისა და ახალი მხატვრული სტილის ჩამოყალიბებასთან.

Parallels of this kind of glazed vessels can be found in Georgia. According to the decoration technique and similar material, similar vessels are considered to be Sultanabad products and dated to the first half of the 14th century (Mamaiashvili, 1976: 60).

Analogues of the Kutaisi bowl (we can say exact analogues) are found in a large number in a geographically quite wide area, which includes the Crimea, the Azov region, the Moscow Kremlin (Koval, 2017: 742), Belarus (Lavysh, 2017: 618), Lower Volga Region (Rudenko, 2017: 688; Lisova 2012: 196; Lebedeva, 2021: 781), North Caucasus (Grazhdankina, 1971: 128), Khorezm (Central Asia) (Kdyrniyazov O., 2017: 798; Kdyrniyazov M., 2017: 819; Iskanderova, 2022: 63) and others. The materials obtained as a result of archaeological research confirm this (Fig. 3). The named samples date back to the Golden Horde period. All of them are polychrome and made with relief modeling of the ornament. There is no doubt that for this period we are dealing with the formation of a different tradition and a new artistic style of decorating glazed ceramics with epigraphic ornaments.

სრულად შემორჩენილი ჯამების ანალიზი ცხადყოფს, რომ შემუშავებულია მოჭიქული ჭურჭლის გაფორმების გარკვეული ტიპური, განზოგადებული სახე და დეკორირების პრინციპი ყველა შემთხვევაში არის ერთი და იგივე, კერძოდ: ჯამების გარე ზედაპირი დეკორირებულია ლურჯი მსხვილი წერტილებით მორთული რელიეფური ვარდულითა და ჭურჭლის ზედა კიდეზე მიბჯენილი თაღოვანი ორნამენტით. ვარდულის ფურცლები ვერტიკალური მოკლე ხაზების ჯაჭვით იყოფა ორ ნაწილად; განსხვავებულია შიგაპირის გაფორმების სქემა. შეიძლება ითქვას ის – ზედმეტად დეკორატიული და გადატვირთულიცაა, მაგრამ ეს ხელს არ უშლის, რომ ამავდროულად ჰარმონიული და გაწონასწორებული იყოს. შიდაპირი კალთების ორნამენტაციის ერთგვაროვნებით (ორნამენტირებული სარტყლები, კონცენტრული წრეხაზები) ხასიათდება, ხოლო ჭურჭლის ძირი ერთმანეთისაგან განსხვავებული კომპოზიციური გადაწყვეტითაა გამორჩეული (სურ. 3). შიდა ზედაპირი მონაცვლეობით განლაგებული კონცენტრული წრეხაზებით, დეკორირებული სარტყლებითა და ცენტრალური კომპოზიციით ზონებადაა დაყოფილი. თითოეულ ზონაში ელემენტები განსაზღვრული რიტმულობითაა განლაგებული:

- ნაპირთან ახლომდებარე ფართო სარტყელში „ხორციანი“, მსხვილი

The analysis of completely preserved bowls reveals that a certain typical, generalized form of decoration of glazed vessels has been developed and the principle of decoration is the same in all cases, namely: the outer surface of the bowls is decorated with a relief rose decorated with blue dots and an arched ornament attached to the upper edge of the vessel. Rose petals are divided into two parts by a chain of vertical short lines; The interior design scheme is different. It can be said that it is too decorative and overloaded, but this does not prevent it from being harmonious and balanced at the same time. The inner rim is characterized by the uniformity of the ornamentation of the skirts (ornamented belts, concentric circles), while the base of the vessel is distinguished by a different compositional solution (Fig. 3). The inner surface is divided into zones by alternating concentric circles, decorated belts and a central composition. In each zone, the elements are arranged according to a certain rhythm:

- In a wide belt near the edge an epigraphic ornament is drawn



სურ. 3. ქაშანური ჭურჭელი პოლიქრომული მოხატულობითა და ორნამენტის რელიეფური მოდელირებით : 1 — ხორეზმის ტერიტორიიდან (20, p. 819); 2 – 6 — ოქროს ურდოს პერიოდის ქვემო ვოლგისპირეთის რეგიონიდან (31, p. 185, 187, 195, 199)

Fig. 3. Kashan pottery with polychrome painting and ornament relief modeling: 1 – from Khorezm territory (20, p. 819); 2 – 6 – from the Lower Volga region of the Golden Horde period (31, p. 185, 187, 195, 199)

ასოებით გამოყვანილია ეპიგრაფიკული ორნამენტი. აღნიშნული მოტივი გამოწვლილვით აქვთ განხილული მკვლევარებს – ა. ისკანდეროვას (Искандерова, 2022:10), ო. კუზნეცოვას (Кузнецова, 2015: 173), ნ. გრაჟდანკინას (Гражданкина, 1971: 128) და ო. ბოლშაკოვს (Большаков, 1954: 35). ნ. ლისოვა (Лисова, 2012: 196) და ისკანდეროვა

in large, “thick” letters. The mentioned motive has been carefully discussed by the researchers – A. Iskanderova (Iskanderova, 2022: 10), O. Kuznetsova (Kuznetsova, 2015: 173), n. Grajdankina (Grajdankina, 171: 128) and O. Bolshakov (Bolshakov, 1954:35). N. Lisova (Lisova, 2012: 196) and


(Искандерова, 2022: 62) თავის ნაშრომებში აღნიშნავენ, რომ ორნამენტი წარმოადგენს კუფური ასოებით დაწერილ, რამდენჯერმე განმეორებულ არაბულ სიტყვას „ikbal“ (ილბალი?), ანუ წარმატება (სურ. 4, 1);

- მომდევნო, შედარებით ვიწრო, სარტყელი შედგენილია მსხვილი ლურჯი წერტილით მორთული სტილიზებული წვეთების (ცრემლების) მოტივით. წვეთები უკიდურესად სქემატური ფიგურების სახითაა გამოსახული, რის გამოც მათ საკმაოდ საინტერესო ინტერპრეტაცია აქვთ, კერძოდ: ზოგი მკვლევარი ასეთ მოტივს „მყვინთავი (მოყურყუმალე) თევზების“ სახელით მოიხსენიებს (Коваль, 2017: 741, 743), სხვა ინტერპრეტაციით ამ მოტივს „ფარშევანგის თვალი“ ეწოდება (Коваль, 2017: 741; Лисова, 2012: 84, 64). ფარშევანგის თვალი ისლამურ სიმბოლიკაში ასოცირდება „გულის თვალთან“ და შინაგან ხედვასთან, რის გამოც ისინი საკმაოდ ხშირად გამოიყენებოდა ისლამურ ესთეტიკურ კულტურაში.
- თითოეული სარტყელი ერთმანეთისაგან და ჭურჭლის ძირის ცენტრალური კომპოზიციისაგან გამიჯნულია შავი კონცენტრული წრეხაზებით შემოსაზღვრული რგოლით, რომელშიც აქა-იქ ჩასმულია მსხვილი ლურჯი წერტილი.

Iskanderova (Iskanderova, 2022: 62) in their works is noted that the ornament represents the Arabic word “ikbal” (luck?), written in Kufic letters, repeated several times (Fig. 4, 1);

- The next, relatively narrow, belt is made with the motif of stylized drops (tears) decorated with a large blue dot. The drops are depicted in the form of extremely schematic figures, which is why they have a rather interesting interpretation, namely: some researchers refer to such a motif as “diving (watching) fish” (Koval, 2017: 741, 743), with another interpretation this motif is called “peacock eye” (Koval, 2017: 741; Lisova, 2012: 84, 64). The peacock eye in Islamic symbolism is associated with the “eye of the heart” and inner vision, which is why they were used quite often in Islamic aesthetic culture.
- Each belt is separated from each other and from the central composition of the base of the vessel by a ring surrounded by black concentric circles, in which a large blue dot is inserted here and there.

- ჭურჭლის ძირი – ცენტრი აქცენტირებულია განსხვავებული დეკორით, რომელიც ამავედროულად კომპოზიციურ ცენტრსაც წარმოადგენს. ცენტრალური კომპოზიცია, ჯამის კალთების ტიპური, ერთგვაროვანი გაფორმებისაგან განსხვავებით, ორნამენტაციის სხვადასხვაგვარობით არის გამორჩეული (სურ. 3, 2 – 6): აქ გვხვდება მცენარეული მოტივი, ექვსქიმიანი ვარსკვლავი, ყვავილოვანი მოტივი შერწყმული გეომეტრიულთან. ზოგჯერ კი წარმოდგენილია ზომორფული (იხვი, ფარშევანგი, თევზები, მტაცებელი ცხოველები) ან აბსტრაქტული ფიგურები და სხვ. მაგალითად, სურათზე ნაჩვენებია ერთი-ერთი ჯამის ცენტრში გამოსახულია მცირე ზომის ლურჯი წრე, ირგვლივ თეთრი და შავი ფერის კონცენტრული წრეებით; მათ გარეთ ექვსქიმიანი ვარსკვლავი, რომელიც ორი ტოლგვერდა სამკუთხედის ერთმანეთში გადახლართვით არის მიღებული (სურ. 3, 2); მეორე ჯამის ძირი შემკულია სტილიზებული ლოტოსის ყვავილით (სურ. 3, 3); გვხვდება კომპოზიციები იხვის (სურ. 3, 4), „მოლივლივე ღრუბლების“ მსგავსი აბსტრაქტული ფორმების (სურ. 3, 5), წრეში ჩასმული რომბული ბადისა და სტილიზებული წვეთების მონაცვლეობით (სურ. 3, 6) და სხვა მრავალი.
- The bottom of the vessel – the center is accented with a different decor, which at the same time is also a compositional center. The central composition, in contrast to the typical, uniform decoration of the sides of the bowl, is distinguished by a variety of ornamentation (Fig. 3, 2 – 6): there is a plant motif, a six-pointed star, a floral motif combined with a geometric one. Sometimes zoomorphic (duck, peacock, fish, predatory animals) or abstract figures, etc. are represented. For example, one of the bowls shown in the picture has a small blue circle in the center, surrounded by white and black concentric circles; outside of them, a six-pointed star obtained by intertwining two equilateral triangles (Fig. 3, 2); The base of the second bowl is decorated with a stylized lotus flower (Fig. 3, 3); There are compositions of ducks (Figs. 3, 4), abstract forms similar to “rolling clouds” (Figs. 3, 5), a rhombic grid enclosed in a circle and alternating stylized drops (Figs. 3, 6) and many others.



სურ. 4. ეპიგრაფიკული ორნამენტი – კუფური ასოებით დაწერილი არაბული სიტყვა „ikbal“: 1 — ოქროს ურდოს პერიოდის ჯამზე; 2 — ქუთაისური ჯამის ფრაგმენტზე

Fig. 4. Epigraphic ornaments: Ornamental inscription – word “ikbal” made in Kufic calligraphy 1 – made on the Golden Horde period bowl; 2 – made on the fragment of the Kutaisi bowl

უცხოური ჯამების მსგავსად, ქუთაისურ ფრაგმენტზეც ნათლად ჩანს შიდაპირის დეკორირებულ სარტყლებად დაყოფის პრინციპი, კერძოდ, ნაპირთან ახლოს განლაგებულია განიერი ეპიგრაფიკული სარტყელი – სწორედ იმ ფრაგმენტით, რომელზეც კუფური ასოებით დაწერილი არაბული სიტყვა „ikbal“ იკითხება (სურ. 4, 2); ხოლო მის შემდეგ შედარებით ვიწრო სარტყელი – სტილიზებული „ფარშევანგის თვალის“ მოტივით (სურ. 2).

Similar to foreign bowls, the principle of dividing the inner side into decorated belts is clearly visible on the Kutaisi fragment, in particular, a wide epigraphic belt is located near the edge – the very fragment on which the Arabic word “ikbal” written in Kufic letters is read (Fig. 4, 2); And after it, a relatively narrow belt – with a stylized “peacock eye” motif (Fig. 2).



სურ. 5. ჯამის გრაფიკული რეკონსტრუქცია

Fig. 5. Graphic reconstruction of the bowl

როგორც ვხედავთ, ურთიერთშედარებითი ანალიზის მიხედვით, მიუხედავად ქუთაისური ჯამის ფრაგმენტულობისა, თვალსაჩინოა მათი იდენტურობა, რაც იმას ნიშნავს, რომ უცხოური ჯამები ქუთაისური კერამიკის პირდაპირი ანალოგებია. აღნიშნული ფაქტი, ცენტრალური კომპოზიციის არარსებობის მიუხედავად, ქუთაისური ჯამის ფრაგმენტის გრაფიკული რეკონსტრუქციების საშუალებას იძლევა (სურ. 5).

ქუთაისური და უცხოური მასალების შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ საქმე გვაქვს ერთი და იგივე წარმომავლობის ნიმუშებთან და რომ კერამიკული ნაკეთობა ქუთაისის მუზეუმის კოლექციიდან არა ადგილობრივ დამზადებული, არამედ იმპორტული,

As we can see, according to the comparative analysis, despite the fragmentation of the Kutaisi ceramics, their identity is visible, which means that the foreign ceramics are direct analogues of the Kutaisi ceramics. The mentioned fact, despite the absence of a central composition, allows the graphic reconstruction of the fragment of the Kutaisi bowl (Fig. 5).

The comparative analysis of Kutaisi and foreign materials reveals that we are dealing with samples of the same origin and that the ceramic ware from the Kutaisi museum collection is not locally made, but imported, oriental-style Kashan pottery,

აღმოსავლური სტილის ქაშანური ჭურჭელია, დეკორირებული კუფური ასობით დაწერილი არაბული სიტყვით – „ikbal“.

ქუთაისური და უცხოური ნიმუშებისათვის დამახასიათებელი დეკორირების მსგავსება, ორნამენტის რელიეფური მოდელირების იდენტურობა, კალიგრაფიული წარწერის ერთგვაროვნება, ერთნაირი კომპოზიციური აგებულება, ფორმა, მოტივები, და ფერები საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ ყველა მათგანი დამზადებულია ერთი და იგივე ტრადიციების მქონე არეალში და შესაძლოა ერთ სახელოსნოშიც. კონკრეტული ადგილის დაზუსტება საკმაოდ რთულია საკითხია. ავტორთა უმეტესობა ასეთი კომპოზიციური გადაწყვეტის მქონე, ეპიგრაფიკული ორნამენტით დეკორირებული ქაშანური ჭურჭლის წარმოშობის ადგილად ოქროს ურდოსდროინდელ ქვემო ვოლგისპირეთს ასახელებს, ზოგი ხორეზმის (შუა აზია) რეგიონებს, ზოგი კი ქალაქ ნიშაბურს (ირანი, ხორასანი) მიუთითებს. ლისოვა წერს, რომ ზუსტად იგივე წარწერებია ცნობილი „სულთანაბადის“ ტიპის ირანულ თასებსა და სირიული ვაზის ყელზე (Лисова, 2012: 71). მკვლევარი აღნიშნავს, რომ ხორეზმში ქაშანური ჭურჭლისათვის დამახასიათებელი ორნამენტირება ვოლგისპირეთის რეგიონზე ადრე არ მომხდარა (Лисова, 2012: 116). ამ ვარაუდის საპირისპი-

decorated with Kufic letters and the Arabic word – “ikbal”.

The similarity of the decoration characteristic of the Kutaisi and foreign samples, the identity of the relief modeling of the ornament, the uniformity of the calligraphic inscription, the same compositional structure, form, motifs, and colors allow us to conclude that all of them were made in the same area with the same traditions and possibly in the same workshop. It is quite difficult to specify a specific place. Most of the authors name the place of origin of Kashan vessels with such a compositional solution, decorated with epigraphic ornaments, in the Lower Volga region of the time of the Golden Horde, some in Khorezm regions (Central Asia), and others in the city of Nishapur (Iran, Khorasan). Lisova writes that exactly the same inscriptions are on the well-known “Sultanabad” type Iranian bowls and Syrian vase necks (Lisova, 2012: 71). The researcher notes that in Khorezm, the ornamentation characteristic of Kashan pottery did not occur earlier than in the Lower Volga Region (Lisova, 2012: 116). Contrary to this

როდ, ბოლოდროინდელ პუბლიკაციაში (Искандерова, 2022: 68) გამოთქმულია მოსაზრება, ოქროს ურდოს კერამიკული რეწვის ფორმირებაში ხორეზმელი ოსტატების დიდი როლის შესახებ, რაც დაპყრობილი ქვეყნებიდან კერამიკოს-ხელოსანთა ოქროს ურდოში გაყვანის ტრადიციით არის ახსნილი; ასევე აღნიშნულია, რომ ოქროს ურდოს ქაშანური კერამიკის მრავალი დეკორატიული ელემენტი და რელიეფური ორნამენტირება წარმოიშვა ჯერ კიდევ მონღოლებამდელი პერიოდის ირანში – შუა აზიაში, კერძოდ, მათ შორისაა „ფარშევანგის თვალის“ მოტივი, ეპიგრაფიკული ორნამენტი – „ikbal“, ლოტოსის ყვავილები თუ ზოომორფული გამოსახულებები (Искандерова, 2022: 68). ეს მოსაზრება პუბლიკაციის ავტორებს გამოთქმული აქვთ ნ. ბულატოვისა (Bulatov, N. 1968: 99) Soviet Archaeology. M. და მ. კდირნიაზოვის (Kdyrniyazov, 1990: 34) ნაშრომებზე დაყრდნობით. აქედან გამომდინარე, ზემოაღწერილი ნიმუშების წარმომავლობის საკითხი ჯერ კიდევ საკამათოა, შესაბამისად, ქუთაისური მოჭიქული კერამიკული ჭურჭლის ატრიბუციის საკითხიც ჯერჯერობით გაურკვეველი რჩება და მისი წარმომავლობის შესახებ მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა არის შესაძლებელი. აღნიშნული პრობლემა საჭიროებს დამატებით შესწავლას – არსებული წყაროების სრული მასივის ჩართვით.

assumption, in a recent publication (Iskanderova, 2022: 68) the opinion is expressed about the great role of Khorezm masters in the formation of the ceramic crafts of the Golden Horde, which is explained by the tradition of bringing ceramic craftsmen from the conquered countries to the Golden Horde; It is also noted that many decorative elements and relief ornaments of Kashan ceramics of the Golden Horde originated in pre-Mongol Iran – Central Asia, in particular, they include the “peacock eye” motif, epigraphic ornament – “ikbal”, lotus flowers or zoomorphic images (Iskanderova, 2022: 68). This opinion was expressed by the authors in the publications N. Boulatov (Boulatov, 1968: 99) and Kdyrniyazov (Kdyrniyazov, 1990: 34). Therefore, the question of the origin of the above-described samples is still controversial, therefore, the question of the attribution of the Kutaisi glazed ceramic vessel remains unclear and only assumptions can be made about its origin. The mentioned problem needs additional study – including the full array of existing sources.

შუა საუკუნეების ქუთაისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე უცხო წარმოების, ეპიგრაფიკული ორნამენტით დეკორირებული, მუსულმანური აღმოსავლური სტილის ქაშანური ჭურჭლის აღმოჩენა გასაკვირი არ უნდა იყოს. რასაკვირველია, შეუძლებელია დანამდვილებით მტკიცება – რა გზით უნდა მოხვედრილიყო ის ქუთაისქალაქში. ის პერიოდი, რომლითაც თარიღდება მსგავსი ქაშანური ჭურჭელი, ანუ მე-13 მე-14 საუკუნეთა მიჯნა, საქართველოში მონღოლთა ბატონობის ხანაა. ამ დროს ჩვენს ქვეყანას მჭიდრო პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობა გააჩნდა აღმოსავლურ სამყაროსთან – პოლიტიკური მოსაზრებების გამო ქართველი მეფე-უფლისწულები ხშირად მიემგზავრებოდნენ მონღოლთა (ილხანთა) საყაენოში; სავარაუდოა, რომ მონღოლთა ყაენისაგან ძვირფას საჩუქრებს იღებდნენ ქართველი დიდგვაროვნები; საქართველოს ლაშქარი მონღოლთა ყველა ლაშქრობაში იღებდა მონაწილეობას (დემეტრე II თავდადებული, 2024:) და ნააღმარებელიც ბრუნდებოდა; ამ პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს გარშემო სავაჭრო გზების გარკვეულ დაქვეითებას ჰქონდა ადგილი, აღებ-მიცემობის ტრადიცია აღმოსავლურ სამყაროსთან მაინც გრძელდებოდა. აქედან გამომდინარე, გამორიცხული არ არის რომელიმე გზით ქუთაისის ნაქალაქარში ქაშანური ჭურჭლის შემოტანის შესაძლებლობა. ერთი რამ

It should not be surprising to find foreign-made Kashan pottery decorated with epigraphic ornament in the territory of medieval Kutaisi old settlement. Of course, it is impossible to prove for sure – in what way it should have got to Kutaisi old city. The period to which similar Kashan pottery dates, i.e. the turn of the 13th and 14th centuries, is the period of Mongol rule in Georgia. At that time, our country had close political and socio-economic relations with the Eastern world – because of political considerations, Georgian kings and princes often traveled to the territory of the Mongols (Ilkhans); Georgian nobles received valuable gifts from the Mongols. The Georgian army took part in all Mongol campaigns (Demetrius II the Devoted) and returned with trophy; In this period, despite the fact that the trade routes around Georgia were somewhat reduced, the tradition of giving and receiving continued with the Eastern world. Therefore, the possibility of bringing Kashan pottery to Kutaisi old settlement is not ruled out. One thing can be said for sure: the existence of a bowl decorated

დანამდვილებით შეიძლება ითქვას: არაბული ეპიგრაფიკული ორნამენტით დეკორირებული ჯამის არსებობა ქუთაისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე საქართველოსა და აღმოსავლური მუსულმანური სამყაროს კულტურული კონტაქტებისა და ურთიერთკავშირის მაჩვენებელია.

მაშასადამე, ზემოგანხილული აღმოსავლური სტილის ორი სახის მოჭიქული კერამიკის ჯამიდან თუკი პირველი ნიმუშის შესახებ არსებობს მოსაზრება, რომ ის შესაძლოა ადგილობრივი მინაბადი იყოს, მეორე, უდავოდ, ოქროს ურდოს პერიოდის იმპორტული ნაკეთობაა და მუსულმანური სამყაროდან (ოქროს ურდო, ხორეზმი, ან ნიშაბური) შემოტანილი აღმოსავლური სტილის ქაშანური ჭურჭლის ფრაგმენტს წარმოადგენს. რაც შეეხება შუა საუკუნეების ქუთაისს, ის უდავოდ იყო ქალაქი, სადაც კერამიკულ სახელოსნოებში ამზადებდნენ სხვადასხვა სახის მოჭიქულ კერამიკას და უცხო ქვეყნებთან სავაჭრო თუ სოციალურ-პოლიტიკური კავშირის გზით შემოქონდათ კიდევ უცხოური ნაწარმი.

with Arabic epigraphic ornaments in the territory of Kutaisi old settlement is an indicator of cultural contacts and mutual relations between Georgia and the Eastern Muslim world.

Therefore, from the bowl of the two types of glazed ceramics of the above-mentioned oriental style, if there is an opinion about the first sample that it may be a local copy, the second is undoubtedly an imported product of the Golden Horde period and represents a fragment of the oriental-style Kashan ware imported from the Muslim world (Lower Volga Region, Khorezm, or Nishapur). As for medieval Kutaisi, it was undoubtedly a city where various types of glazed ceramics were made in ceramic workshops and foreign products were imported through trade or socio-political relations with foreign countries.



ბოლოობა

AFTERWORD

მონოგრაფიის დასასრულს გვინდა ხაზი გავუსვათ ჩატარებული კვლევის ზოგად მნიშვნელობას. მოჭიქული კერამიკა, უნიკალური არტეფაქტია, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა კულტურისა და ეპოქის მხატვრული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ნაწილს. ის შეიცავს ინფორმაციას ესთეტიკური პრეფერენციების, ხელოსნობის ტრადიციების და თანადროული სოციალური კონტექსტის შესახებ.

სამუშაოს მსვლელობისას შესაძლებელი გახდა სხვადასხვა რეგიონის ოსტატების მიერ გამოყენებული ძირითადი ორნამენტული მოტივების გამოვლენა, მათი ურთიერთმსგავსებისა და განსხვავებების; ასევე აღმოსავლური და დასავლური ზეგავლენების დადგენა.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მოჭიქული კერამიკის ორნამენტ-

At the end of the monograph, we would like to emphasize the general significance of the research conducted. Glazed ceramics are a unique artifact that represents an important part of the artistic heritage of different cultures and eras. It contains information about aesthetic preferences, craft traditions, and contemporary social context.

In the course of the work, it became possible to identify the main ornamental motifs used by masters from different regions, their similarities and differences; as well as to determine Eastern and Western influences.

Special attention was paid to the comparative analysis of the ornamental motifs of glazed

ტული მოტივების შედარებით ანალიზს ხელოვნების სხვა ძეგლებზე გამოსახულ ორნამენტებთან.

კვლევამ აჩვენა, რომ მოჭიქული კერამიკის ორნამენტი უდავოდ იმსახურებს გამოყენებით-დეკორატიული ხელოვნების სხვა მიმართულებებზე არანაკლებ ყურადღებას და ის არ არის მხოლოდ დეკორატიული ელემენტი. ის ამავდროულად მნიშვნელოვანი ინფორმაციის გადმოცემის, კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და მომავალ თაობებზე გადაცემის საშუალებაა. საუკუნეების მანძილზე გამოვლილი ორნამენტული მოტივები ერთგვარი „მეხსიერების ნიმუშებია“, რომლებიც ასახავს წარსულის სულიერ და მატერიალურ სამყაროს.

მიუხედავად ჩატარებული კვლევისა მაინც არის საკითხები, რომლებიც შემდგომ შესწავლას საჭიროებს. მომავალმა კვლევამ შეიძლება გააღრმავოს ორნამენტის ტექნოლოგიური ასპექტების გაგება, ასევე გააანალიზოს სხვადასხვა კულტურასა და ხელოსნობის ტრადიციებს შორის ურთიერთობების გავლენები.

განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ ჩვენს კოლეგებს, რომელთა მხარდაჭერა და ღირებული რჩევები შეუცვლელი აღმოჩნდა მუშაობის ყველა ეტაპზე. გულწრფელი მადლიერება გვინდა გამოვხატოთ მუზეუმებისა და არქეოლოგიურ ცენტრებისადმი, რომლებმაც მასალა მოგ-

ceramics with the ornaments depicted on other monuments of art.

The study showed that the ornament of glazed ceramics undoubtedly deserves no less attention than other areas of applied and decorative art and is not just a decorative element. It is also a means of conveying important information, preserving cultural traditions and passing them on to future generations. Ornamental motifs that have been preserved over the centuries are a kind of “memory patterns” that reflect the spiritual and material world of the past.

Despite the research conducted, there are still exist issues that require further study. Future research can deepen our understanding of the technological aspects of ornament, as well as analyze the influence of relationships between different cultures and craft traditions.

We would like to express our special gratitude to our colleagues, whose support and valuable advice proved indispensable at all stages of the work. We also express our sincere gratitude to the museums and

ვაწოდეს ანალიზისთვის. მათი დახმარების გარეშე, ეს კვლევა ვერ იქნებოდა ასეთი დეტალური.


ვიმედოვნებთ, რომ ეს ნაშრომი ხელს შეუწყობს კერამიკის ორნამენტის შემდგომ შესწავლას და გამოადგება ხელოვნებათმცოდნეებს, არქეოლოგებს და კულტურული მემკვიდრეობით დაინტერესებულ ნებისმიერ ადამიანს.

დაე, კერამიკაზე შემონახულმა ორნამენტებმა გააგრძელონ თავიანთი ისტორიების მოყოლა და მკვლევართა შთაგონება.

archaeological centers that provided us with material for analysis. Without their help, the research would not have been complete.

We hope that the work will contribute to the further study of ceramic ornament and will be useful to art historians, archaeologists and anyone interested in cultural heritage.

May the ornaments preserved on ceramics continue to tell their stories and inspire researchers.



ლიტერატურა

REFERENCES

- ანტიკური ხანის ნაკეთობები (2014). Retrieved აგვისტო 31, 2024, from ჟურნალი „ლიბერალი“ https://liberali.ge/articles/view/3633/foto-antikuri-khanis-naketobebi?fb_comment_id=1798754246843247_4275228472529133
- ბახტაძე ნ. (შემდგენელი და ავტორი) კერამიკული ნაკეთობანი შუა საუკუნეების საქართველოში (საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციებიდან). თბილისი ბაკურ სულაკაურის გამბა 2013. 127 გვ.
- ბედუკაძე ს. (1957) მოჭიქული ჭურჭლის წარმოებისათვის შიდა ქართლში. სსმმ, ტ. XIX-A, XXI-B, 285-302.
- ბოჭორიშვილი ლ. (1949) ქართული კერამიკა I, კახური. თბილისი.
- ბუხრაშვილი, პ. (2012) ერთი ქართული იკონოგრაფიული მოტივის
- ant'ik'uri khanis nak'etobebi [Artifacts of Antiquity] (2014). Retrieved აგვისტო 31, 2024, from "Liberali" magazine https://liberali.ge/articles/view/3633/foto-antikuri-khanis-naketobebi?fb_comment_id=1798754246843247_4275228472529133.
- Bakhtadze N. (Compiled and author) *Ceramics in the Medieval Georgia* (Georgian National Museum Collections). Tbilisi: Sulakauri publishing house, 2013. 127 p.
- Bedukadze, S. (1957). for the production of glazed vessels in Shida Kartli. *Bulletin of the State Museum of Georgia*, Vol. XIX-A, № XXI-B. Tbilisi. (in Georgian).

- თაობაზე. ამირანი (XXIV). pp. 84-103. ISSN 1512-0449.
- გაბაშვილი, მ. (2022). ორნამენტის აღქმის საზრისები: ფიგურა თუ ცელესტიური კონფიგურაცია? *Ars Georgica* გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის ელექტრონული ჟურნალი. სერია B. <https://www.georgianart.ge/index.php/ka/2010-12-03-16-25-41/305-2023-01-06-13-14-51.html>
- დანელია, დ. (2011). უნიკალური არქეოლოგიური აღმოჩენები თბილისში. Retrieved აგვისტო 29, 2024, from „ამბიონი“ - საზოგადოებრივ-რელიგიური ინტერნეტჟურნალი. <http://www.ambioni.ge/unikaluri-arqeologiuri-armocenebi-tbilissi/>.
- დემეტრე II თავდადებული ვიკიპედია, თავისუფალი ენციკლოპედია (2024, 20 იანვარი). წაკითხვის თარიღი: 2024 წლის 21 აპრილი, ვიკიპიდან.
- დოლიძე ნ, დათუაშვილი მ, უგრეხელიძე ი, ჩარკვიანი ი, ჩირგაძე კ, ლურმანაშვილი ლ, კვანტიძე გ. 2017. ქართული ეროვნული სამოსის ილუსტრირებული ცნობარი. ქუთაისი: აწსუ გამომცემლობა.
- Bochorishvili, L. (1949). *Georgian ceramics. I. Kakhetian*. Tbilisi (in Georgian).
- Bolshakov O.G. *Glazed ceramics of Maveranahr VIII-XIV centuries. as a historical and cultural monument: abstract of the dissertation of Ph.D.* L., 1954. (In Russian)
- Bukhrashvili, P. (2012) On one Georgian iconographic motif. Amiran (XXIV). pp. 84-103. ISSN 1512-0449
- Bulatov N. M. 1968. Classification of Kashin Glazed Ceramics of Golden Horde Cities. *Soviet Archaeology*. 4, 95-109.
- Caligula's Garden of Delights, Unearthed and Restored, By Franz Lidz, The New York Time's, Jan. 12, 2021. <https://www.nytimes.com/2021/01/12/science/caligula-archaeology-rome-hortilamiani.html>
- Chilashvili L. *A guide to the Exhibition of Georgian Material Culture Fourth to 18th centuries*. Tbilisi: Metsniereba, 1990. 115 p. (In Georgian)
- Chilashvili L., *The Ancient Georgian Inscriptions of Nekresi and Questions of the History of Georgian Writing*. Tbilisi: Qvarlis Raonis Ark'eologiuri P'ondi, 2004. 35 p. (In Georgian)

ვიქტორია და ალბერტის მუზეუმის კოლექცია. 2023 © Victoria and Albert Museum, London, <https://collections.vam.ac.uk/item/O221179/bowl-unknown/>

ზაქარაია პ. 1965. ნაქალაქარ ურბნის ხუროთმოძღვრება, თბილისი, 160 გვ.

თევზაია მ. 2005. ქართული ორნამენტი. ნაწილი I. თბილისი: მხატვრული გამოცემა. 62.

თევზაია, მ. 2009. ქართული ორნამენტი. წიგნი II, თბ.. 42.

თვალჭრელიძე ზ. 2003-2004. გარეჯის სამონასტრო კომპლექსის კერამიკის შესასწავლად (დოდოს რქის მოჭიქული ჯამები) საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. 45. თბილისი.

თრიალეთის კულტურა. 2019. Retrieved აგვისტო 29, 2024, from ჟურნალი „ინტერმედია“ <https://intermedia.ge/სტატი-ა/111833-თრიალეთის-კულტურა/89/>

კაკაბაძე ც. 1970 მოჭიქული ჭურჭელი შრომიდან. საბჭოთა ხელოვნება №9, 107-109.

კალანდია, გ., საგანელიძე, ი., ზამბახიძე, ი. 2017. *ქსოვილი საქართველოდან*. თბილისი: გამომცემლობა „ფავორიტი“. <https://www.academia.edu/42892198/%E1%83%A5%E1%83%A1%E>

Chubinashvili, G. Грузинское чеканное искусство, Тб. 1959, т. 2. 258.

Cleveland Museum of Art Collection, © 2024 Cleveland Museum of Art https://www.clevelandart.org/art/1944.483?collection_search_views_fulltext&collection_search_views_artist_full_name&created_date_op=%3D&created_date&between_start&between_end&field_images_field_large_image_url=All&field_highlight_museum=All&page=1&f0%5B0%5D=field_collection%3A67272

danelia, d. (2011). unik'aluri arkeologiuri aghmochenebi tbilisshi. [Unique archaeological discoveries in Tbilisi] Retrieved აგვისტო 29, 2024, from „ambioni“-sazogadoebriv-religiuri int'ernet' zhurnali. <http://www.ambioni.ge/unikaluri-arqeologiuri-armocenebi-tbilissi/>

David, Tamar and the Bagratids – Medieval Georgia (2024). *Golden Fleece. Art of Georgia.* Krakow. National Museum Publishing House.

Demetrius II the Devoted Wikipedia, the free encyclopedia (2024, January 20). Retrieved April 21, 2024, from Wikip.

[1%83%9D%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98 %E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C Textile From Georgia](https://ajaramuseums.ge/public/museums/arch/kauchiani-abzindagedazundaga-dzvw--XIX-ss)

კაუჭიანი აბზინდა, ქედა, ზუნდაგა, ძვ.წ. X-IX სს. (2020). etrieved აგვისტო 29, 2024, from ამირან კახიძის სახელობის აჭარის არქეოლოგიური მუზეუმი. <https://ajaramuseums.ge/public/museums/arch/kauchiani-abzindagedazundaga-dzvw--XIX-ss>

კახიანი კ. (2020). სოფელ ჭობარეთის (ასპინძის მუნიციპალიტეტი) ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში IV არქეოლოგიური საანგარიშო სესია. თბილისი ონლაინ ზუმ-კონფერენცია MarTV. <https://www.youtube.com/watch?v=vAmiIVvVIRc&t=50s>

კეცხოველი, მ. (1988) *შუა საუკუნეების დეკორატიული ქსოვილები ზემო სვანეთიდან*. თბილისი: მეცნიერება. <https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/490965/1/ShuaSaukuneebi>

Dolidze N, Datuashvili M, Ugrexelidze I, Charkviani I, Chirgadze K, Lursamanashvili L, Kvantidze G. 2017. Illustrated reference book of georgian national clothing. Kutaisi: "ATSU Publishing House".

Dostiev T.M. Glazed Ceramics of Medieval Shamkir City. *Glazed Pottery of the Mediterranean and the Black Sea Region, 10th–18th Centuries*. Kazan – Kishinev: Stratum plus, 2017, vol. 2, pp. 639-674. (In Russian)

Ekhtiar Maryam D. *How to Read Islamic Calligraphy*. Metropolitan Museum of Art, 2018 ISBN1588396304, 9781588396303 p. 156 https://books.google.ge/books?id=r-RoDwAAQBAJ&printsec=frontcover&source=gbs_ge_summary_r&redir_esc=y#v=onepage&q&f=false

Elnikov M. V. 2017 Architectural Qashan Ceramics from Konskie Vody Hillfort Glazed Pottery of the Mediterranean and the Black Sea Region, 10th–18th Centuries. Kazan – Kishinev: Stratum plus, vol. 2, pp. 361-386.

Fine Art's Prints, Picture ID: 1103786, (c) 2023 meisterdrucke. [ie.https://www.meisterdrucke.ie/fine-art-prints/Byza](https://www.meisterdrucke.ie/fine-art-prints/Byza)

[sDekoratiuliQsovillebiZemoSvaneti dan 1988.pdf](#)

კვანტიძე, გ. 2018. ქართული სამოსის ორნამენტები. თბილისი: 80.

კვანტიძე, გ., ლურსმანაშვილი, ლ., ფაილოძე, ნ. 2023. თუშური ხელსაქმის თანამედროვე ასპექტები (ღებვა, ქსოვა, ორნამენტი). ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, No. IX, გვ. 230-241 <http://www.sciencejournals.ge/index.php/HAE/article/view/361>.
წვდომის თარიღი: 2024 წლის 18 მაისი.

კლდიაშვილი, ა. (2022). კოსმოცენტრული კულტურის სამყაროს ხატი მტკვარ-არაქსული კერამიკის ორნამენტულ დეკორში *Ars Georgica* გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის ელექტრონული ჟურნალი. სერია B. <https://new.georgianart.ge/>

კლდიაშვილი, ა., იზორია, მ. (2001). *საქართველო უძველესი გვიანბრინჯაო - ადრე რკინის ხანამდე I*. თბილისი: ლოგოსი.

კლივლენდის მუზეუმის კოლექცია, © 2024 Cleveland Museum of Art https://www.clevelandart.org/art/1944.483?collection_search_views_fulltext&collection_search_views_artist_full_name&created_date_op=

[ntine/1103786/](#) Christ-Pantocrator inHagiaSophia %28mosaic%.

gabashvili, m. (2022). ornament'is aghkmis sazrisebi: pigura tu tselest'iuri k'onpiguratsia? [Perceptual senses of ornament: figure or celestial configuration?] *Ars Georgica* g. chubinashvilis sakhelobis kartuli khelovnebis ist'oriisa da dzeghta datsvis k'vlevis erovnuli tsent'ris elekt'ronuli zhurnali. seria B. [Ars Georgica c. Electronic magazine of Chubinashvili National Research Center of Georgian Art History and Monument Protection. Series B.]

<https://www.georgianart.ge/index.php/ka/2010-12-03-16-25-41/305-2023-01-06-13-14-51.html>.

Georgia, the Cradle of wine. (2020). (CONNECT) Retrieved 2024, from *The Wine History Foundation*: <http://winehistory.ge/ka/>

Georgian Manuscript Book Abroad. 2018. Compiled by M. Karanadze, Vl. Kekeliam, L. Shatirishvili and N. Chkhikvadze, N. Edited by Chkhikvadze. Tbilisi.

Goyushov N. *Symbolism of letters. Medieval manuscripts and historical problems of Azerbaijani culture*. Baku: 1988. (in Azerbaijani)

%3D&created_date&between_start&between_end&field_images_field_large_image_url=All&field_high_light_museum=All&page=1&f%5B0%5D=field_collection%3A67272

კოლხები, კოლხური საგანძური და არტეფაქტები - ნაწილი II. (2021). Retrieved აგვისტო 29, 2024, from ჟურნალი „ინტერმე-დია“ <https://intermedia.ge/სტატია/141832-კოლხები-კოლხური-საგანძური-და-არტეფაქტები-ნაწილი-II/2/>

კოშორიძე, ი. (2022). ორნამენტი, როგორც ნიშანი და სიმბოლო - თუშური ფარდაგის ორნამენტული ლექსიკონი *Ars Georgica* გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის ელექტრონული ჟურნალი. სერია B. <https://new.georgianart.ge/>

ლანჩავა ო. (1996) ქუთაისი ეგრის-ლაზიკის ციხე-ქალაქთა სისტემაში. ქუთაისი.

ლანჩავა ო. (2007): ქუთაისის არქეოლოგია. ქუთაისი. https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/283192/1/Outaisis_Argeologia.pdf

ლანჩავა ო. 2015. ქუთაისის არქეოლოგია. ქუთაისი: 332 გვ.

Grazhdankina N.S., Rtveladze E.V. The influence of Khorezm on the ceramic production of the Golden Horde city of Majar. *Soviet archeology*. 1971. No. 1. P. 127-139. (In Russian)

Gyul E.F. Glazed Ceramics of Uzbekistan: Stages of Development. *Glazed Pottery of the Mediterranean and the Black Sea Region, 10th-18th Centuries*. Kazan – Kishinev: Stratum plus, 2017, vol. 2, pp. 779-794. (In Russian)

Halim, S. M. Heart Shaped Decoration in Coptic Art, *Journal of Association of Arab Universities for Tourism and Hospitality*, Vol. 23 No. 2 (Dec 2022), 255, სურ. 17 a,b;27a, 32b., 36.

Hooked clasp, Qeda, Zundaga, 10th-9th cc. BC. (2020). Amiran Kakhidze Ajara Archaeological Museum. <https://ajaramuseums.ge/public/en/museums/arch/Hooked-claspQedaZundaga10th9th-ccBC>

Ilyasov J., Arabic inscriptions on ceramics of the Tashkent oasis of the 9th-11th centuries. In *There is no good in wealth... Glazed ceramics of the Tashkent oasis of the 9th-12th centuries*, by Ilyasov J. Ya., Imamberdyev R. A., Iskhakova E. A. Ilyasova S. R., Moscow: Marjani

